

ბეს თვითღნ კაქი ყმნის რა აჩა ბუქი კაქსა

# ბსაღლი ივუქიია

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

№2 დეკემბერი 2022

ზაზა ბიბილაშვილი

**კიევის რუსეთიდან  
კიევის რუსეთამდე**

დოდონა კიზირია

**„კუთრი“**

ზურა მეძველია

**„მე, კელედან“ –  
მე და კელემდე**

**თმი: ვისი ბრალია?**

ამონარიდი

სალომე ზურაბიშვილის  
სკანდალური წიგნიდან



ISSN 2720-8729



9 772720 872007

ახალი ივერია  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

2022 დეკემბერი, #2 (2)  
ISSN 2720-8729

აიპ "ჭავჭავაძის ცენტრი"  
გიორგი ახვლედიანის ქუჩა 20  
0108, თბილისი, საქართველო


**ნომერზე მუშაობდნენ:**

ზაზა ბიბილაშვილი  
შამილ შუბაევი  
კოკა თოფურიცა  
ლაშა გაბელია  
ნინო კალანდარიძე  
გიორგი ხარებავა  
გიგა ჯოხაძე  
ბიბა ჯაფარიძე

# სარჩევი



3 მთავარი რედაქტორის მიმართა  
ზაზა ბიბილაშვილი  
**კიევის რუსეთიდან  
კიევის რუსეთამდე**



5 პოლიტიკა  
ირინა გურგენაშვილი  
გია ჯაფარიძე  
**რამდენიმე სიტყვა ნეიტრალიტეტის  
მომაკვდავ კონცეფტსა და პრაქტიკაში  
დამკვიდრების შეუძლებლობაზე**




9 მესხიერება და იდენტობა  
ლოდონა კიზირია  
**„კუთრი“**

14 საერთაშორისო პოლიტიკა  
ხატია დავლიანიძე  
**ბოსნია-ჰერცეგოვინას უკან  
ბადანაცვლებული საქართველო  
ასოცირებული ტრიოდან**




17 ეკონომიკა  
სოსო ბერიკაშვილი  
**ჩვენი ფული**

20 აფხაზეთი  
გიგი გიგინეიშვილი  
**ძვეარჩელის ტრაგედია**



27 ფერადი ისტორიები  
ბუბა კუდავა  
**სად გავაქრეთ ქართველ  
მეფეთა სასახლენი?**



32

საზოგადოება

თამარ ალავიძე

**ვიზიენ ვესტვუდი  
ანარეიის დედოფალი**

35

საავტორო სვეტი

ზურა მეძველია

**„მე, კელედან“ - მე და  
კელემდე**

38

ლიტერატურა

ზაალ სამადაშვილი

**პარნახი**

42

სტუდენტური სივრცე

თათა აქუბარდია

**რა ღირს?**

45

სადი აზრი

**ომი: ვისი ბრალია?**

ამონარიდი სალომე ზურაბიშვილის  
სკანდალური წიგნიდან

66

ლევან ხერხეულიძის ფოტოები



ზაზა ბიბილაშვილი

# კიევის რუსეთიდან კიევის რუსეთამდე

ქრისტეშობიდან 2022 წელი ხილული და არც თუ ისე მცირე მართლმადიდებლური სასწაულით დასრულდა: სასწაულით, რომლის შემოქმედი გმირი უკრაინელი ერი და, ამ ისტორიული განსაცდელის ჟამს, მის სათავეში აღმოჩენილი ლიდერთა ჯგუფია. ვინ წარმოიდგენდა, რომ 24 თებერვლის გამთენიისას პუტინის მიერ დაწყებული, რამდენიმედღიან ბლიცკრიგად ჩაფიქრებული ბარბაროსული ომი იმგვარად შემოტრიალდებოდა, რომ 10 თვის თავზე აგრესორს უკვე საკუთარ ტერიტორიაზე მოუწევდა უკრაინელთა შეტევების მოგერიება?

ომი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მისი ბედი გადაწყვეტილია. როგორც 1943 წლის ბოლოს ეჭვს აღარ იწვევდა მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხება და გასარკვევი მხოლოდ სამომავლო მშვიდობის კონტურები რჩებოდა, ზუსტად ასევე, დღეს ინტრიგა ისაა, რა პირობებით ჩაბარდება მოსკოვი დასავლეთს და როგორი იქნება ახალი, ბოროტების იმპერიის ნარჩენებისგან თავისუფალი სამყარო. როგორც მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, მართლაც უანალოგო V-2 ბალისტიკური რაკეტის გამოგონებამ ვერ უშველა ჰიტლერს (რომლისგან თავდასაცავი იარაღი მაშინდელ მსოფლიოს არ გააჩნდა), ისე ვერანაირი აგონიური ნაბიჯი ვეღარ შეცვლის ამ ომის საბოლოო ბედს. რუსული სახელმწიფოს მიმართ შედგა საერთაშორისო კონსენსუსი - ცივილიზებულ ერთა კოალიცია პუტინის ხელისუფლებას ტერორისტულ რეჟიმად მიიჩნევს. ეს კი მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: ოქროს ურდოდან აღმოცენებული სასტიკი მოსკოვია, რომელიც საკუთარ მითოლოგიურ ფესვებს კიევის რუსეთში ეძებდა, სწორედ კიევში ასრულებს თავის არსებობას.

გავა დრო და რომელიმე ისტორიკოსი გამოაქვეყნებს ვრცელ მონოგრაფიას სახელწოდებით The Rise and Fall of the Russian Empire. სქელტანიან წიგნში მშრალად ეწერება, რომ იმპერია, რომელმაც ტერიტორიული ექსპანსიის პიკს XIX საუკუნეში მიაღწია, ამავე პერიოდში იწყებს ღპობას. მერე მოდის 1917 წელი, რევოლუცია, გადატრიალება, დაშლის პირველი ტალღა, სამოქალაქო ომი, საბჭოთა კავშირად წოდებული ბოლშევიკური რეინკარნაციის 70 წელი (რაც, ისტორიული

გადმოსახედიდან, არაფერია და საიდანაც თითქმის ნახევარი(!) სტალინიზმის ეპოქა იყო), 1980-იანების ბოლოდან განახლებული რღვევა, 1991 წელი და „XX საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად“ წოდებული „ერთა საპყრობილის“ ნგრევა, 1990-იანების ქაოსი, ჩიაპუტინის სისხლიანი ზეობა, როგორც იმპერიის უკანასკნელი გაბრძოლება, და ბოლოს, ყველაფრის ლოგიკური დასასრული - იქ, საიდანაც ყველაფერი დაიწყო.

ჩვენდა სამარცხვინოდ, პუტინმა დასავლურ დემოკრატიას აქილევსის ქუსლი უპოვა და პროპაგანდის, მანიპულაციისა თუ მოსყიდვის ვერაგი კომბინაციით, 20 წელი თავის ჭკუაზე ატარა დასავლეთი - ის ევროპელებსა და ამერიკელებს თვალს ახუჭინებდა ისეთ ბარბაროსობაზე, როგორცაა საცხოვრებელი კორპუსების აფეთქება მოსკოვში, ვოლგოდონსკსა და ბუინაკსკში (რაც ბოროტი ზრახვებით მართულ ჩია არარაობას მეორე ჩეჩნური კამპანიის დასაწყებად სჭირდებოდა), „კურსკის“ მეზღვაურთა სასიკვდილოდ გაწირვა, „ნორდ ოსტისა“ და ბესლანის ტრაგედიები, ლიტვინენკოს, იანდარბიევის, პოლიტოვსკაიას, მაგნიტსკისა და ნემცოვის ცივისსხლიანი მკვლელობები, საქართველოში შემოჭრა, ყირიმის ანექსია, ბავშვებით სავსე სამოქალაქო ავიალაინერის ჩამოდგება (MH17)... გააზრებაც კი შეშარავია - ქვეყანა, რომელმაც ეს ყოველივე ჩაიდინა, 2022 წლის იანვრის ჩათვლით, მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, მისი მანიაკი

**გააზრებაც კი შეშარავია - ქვეყანა, რომელმაც ეს ყოველივე ჩაიდინა, 2022 წლის იანვრის ჩათვლით, მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, მისი მანიაკი ლიდერი კი - სამიტებისა და დემოკრატიულად არჩეულ ლიდერებთან გულითადი შეხვედრების დაფასებული მონაწილე იყო.**

ლიდერი კი - სამიტებისა და დემოკრატიულად არჩეულ ლიდერებთან გულითადი შეხვედრების დაფასებული მონაწილე იყო.

„ვიურთიერთობ, რომარგაუცხოვდეს,“ „ვითანამშრომლოთ, რომვაკონტროლოთ“, „ვივაჭროთ, რომ ბერკეტი არ დაკვარგოთ“ - ამ, უკეთეს შემთხვევაში, სულელურ, უარესში კი, დანაშაულებრივ (და არა ყოველთვის უანგარო) ილუზიებს ასიათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამ ფონზე, რა გასაკვირია, რომ იმპოტენტმა თავი ომინიპოტენტად წარმოიდგინა, ლუზერი მაჩოს როლში შევიდა, ჯაყვიან ბანდიტს წარმატებული შანტაჟების სერიაში თავბრუ დაახვია და პუტინმა უკრაინაში ქრესტომათიული შეცდომა დაუშვა. მან ჩათვალა, რომ ყველაფერი ისევ გაუვიდოდა. „შენელებული“ ბაიდენის დამაბნეველი გზავნილებისა და ევროპის წამყვან სახელმწიფოებში ახლადარჩეული ლიდერების ფონზე, მან ჩათვალა - ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ - რომ თუ ომს მალე დაასრულებდა, დასავლეთი ისევე მიიღებდა „ახალ რეალიებს“, როგორც ეს მანამდე არაერთხელ გაეკეთებინა.

მაგრამ პუტინმა არ იფიქრა უკრაინელებზე - ამ, მისი გადმოსახედიდან, არარსებულ ერზე, რომელსაც არა მხოლოდ საარაკო სიმაძაცე და თავდადება, არამედ ჭკუა, სილინჯე, იუმორი და, რაც მთავარია, გამარჯვების დაუოკები ნება აღმოაჩნდა ბარბაროსებისგან სამშობლოს დასაცავად. ერზე, რომლის ლიდერები გვეუბნებიან, რომ არ აქვთ უფლება, რუსული პრობლემა შვილების თაობას დაუტოვონ.

მაშ, ვუსურვოთ მათ გამარჯვება. ვუსურვოთ ის, რასაც საუკუნეთა მანძილზე თავისუფლებისთვის ბრძოლაში გამოწრთობილი და დღეს ოდნავ მოდუნებული ქართველები ყოველი შეხვედრისას ვუსურვებთ ერთმანეთს.


გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა .

გამარჯვება, როგორც თავისუფლების, მშვიდობისა და ბედნიერების ყველაზე მყარი საფუძველი.

- ღიღება უკრაინას!
- ღიღება გმირებს!
- გაუმარჯოს საქართველოს!
- გაისად სოხუმში! ■



ირინა გურგენაშვილი



გია ჯაჭარიძე

## რამდენიმე სიფხვა ნეიტრალიტეტის მომაკვდავ კონცეფტსა და პრაუტიკაში დამკვიდრების შეუძლებლობაზე

2022 წლის თებერვალში უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ, რომლის ვიწრო მიზანი უკრაინისთვის დამოუკიდებლობის წართმევა და მისი სრული ოკუპირება, ხოლო ფართო - გავლენის სფეროების მონიშვნა და რუსეთის იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენა, საერთაშორისო სისტემაში არსებული წესრიგი პრაქტიკულად მოარღვია. ამ ფონზე კიდევ უფრო უკეთ გამოჩნდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ისედაც მომაკვდავი ნეიტრალიტეტის კონცეფტი, კიდევ უფრო უფუნქციო, უტოპიური რეალობაა. მით უმეტეს, დიდი კითხვის ქვეშ დადგა ის ცალსახად მოწყვლადი პოზიცია, რომ სახელმწიფოს მიერ თვითგამოცხადებული, სხვათა მიერ არგაზიარებული ნეიტრალიტეტი, თითქოს რაიმე სახის საერთაშორისო გარანტიას წარმოადგენს ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით, სუსტი და დაუცველი ერთეულებისთვის.

შვეიცარიამაც კი, რომლის ნეიტრალიტეტიც საუკუნეებს ითვლის და აღიარებული და გაზიარებულია მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ, საკუთარი პოზიციების გადახედვაზე გააკეთა განცხადება. შვეიცარიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, 2022 წლის ფორს-მაჟორული მოვლენების გათვალისწინებით, შვეიცარიამ, შესაძლოა, ინტერპრეტაციები შეიტანოს არსებულ ნეიტრალიტეტში დასხვა ცვლილებებთან ერთად, აქტიურად ჩაერთოს ნატოს საერთო წვრთნებსა და იარაღის მარაგის შევსებაში. ნეიტრალურმა ფინეთმა და შვედეთმა კი ნატო-ში გაწევრიანების გადაწყვეტილება მიიღეს. სწორედ მსგავსი შემთხვევები ცალ-ცალკე და მათი ერთობლიობა, ასევე წარსულში სხვა სახელმწიფოების, მათ შორის მოლდოვის, უკრაინის და საქართველოს გამოცდილება, გვარწმუნებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე მოვლენების, მით უმეტეს, რუსეთის ფედერაციის რევიზიონისტული მისწრაფებების გათვალისწინებით, რეალური ნეიტრალიტეტის დამკვიდრების მცდელობა მიუღწევად და სახიფათო პერსპექტივად გამოიყურება.

ნაცვლად იმისა, რომ ისტორია საქართველოსთვის კარგი გაკვეთილი იყოს და საბოლოო წერტილი დაესვას საზოგადოების ერთ ნაწილში არსებულ ილუზიას ნეიტრალიტეტის შესახებ, ომის შიშითა თუ ხელისუფლების რიტორიკით დაძაბუნებულ საზოგადოებაში, ცალკეული აქტორების და რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებული წრეების მხრიდან არ ნელდება ნეიტრალიტეტის, „რუსეთის არ გაღიზიანების“ და აგრესორ ძალასთან მიტმასნების შესახებ პროპაგანდა და მოწოდებები. ნეიტრალიტეტის გამოცხადება არ არის გამოსავალი, ცალმხრივმა

ნეიტრალიტეტმა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ვერ დაიცვა ვერც საქართველო, ვერც მოლდოვა, ვერც უნგრეთი და ა.შ. ჩამონათვალი ამ კონცეფტის პრაქტიკაში მიუღწევლობის შესახებ საკმაოდ გრძელია. ხოლო იმ შემთხვევაში კი, როდესაც ნეიტრალიტეტი „მუშაობს“, ქვეყანა სპეციალურ პირობებს აკმაყოფილებს და გარემოებებიც უწყობს ხელს, საქართველოში ამისთვის არც პირობები არსებობს და არც ხელშემწყობი გარემოებები. შესაბამისად, არსებულ მოცემულობაში და იმ საერთაშორისო წესრიგში, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, ნეიტრალიტეტზე ფიქრიც კი, ყველაზე მინიმუმ, სიტუაციის ვერ აღქმა და გააზრებაა, რომლის საფასურიც ძალიან მძიმე - ისტორიული მტრის წინაშე მარტო, მოკავშირეების გარეშე დარჩენაა. საქართველოს სამარტოო საგარეო პოლიტიკის წარმოების რესურსი და შესაძლებლობა არც ახლა აქვს და არც არასდროს ჰქონია.

იმ პირობებში, როცა მეომარი მხარეები არ აღიარებენ ნეიტრალიტეტს, მისი დამკვიდრება შეუძლებელია. მაგალითად, 1956 წელს უნგრეთმა ანტისაბჭოთა ამბოხის შემდგომ განაცხადა, რომ ნეიტრალური ქვეყანა უნდა გამხდარიყო, თუმცა, აღნიშნული იდეა „ცივი ომის“ არც ერთი ბანაკის ლიდერმა არ გაიზიარა

ნეიტრალიტეტი სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსია, რომლის პირობებშიც ქვეყანა არ ერთვება საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე კონფლიქტებში, სხვა ქვეყნებს შორის არსებულ საომარ მოქმედებებში და ეს პოზიცია აღიარებული და გაზიარებულია მეომარ მხარეთა მიერ. ნეიტრალიტეტის დროს ქვეყანა ვალდებულია არ შევიდეს საერთაშორისო უსაფრთხოების ალიანსებში, კონფლიქტის მხარეთა მიმართ მუდმივად და განგრძობითად შეინარჩუნოს მიუმხრობელი დამოკიდებულება. ლიბერალური წესრიგის გაგებით, ნეიტრალური სახელმწიფო მსოფლიო მშვიდობის გავლენის აგენტია და „ამსუბუქებს ადამიანთა ტანჯვას“ ომის დროს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ

იმ პირობებში, როცა მეომარი მხარეები არ აღიარებენ ნეიტრალიტეტს, მისი დამკვიდრება შეუძლებელია. მაგალითად, 1956 წელს უნგრეთმა ანტისაბჭოთა ამბოხის შემდგომ განაცხადა, რომ ნეიტრალური ქვეყანა უნდა გამხდარიყო, თუმცა, აღნიშნული იდეა „ცივი ომის“ არც ერთი ბანაკის ლიდერმა - არც საბჭოთა კავშირმა და არც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა - არ გაიზიარა, შესაბამისად, უნგრეთის სურვილი სურვილად დარჩა და ამ ქვეყნის, როგორც საბჭოთა ბანაკის გავლენის სივრცის, არათუ საგარეო პოლიტიკური მისწრაფება, დამოუკიდებლობაც კი სათუო გახდა. ამ განცხადებიდან მალევე, საბჭოთა ძალებმა უნგრული ანტიკომუნისტური მოძრაობა სისხლში ჩაახშეს და ქვეყანაში კვლავ საბჭოთა რეჟიმი დაამყარეს.

ნეიტრალიტეტი კოლექტიური შეთანხმების პროდუქტია, რომელსაც მაქსიმუმ ყველა ქვეყანა აღიარებს, მინიმუმ ჩდება სხვა დიდი ძალები, რომლებიც ნეიტრალიტეტის გარანტორები ხდებიან.

ნეიტრალიტეტი კოლექტიური შეთანხმების პროდუქტია, რომელსაც მაქსიმუმ ყველა ქვეყანა აღიარებს, მინიმუმ ჩდება სხვა დიდი ძალები, რომლებიც ნეიტრალიტეტის გარანტორები ხდებიან. მაგალითად, 1839 წლის ლონდონის კონფერენციამ და შეთანხმებამ ბელგია ცნო სუვერენულ სახელმწიფოდ და მუდმივი ნეიტრალიტეტი მიანიჭა, რომლის გარანტორად მოგვევლინა ინგლისი. 1914 წელს გერმანიამ ბელგიის ნეიტრალიტეტი დაარღვია და მის ტერიტორიაზე შეიჭრა, ინგლისმა, როგორც ბელგიის ნეიტრალიტეტის გარანტორმა გერმანიას ომი გამოუცხადა. აქვე უნდა გავიხსენოთ ავსტრიული ნეიტრალიტეტიც, რომელიც თავსმოხვეული, იძულებითი ნეიტრალიტეტის მაგალითია, 1955 წელს ავსტრია საბჭოთა კავშირის ზეწოლით, იძულებული გახდა

ნეიტრალიტეტი გამოეცხადებინა, რადგან ეს იყო ერთ-ერთი მთავარი პირობა, რომ საბჭოთა საოკუპაციო ჯარებს დაეტოვებინათ ავსტრიის ტერიტორია.

ნეიტრალიტეტის მძიმე ისტორიული გამოცდილება აქვს ფინეთსაც. იმპერიული რუსეთის ზეწოლით 1917 წელს გამოცხადებული ნეიტრალიტეტი, 1939 წლის სსრკ-ფინეთის ზამთრის ომით დასრულდა, თუმცა ასევე, იძულებითი არჩევანით 1948 წელს



ფინეთს კვლავ მოუწია ნეიტრალიტეტის გამოცხადება. საბჭოთა კავშირმა იმდენად მძიმე პირობები წაუყენა ფინეთს, რომ ის იძულებული გახდა, მათ შორის, უარი ეთქვა ევროპის რეკონსტრუქციის პროგრამაში (მარშალის გეგმა) მონაწილეობაზე. რუსეთი იმთავითვე არ ასხვავებდა ერთმანეთისგან ეკონომიკურ და სამხედრო თანამშრომლობას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ფინეთი გაწევრიანდა ევროკავშირში, თუმცა, არ გამოუთქვამს ნატო-ში ინტეგრაციის სურვილი. მიმდინარე წელს რუსეთის ხელახალმა აგრესიამ უკრაინაში, ფინეთში ერთგვარი „განგაშის სიგნალი“ ჩართო, მან უარი უთხრა ნეიტრალიტეტს და ნატო-ში გაწევრიანების პროცესი დაიწყო. რაც შეეხება შვედეთს, მისი შემთხვევა განსხვავებულია, რადგან მას ჰქონდა უფრო მეტად ტრადიციული ნეიტრალიტეტი, ვიდრე თავსმოსხვეული, თუმცა, უკრაინის მოვლენებმა და რუსეთისგან მომდინარე შეუქცევადმა საფრთხეებმა, შვედეთიც, ფინეთის მსგავსად, იძულებული გახდა ნატო-ში გაწევრიანების გადაწყვეტილება მიეღო.

მუდმივი ნეიტრალიტეტის საუკეთესო პრაქტიკულ გამოხატულებად, შვეიცარიის კონფედერაცია მიიჩნევა. თუმცა, შვეიცარია ე.წ. აუთლაიერია ნეიტრალიტეტის კვლევაში, ამ ქვეყნის „თავბრუდამხვევი წარმატება“ ნეიტრალიტეტის დამკვიდრებაში, რაც ბევრი ხელშემწყობი ფაქტორით იყო განპირობებული, ხელს უშლის ნეიტრალიტეტის სირთულის აღქმაში ე.წ. ახლად ნეიტრალურ ქვეყნებს. გარდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა, შვეიცარული ნეიტრალიტეტის წარმატება ნეიტრალიტეტის ხანგრძლივმა ტრადიციამ, სწორმა დრომ, სხვა ქვეყნების კონსოლიდირებულმა შეთანხმებამ და თავად ამ სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობამ განაპირობა. შვეიცარიის ნეიტრალიტეტი 1815 წლის ვენის კონგრესზე დამტკიცდა, სადაც ნაპოლეონის დაპყრობითი ომების შემდგომ დაზიანებული ევროპა აყალიბებდა ევროპის უსაფრთხოების ახალ არქიტექტურას. ამ კონგრესზე შვეიცარიამ მიიღო ყველა სახელმწიფოს თანხმობა გამხდარიყო ერთგვარი ბუფერული ზონა ევროპის კონტინენტზე, რომელიც მომავალში შეითავსებდა დაპირისპირებულ მხარეთა მოლაპარაკების ცენტრის როლს. თუმცა ამ კონგრესამდე შვეიცარიას უკვე ჰქონდა ორ საუკუნოვანი ნეიტრალიტეტის ტრადიცია. მე-16 საუკუნიდან ნეიტრალიტეტი იყო შვეიცარული იდენტობის განუყოფელი ნაწილი, ის არ ერთვებოდა კონფლიქტებში, არ აწარმოებდა დაპყრობით ომებს, არ ჰქონდა სადავო ტერიტორიები. რაც შეეხება პოზიციის დამოუკიდებლად დაცვის შესაძლებლობას, შვეიცარული თავდაცვის სისტემა ღრმად არის ინკორპორირებული მათი ცხოვრების წესში. შვეიცარიამ როგორც პირველ, ისე მეორე მსოფლიო ომში ძალიან მოკლე დროში მოახდინა თავდაცვითი ძალების მობილიზება (თითქმის ნახევარ-მილიონიანი არმია) და ორივე ომის დროს მზად იყო დამოუკიდებლად დაეცვა ნეიტრალიტეტი. შედეგად, თავიდან აიცილა თავდასხმა და სამომავლოდ ნეიტრალიტეტის კიდევ უფრო მეტი გარანტია მიიღო.

კიშინოვის ხელისუფლების მცდელობამ გამოეყენებინა ნეიტრალიტეტის სტატუსი, რომ „იძულებული გაეხადა“ მოსკოვი გაეყვანა საოკუპაციო ჯარები და, შესაბამისად, დაეჩქარებინა ტირასპოლის ადმინისტრაციასთან დავის პოლიტიკური მოგვარების პროცესი, კრახი განიცადა.

საქართველოსთვის კარგი მაგალითი უნდა იყოს მოლდოვის ნეიტრალიტეტის საკითხიც. 1994 წელს მოლდოვის სახელმწიფომ გამოაცხადა მუდმივი ნეიტრალიტეტი. ყველაზე სახიფათო და პირდაპირი საფრთხე მოლდოვის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტისთვის იყო (დღემდე რჩება) დნესტრისპირეთის სეპარატისტული რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაციის დისლოცირებული სამხედრო ძალები მოლდოვის ტერიტორიაზე. კიშინოვის ხელისუფლების მცდელობამ გამოეყენებინა ნეიტრალიტეტის სტატუსი, რომ „იძულებული გაეხადა“ მოსკოვი გაეყვანა საოკუპაციო ჯარები და, შესაბამისად, დაეჩქარებინა ტირასპოლის ადმინისტრაციასთან დავის პოლიტიკური მოგვარების პროცესი, კრახი განიცადა. სახელმწიფოს მუდმივი

ნეიტრალიტეტის გამოცხადების ერთ-ერთი ლოგიკური მიზანი შეიძლება იყოს მომავალ სამხედრო კონფლიქტებში ჩართვის თავიდან აცილება და საკუთარ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარების არ ჩაყენება, მაგრამ პრაქტიკაში არ არსებობდა და არც ახლა არსებობს პრეცედენტი, რომ აღნიშნულს უკუქვევითი ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს, შესაბამისად, ჯარების გაყვანისა და სუვერენიტეტის მთელ ტერიტორიაზე აღსადგენად ნეიტრალიტეტის გამოყენება მოლდოვის მხრიდან, იმთავითვე მარცხისთვის განწირული ნაბიჯი იყო.

ისტორიული მეხსიერებისთვის - 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობის აქტით თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია რუსეთისთვის 1921 წელს ჯერ ქვეყნის ოკუპაცია, ხოლო 1922 წელს ანექსია მოეხდინა. აქვე უნდა გავიხსენოთ 1920 წლის 7 მაისის შეთანხმება საბჭოთა რუსეთთან, რომლის მე-5 მუხლის მიხედვითაც, საქართველომ პრაქტიკულად უბლოკო სტატუსი გამოაცხადა და რუსეთს მისცა პირობა, რომ საკუთარ მიწაზე საბჭოთა რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილ ძალებს არ განალაგებდა, თუმცა არც ამ ხელშეკრულებაში დადებულმა პირობებმა შეაკავა რუსეთის აგრესიული მისწრაფება მოესპო საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის განხილვისას და

..ნეიტრალიტეტის დასაწესებლათ, საერთაშორისო უფლებაში, არ კმარა ნეიტრალიტეტის მოსურნე სახელმწიფოს განცხადება - ნეიტრალური ვარო... ცალმხრივად გამოცხადებული მუდმივი ნეიტრალიტეტი ცოტა რამეს ნიშნავს, თუ იგი არ იქნა აღიარებული აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა მიერ..

კონკრეტულად ნეიტრალიტეტის მუხლთან მიმართებით გამართულ დებატებში, პირველი რესპუბლიკის მესვეურნი საზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ნეიტრალიტეტის გამოცხადება თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ ვერ შეძლებდნენ ამ პოლიტიკის დამოუკიდებლად დაცვასა და ამავდროულად, მის საერთაშორისოდ აღიარების მოპოვებას. „...ნეიტრალიტეტის დასაწესებლათ, საერთაშორისო უფლებაში, არ კმარა ნეიტრალიტეტის მოსურნე სახელმწიფოს განცხადება - ნეიტრალური ვარო... ცალმხრივად გამოცხადებული მუდმივი ნეიტრალიტეტი ცოტა რამეს ნიშნავს, თუ იგი არ იქნა აღიარებული აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა მიერ... ნეიტრალური სახელმწიფოს და კერძოდ საქართველოს რესპუბლიკას თავის დასაცავად ეყოლება და უნდა ჰყავდეს შეიარაღებული ძალა ამა

თუ იმ სახით...ნეიტრალურ სახელმწიფოს უფლება აქვს თავისი ნეიტრალიტეტი დაიცვას სამხედრო ძალით, თუ კი ვინმე მოძალადე გაბედავს მათ შელახვას...“

- ვკითხულობთ საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის შესწორებაში. მიუხედავად იმისა, რომ პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში ნეიტრალიტეტის დათქმა აბსოლუტურად სწორად იყო გაგებული, პრაქტიკაში მისი განხორციელება ვერ მოხერხდა, დამფუძნებლებმა ბევრი იცოდნენ თეორიულად, მაგრამ არ ჰქონიათ შესაძლებლობა ფართო პრაქტიკაში ენახათ რამდენად მოწყვლადი და შეუთავსებელი მდგომარეობაა ნეიტრალიტეტი რუსულ ამბიციებთან.

ბოლოსიტყვისთვის - საქართველოს მოქალაქეებმა საკუთარ თავს მარტივი კითხვა უნდა დაუსვან - თუ ერთხელ არ შეუშალა ხელი რუსეთის ფედერაციას საქართველოს ნეიტრალიტეტმა ქვეყნის ანექსიაში, რატომ შეუშლის დღეს? ამის გათვალისწინებით და მიუხედავად იმისა, როგორ დამარცხდება რუსეთი უკრაინაში, აქვს კი საქართველოს ევროპის კავშირისა და ნატოს მიმართულებით სვლის შენელების ფუფუნება? ■



## კუტიის 30 წლისთავისა გამო

2022 წლის 22 დეკემბერს შესრულდა 30 წელი შეიარაღებული გადატრიალების დაწყებიდან. გადატრიალებისა, რომელმაც დაამხო ზვიად გამსახურდიას კანონიერად არჩეული ხელისუფლება და, სულ რაღაც ორიოდ კვირაში, ქვეყანა რამდენიმე ათწლეულით უკან გადაისროლა. საქართველო, რომელიც 1991 წლამდე პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთი მეწინავე ქვეყანა იყო და რომელიც ბალტიის რესპუბლიკების შემდეგ პირველი იდგა დასავლური ინტეგრაციის რიგში, ლამის მყისიერად იქცა ამავე სივრცის ყველაზე ჩამორჩენილ, ყველაზე უპერსპექტივო, ნახევრად ველურ ტერიტორიულ წარმონაქმნად.

ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასე მალე - დასავლეთი შემზარავი სიზუსტით - ახდებოდა ზვიად გამსახურდიას რამდენიმე კვირისწინანდელი წინასწარმეტყველება, რომელშიც მან ის აპოკალიფსური სურათი დახატა, მისი მოწინააღმდეგეების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში რომ ელოდა ქვეყანას („სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევა“, „სრული ანარქია, პირველ რიგში, თბილისში“, „უბნებად დანაწევრებული ქალაქი“, სადაც ხელისუფლება „შეიარაღებული ბანდების“ ხელში იქნებოდა, „მოსახლეობის არნახული ძარცვა და დარბევა“, ელექტროენერჯის, გაზის, კომუნიკაციების, სურსათის მომარაგების, სამედიცინო მომსახურებისა და სამართალდამცავი ორგანოების სრული მოშლა).

პუტჩმა ეს საზარელი ხედვა რეალობად აქცია. რეალობად, რომელმაც სხვადასხვა დოზით 2003 წლის 23 ნოემბრამდე გასტანა და რომელიც ვერასდროს გაიმარჯვებდა ჩვენი აქტიური მონაწილეობის, უგუნურებისა თუ მიაშიტობის გარეშე.

„ჭაჭაჭაძის ცენტრის“ ერთ-ერთი ღონისძიებისას, რომელიც სამოქალაქო მეხსიერებას ეძღვნებოდა, ერთმა მაშინდელმა ოპოზიციონერმა დანაწევრებით გაიხსენა - თბილისური „ელიტის“ განწყობებს ვიყავი აყოლილი და მხოლოდ 1991 წლის 22 დეკემბრის დილას ქაშუეთიდან უზენაესი საბჭოსკენ მიშვერილი ქვემეხების გუგუნის ფონზე მივხვდი, რომ მომატყუეს და ჩემი ახალგაზრდული იდეალიზმი ბოროტად გამოიყენესო.

დღეს არავინ საუბრობს კონკრეტული ფაქტების გამოძიებაზე (მაგალითად, ვინ ხვრეტდა დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა მშვიდობიან მიტინგებს მომღვეწო თვეებში, რამაც ათობით უდანაშაულო დემონსტრანტის სიცოცხლე შეიწირა). არც პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზეა საუბარი (ან კი როგორ იქნება - პუტჩის მონაწილენი პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა ფლანგზე გაბნეულან, ზოგი - ბუნებრივად, ზოგიც - ისევ ვირემმაკურად მიმოუფანტავს „მშობლიურ“ რუსულ უშიშროებას).

საუბარი ოდენ იმაზეა, რომ ვიცოდეთ. ვიცოდეთ, რათა გვახსოვდეს. გვახსოვდეს, რათა იგივე არ გავიმეოროთ და „ერთსა და იმავე წრეზე“ არ ვიაროთ. რათა მტერმა მომავალში მაინც ვეღარ შეძლოს ჩვენი მანიპულირება და ჩვენი მიაშიტური იდეალიზმის გამოყენება ჩვენივე ქვეყნის დასანგრევად (როგორც ეს, სულ მცირე, ერთხელ უკვე გააკეთა საბედისწერო 1991 წლის შემდეგ, ამჯერად უკვე უიარაღოდ).

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უტრაგიკულესი თარიღის 30-ე წლისთავზე, წარმოგიდგინებ ნაწყვეტს დოდონა კიზირიას წიგნიდან „პუტჩი“ (გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018).



ზაზა ბიბილაშვილი



ლოლონა კიბრია

## „პუტრი“

### პირველი დღე

1991 წლის 21 დეკემბერს გვიან ღამით ჩამოვედი თბილისში. იმ ღამეს დაიწყო გადატრიალება, რომელსაც შემდგომ საქართველოში პუტჩით მოიხსენიებდნენ. იმ პერიოდში ამერიკის ხმასთან ვთანამშრომლობდი და მათგან დაახლოებით ვიცოდი, რა ხდებოდა თბილისში. როცა ამ ორგანიზაციის დირექციამ გაიგო, რომ აქეთ მოვემგზავრებოდი, დამავალეს, თუ შესაძლებლობა მექნებოდა, მომეგროვებინა მასალები მიმდინარე მოვლენებზე და ეგებ ორიოდ ინტერვიუც ჩამეწერა.

მეორე დღით რუსთაველის გამზირს მივაშურე. ის, რაც დავინახე, რაღაც სურრეალისტურ სურათს წარმოადგენდა - მთავრობის სასახლის წინ იდგა ტანკი, შეიარაღებული მამაკაცები, რომლებსაც სამხედრო ფორმა არ ეცვათ, ჯგუფად იდგნენ ქაშვეთის ეკლესიის წინ, მიდი-მოდიოდნენ ტანკის მახლობლად. დროდადრო ისმოდა სროლის ხმა, უმთავრესად, ქაშვეთის ეკლესიის შენობიდან, სადაც, როგორც მერე შევიტყვე, თენგიზ კიტოვანის გვარდიელები იყვნენ ჩასაფრებულები. ეკლესიის ეზოში კი მთავრობის სახლისკენ ლულამიშვერილი ორი ქვემეხი იდგა. მიუხედავად ამისა, შორიანლოს, ტროტუარებზე, საკმაოდ ბევრი ხალხი იდგა. უმეტესობა ჩემსავით გაოგნებული შეჰყურებდა ამ წარმოუდგენელ სანახაობას - ისროდნენ დღისით, მზისით, ისროდნენ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე! ერთ-ერთ იქ მდგომს შევეკითხე, ვინ ხელმძღვანელობდა ამ აქციას და მიპასუხეს, მგონი სასტუმრო „თბილისშია“ შტაბიო.

სასტუმროში დაუბრკოლებლად შევედი, არავის გაუჩერებია, არავის უკითხავს ჩემი საბუთები. შესასვლელთან ხალხი კი ირეოდა, მაგრამ ვერავინ დავინახე ისეთი, ვინც უფლებამოსილებით აღჭურვილი ჩანდა და მეორე სართულზე ავედი. იქ, ფართო დერეფანში, იდგა რამდენიმე მაგიდა, გარშემო ისხდნენ ახალგაზრდა კაცები და ქალები; ზოგი ლაპარაკობდა, ზოგი იცინოდა, ერთ მაგიდასთან კი კარტს თამაშობდნენ. თითქმის ყველა ეწეოდა და საკმაოდ მძიმე ჰაერი იდგა. მათი უდარდელი გამომეტყველება სრულიად პარადოქსული მომეჩვენა იმ კონტექსტში, რაც გარეთ ხდებოდა. რატომღაც არ ჩავთვალე, რომ მათ შეეძლოთ, ჩემთვის საჭირო ინფორმაცია მოეცათ და დერეფანს ჩავუყევი. ერთ-ერთი ოთახის კარი ღია იყო, მის სიღრმეში ორი თავჩაღუნული, სრულიად ახალგაზრდა, 18-19 წლის ბიჭი იჯდა. მესამე, რომელსაც ეტყობოდა, კარგა-მაგრა ნასვამი იყო და მთლად მყარად ვერ იდგა ფეხზე, ღია კარის გარეთ, დერეფნიდან, უყვიროდა: „თქვენ სვანები ხართ?! სვანები კი არა ბოზები ხართ! სვანი იმ ნაბიჭვართან არ დადგებოდა. მოგიტ--ნთ გამჩენი!“ ბიჭები ხმას არ იღებდნენ.

მე უხმოდ ჩავუარე. დერეფნის ბოლოს, კუთხის ოთახის კარი ოდნავ შეღებული იყო. დავაკაკუნე და, როცა არავინ გამომეხმაურა, გამოვაღე და შევედი. ოთახში არავინ იყო, თუმცა დაულაგებელი ლოგინის, მაგიდაზე დაყრილი პაპიროსის ნამწვავების და ნახმარი ჭიქების მიხედვით იქ ვიღაცას, ან ვიღაცებსუნდა გაეთიაღამე. ღია ფანჯრიდან მოჩანდა მთავრობის სახლი, პირველი სკოლის შენობა და მთელი ის აბსურდის თეატრი, რაც იქ ხდებოდა. გეხსომებათ, სასტუმრო „თბილისის“ კედელი, რომელიც „ალექსანდროვის,“ ამჟამად „9 აპრილის“, ბაღისკენ არის მიქცეული, ირიბადაა ჩამოჭრილი და სწორედ იმ ოთახის ერთ-დერთი ფანჯარა იყო ღია.

დროდადრო ისმოდა სროლის ხმა, უმთავრესად, ქაშვეთის ეკლესიის შენობიდან, სადაც, როგორც მერე შევიტყვე, თენგიზ კიტოვანის გვარდიელები იყვნენ ჩასაფრებულები. ეკლესიის ეზოში კი მთავრობის სახლისკენ ლულამიშვერილი ორი ქვემეხი იდგა. მიუხედავად ამისა, შორიანხლოს, ტროტუარებზე, საკმაოდ ბევრი ხალხი იდგა. უმეტესობა ჩემსავით გაოგნებული შეჰყურებდა ამ წარმოუდგენელ სანახაობას.

ერთხანს ვიდექი და ვუყურებდი, რა ხდებოდა ქუჩაში. თავი სიზმარში მეგონა! დროდადრო ავტომატების კაკანი, ყვირილი და გინება ისმოდა. ორჯერ თუ სამჯერ ყუმბარის აფეთქების ხმაც გავიგონე. სხვათა შორის, ტყვიები არ ზუზუნებენ, ტყვიები უსტვენენ - წსტ, წსტ, - რაღაც ამდაგვარ ხმას გამოსცემენ. ერთი-ორმა ფანჯარასთან ძალიან ახლოს, თითქმის ჩემს ცხვირწინ ჩაიფრინა. ეს მერე გავიაზრე, როცა გვიან ღამით სახლში დავბრუნდი, მაშინ ისე ვიყავი გაბრუებული, თავი სიზმარში მეგონა. უეცრად ვიღაცის ხმა მომესმა: „ეი, რა გინდა მანდ, ვინა ხარ?!“ მოვტრიალდი და დავინახე, ოთახში ახალგაზრდა ბიჭი შემოსულიყო. მე მაშინვე დავუწყე ახსნა-განმარტება - მე ამერიკის ხმიდან ვარ, აი, ჩემი საბუთები. მინდა ვნახო, ვინ ხელმძღვანელობს ამ საქმეს და ჩავიწერო-მეთქი.

სიტყვა ამერიკის გაგონებაზე თვალები ფართოდ დაადო, სახეზე სიხარული თუ აღტაცება გამოეხატა: „ამერიკიდან? მართლა? მე ეხლავე დავუძახებ ჩვენს უფროსს“ - ამ სიტყვებით ოთახიდან გავიდა და ხუთი თუ ათი წუთის შემდეგ დაბრუნდა დღეს პოლიტიკაში ექსპერტად ცნობილ მამუკა არეშიძესთან ერთად. ერთმანეთს თავი გავაცანი. როცა პროფესია ვკითხე, ტელევიზიიდან ვარ, ტელესტუდიაში ვმუშაობო. ინტერვიუსმიცემაზე მაშინვე დათანხმდა და ჩავიწერე. დამშვიდობებისას ფანჯარასთან ახლო ნუ მიხვალთ, საშიშიაო, მითხრა და ოთახიდან გავიდა. ახალგაზრდა, რომელმაც ის მოიყვანა, ოთახში დარჩა და მომმართა: „რამე მინდა გთხოვო, რა. მე ერთი კარგი ბიზნესი მინდა გავხსნა აქ, თბილისში, რა. თუ ამერიკიდან დამიფინანსებენ, წილში შეგიყვან. აი, ძალიან კარგი ბიზნესი იქნება, რა. ეხლა ჩვენ გავიმარჯვებთ და მაშინვე შემიძლია დავიწყო.“ ძალიან დიდი ბოდიში, მე ამ სფეროში სამწუხაროდ არავის ვიცნობ და ვერ დაგეხმარებით-მეთქი, ვუთხარი და დერეფანში გავედი.

იქ მთვრალი მეცინოვნე აღარ იდგა. იმ ოთახის კარი, სადაც მისი ორი ტუსადი სვანი იჯდა, მიხურული იყო. მაგიდასთან ისევ ისხდნენ ახალგაზრდები და იმავე საქმეს აგრძელებდნენ - იცინოდნენ, ეწეოდნენ, კარტს თამაშობდნენ. უეცრად რომელიღაც ოთახიდან ჩქარი ნაბიჯით გამოვიდნენ თენგიზ სიგუა, ელდარ შენგელაია და ჩემთვის რამდენიმე უცნობი პირი. ერთი პირობა გადავწყვიტე, უკან დავდევნებოდი და ინტერვიუ მეთხოვა, მაგრამ ისინი უკანმოუხედავად კიბეებზე ჩქარი ნაბიჯით დაეშვნენ და სადღაც გაუჩინარდნენ. მეც მათ მივყევი და სასტუმროდან ქუჩაში გავედი.

გარეთ ისევ გრძელდებოდა სურრეალისტური სანახაობა. მაყურებლები შეთხელებულიყვნენ. მთავრობის სახლის წინ ორი თუ სამი ხე ბოლავდა. ნანახით და მოსმენილით დათრგუნული დავუყევი ქუჩას რუსთაველის მეტროსკენ. არავითარი ტრანსპორტი არ მუშაობდა, მაგრამ იქედან ტელეფონით ნაცნობს დავურეკე, თუ შეგიძლია, სახლში წამიყვანე-მეთქი.



## „მთელი სვეტი აჟ არის“

დეკემბრის 23-24 რიცხვებში ნათლად გამოიკვეთა პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შეკრების ადგილები. პირველნი 21 დეკემბრამდე მთავრობის სასახლის წინ იყვნენ დაბანაკებული კიბეებზე და კარვებში. როგორც კი სამხედრო დაპირისპირება დაიწყო მთავრობასა და ოპოზიციას შორის, ისინი გაიფანტნენ და თბილისის სხვადასხვა ქუჩებში და მოედნებზე იკრიბებოდნენ პრეზიდენტის მხარდამჭერი აქციების მოსაწყობად.

ოპოზიციის და კიტოვან-იოსელიანის მომხრეთა მთავარი შტაბი სასტუმრო „თბილისი“ და ტელევიზიის სახლი იყო მაშინდელი ლენინის, ამჟამად კოსტავას ქუჩაზე. ოპოზიციის მომხრეთა კიდევ ერთი დიდი ჯგუფი რესპუბლიკის (ამჟამად ვარდების) მოედანზე იკრიბებოდა შემდგომ მონგრეული უმანჩჯესი თაღების წინ, რომელსაც ხალხში ანდროპოვის ყურებს ეძახდნენ. მართლაც ჰგავდა სასმენად მზადყოფ, გრძლად აჭიმულ, დაცქვეტილ ყურებს.

მე უმთავრესად ტელესტუდიის შენობიდან ქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირსა და მის მიდამოებში დავდიოდი და სადაც კი ვახერხებდი, ვცდილობდი, ინტერვიუები ჩამეწერა, ან უბრალოდ მესმინა, ვინ რას ამბობდა, გამეგო, როგორი იყო საერთო განწყობა. ერთი ჩემი კარგი ნაცნობის კარგმა ნაცნობმა ჯიპი - „კალხოზნიკი“ მათხოვა და იმით დავქროდი აქეთ-იქით.


ერთ საღამოს, ექვსი თუ შვიდი საათი იქნებოდა, როცა მანქანა „გეპეის“ (აღრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი) პირველ კოორპუსთან გავაჩერე და ტელევიზიის შენობისკენ დავეშვი. გზად ორ მამაკაცს ჩავუარე, ერთი ჩაფსკვნილი, ჯმუხი ტანისა იყო და სამხედრო ფორმა ეცვა. ორივე პაპიროსს ეწეოდა და ორივე რაღაცაზე გულიანად იცინოდა. ხილიანის ქუჩამდე ვიყავი მისული, რომ ჩემს უკან სწრაფი ნაბიჯების ხმა მომესმა. მივიხედე, მე ხომ არ მომდევს ვინმე-მეთქი და დავინახე ის ჯმუხი ტანის კაცი ისეთი ქშენით მიახლოვდებოდა, თითქოს კილომეტრები ერბინოს. არ შემშინებია, რადგან ტელევიზიის სახლი

იქვე იყო, მოჩანდა შენობის წინ კიბეებზე შეგროვილი ხალხი. ვიდაც მიკროფონთან იდგა და მსმენელებს ბრძოლისა და ტირანიისგან განთავისუფლებისკენ მოუწოდებდა. რკინის ღობის გასწვრივ საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა ყმაწვილი იჯდა და ლაზღანდარობდა. მე ჩემი პორტატიული მაგნიტოფონის და მანქანის გასაღების მეტი არაფერი მქონდა. რა უნდა დამაკლოს-მეთქი, ვიფიქრე.

რამდენიმე წამში აღმოჩნდა, რომ იმ კაცს მე სულაც არ ვაინტერესებდა. გვერდზე ჩამირბინა, ტელევიზიის წინ შეკრებილ ხალხს გვერდიდან მოუარა, ორატორს მივარდა, ყურში რაღაც უთხრა და მიკროფონი გამოართვა: „ხალხო, ამ მკვლელებმა იქ შავნაბადაზე ჩვენი ბიჭები ჩახოცეს! 60 ვაჟკაცი სიცოცხლეს გამოასალმეს ზვიადისტებმა! შური უნდა ვიძიოთ!“ პასუხად გაისმა აღშფოთებული ყვირილი: „უნდა დავამხოთ! დიქტატორი! სისხლისმსმელი!“ ეს კაცი სულ რამდენიმე წუთის წინ მოხითხითე რომ არ მენახა, შეიძლება დამეჯერებინა, რომ მართლაც რაღაც უბედურება მოხდა. ისეთი განწირული ხმით გაჰყვიროდა და მკერდზე მუჭს ისე იბრაგუნებდა, რომ იმ პერფორმანსში ნამდვილად ოსკარი ეკუთვნოდა.

აღმოჩნდა, რომ იმ კაცს მე სულაც არ ვაინტერესებდა. გვერდზე ჩამირბინა, ტელევიზიის წინ შეკრებილ ხალხს გვერდიდან მოუარა, ორატორს მივარდა, ყურში რაღაც უთხრა და მიკროფონი გამოართვა: „ხალხო, ამ მკვლელებმა იქ შავნაბადაზე ჩვენი ბიჭები ჩახოცეს! 60 ვაჟკაცი სიცოცხლეს გამოასალმეს ზვიადისტებმა! შური უნდა ვიძიოთ!“ პასუხად გაისმა აღშფოთებული ყვირილი: „უნდა დავამხოთ! დიქტატორი! სისხლისმსმელი!“ ეს კაცი სულ რამდენიმე წუთის წინ მოხითხითე რომ არ მენახა, შეიძლება დამეჯერებინა, რომ მართლაც რაღაც უბედურება მოხდა. ისეთი განწირული ხმით გაჰყვიროდა და მკერდზე მუჭს ისე იბრაგუნებდა, რომ იმ პერფორმანსში ნამდვილად ოსკარი ეკუთვნოდა.

ისეთი განწირული ხმით გაჰყვიროდა და მკერდზე მუჭს ისე იბრაგუნებდა, რომ იმ პერფორმანსში ნამდვილად ოსკარი ეკუთვნოდა. მსმენელებმა ერთხანს იყაყანეს: „ეგ უნდა დაიჭიროთ და ჩამოახრჩოთ, ეგ ჩაუჩესკუ, ეგ ნაძირალა“, მაგრამ მალე გული მოიხსეს და ორიოდ წუთის შემდეგ უკვე სხვა ორატორს უსმენდნენ. ეს იყო ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის შავგვრემანი ქალი, შავი თმები მხრებს ქვემოთ ჰქონდა ჩამოშვებული. ისიც პრეზიდენტსა და მის „კომუნისტურ“ მეთოდებს ლანძღავდა, მაგრამ უფრო ელეგანტურად, თუმცა მეტი ემოციური ეფექტებით.



ლაპარაკის დამთავრების შემდეგ ეს ქალბატონი კიბეებიდან დაბლა ჩამოვიდა, ქუჩას მოაშურა და ის-ის იყო ჩემს გვერდით უნდა ჩაეარა, რომ მომიბრუნდა და გამიღიმა: „თქვენ დოდონა ხართ, დოდონა კიზირია?“ დიას, ვუთხარი გაკვირვებულმა. „მე თქვენი ლექსები მაქვს წაკითხული, „ლიტერატურულ საქართველოში“ იყო დაბეჭდილი. სურათით გიცანით. მეც პოეტი ვარ,“ - მითხრა მან და ხელი გამომიწოდა. „მიხარია, რომ ჩვენს გვერდით დგახართ,“ - ამ სიტყვებით დამემშვიდობა და ზოოპარკის მიმართულებით წავიდა. ორიოდ წლის შემდეგ ის ქალბატონი კიდევ ერთხელ ვნახე ლიტერატურის ინსტიტუტში, როდესაც ბატონი როსტომ ჩხეიძის მოპატიუებით მოხსენება გააკეთე გიორგი სააკაძის შესახებ. რაღაც აფექტური კომენტარი გააკეთა იმის შესახებ, რომ ჩემს სიტყვებში მან სიყვარული და ჩვენი ისტორიით სიამაყე ვერ დაინახა. ჩემი პასუხის შემდეგ კი ადგა და დარბაზი დემონსტრაციულად დატოვა. მისი სახელი და გვარი არც მაშინ მახსოვდა და არც ახლა მახსოვს.


იმ საღამოს გვიანობამდე ვიდექი ტელევიზიის შენობის წინ, ვუსმენდი ორატორებსაც და ერთმანეთთან მოსაუბრე მსმენელებსაც. მათ შორის ასეთ დიალოგს მოვკარი ყური: ერთი 20-22 წლის ახალგაზრდა ქალი თავის თანატოლს ეუბნება: „მოდ, რუსთაველზე წავიდეთ, ვნახოთ, იქ რა ხდება.“ მეორე პასუხობს - „იქ რა გვინდა, მთელი სვეტი აქ არის.“

აქ მართლაც ყოველდღე ნახავდით ცნობილ და დამსახურებულ რეჟისორ-მსახიობ-მწერალთა სახეებს, მაგრამ იმ საღამოს ჩემი შავგვრემანი კოლეგა პოეტის გარდა სხვა არავინ შემიმჩნევია. ზატო „სვეტის“ მხარდამჭერები ბლომად იყვნენ. ■



## ხატია დავლიანიძე

# ასოცირებული ტრიოდან ბოსნია-ჰერცეგოვინას უკან გადასაცვლებული საქართველო



2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომის შემდეგ, მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა, რამაც ევროპის კავშირის გაფართოების პოლიტიკაზე გავლენა იქონია და გაწევრიანების მსურველი სახელმწიფოებისთვის შესაძლებლობის ფანჯარა გახსნა.

ისტორიული შანსის დადგომისთანავე, 2022 წლის თებერვალში უკრაინამ, ხოლო მარტში საქართველომ და მოლდოვამ ევროპის კავშირის წევრობაზე განაცხადი გააკეთეს. ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, ასოცირებული ტრიოს ორი წევრისგან - უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, საქართველოს ევროპის კავშირის კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭა. საბჭომ საქართველოს ევროპული პერსპექტივა აღიარა თუმცა, კანდიდატის სტატუსის მოპოვების წინაპირობად 12 პუნქტის შესრულება დაასახელა.

სახელმწიფოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება საკვანძო ეტაპია, რადგან სწორედ მისი მოპოვების შემდეგ იწყება გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები. პოტენციური კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში,



ქვეყანას ეძლევა წინაპირობა, რომ გაწევრიანების პერსპექტივა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება დღის წესრიგში, თუ ის შესაბამის პირობებს შეასრულებს.

ქართული დიპლომატიის მრავალწლიანი წარმატებული მუშაობით, შესაძლებელი გახდა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში მდებარე საქართველო, რომელსაც ევროპის კავშირთან სახმელეთო საზღვარი არ აქვს, უკრაინისა და მოლდოვას გვერდით აღმოჩენილიყო. საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ კი ზემოაღნიშნული მონაპოვარი წყალში ჩაყარა და ევროპული ინტეგრაციის გზაზე ნაბიჯი უკან გადადგა.

საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება მნიშვნელოვანი იმპულსი იქნებოდა ხელისუფლების მიერ ძირეული რეფორმების გასატარებლად. ამას გარდა, კანდიდატის სტატუსი პოლიტიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების წინაპირობაა. განვითარებისა და მოდერნიზაციის შესაძლებლობასთან ერთად, ის ევროპის კავშირის მხრიდან გაზრდილ ფინანსურ მხარდაჭერასაც გულისხმობს.

კანდიდატის სტატუსი საქართველოს მიმზიდველ საინვესტიციო გარემოდ აქცევდა, რაც ეკონომიკური პრობლემების თანდათანობით აღმოფხვრასა და მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს. ეს იქნებოდა ერთგვარი შესაძლებლობა, რომ ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად და მეორე მხრივ, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის, რომელსაც თბილისი დროებით ვერ აკონტროლებს, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტრასტი მნიშვნელოვნად გაზრდილიყო, რაც ქვეყანას აფხაზებისა და ოსებისთვის უფრო მიმზიდველს გახდიდა.

საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის შემდეგ, ბრიუსელმა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ევროინტეგრაციის პროცესი ერთმანეთისგან გააცალკევა და საქართველო ბოსნია-ჰერცეგოვინას გვერდით აღმოჩნდა.

ბოსნია-ჰერცეგოვინა 2003 წელს თესალონიკის ევროპული საბჭოს სამიტზე, დასავლეთ ბალკანეთის სხვა ქვეყნებთან ერთად, ევროპის კავშირის წევრობის პოტენციურ კანდიდატად დასახელდა. 2016 წლის თებერვალში ბოსნია და ჰერცეგოვინამ ევროპის კავშირის წევრობაზე განაცხადი გააკეთა. 2019 წელს ევროკომისიამ განაცხადის შესახებ დასკვნა გამოაქვეყნა და კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე, ქვეყანას 14 ძირითადი პრიორიტეტი განუსაზღვრა.

დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებით, ბოსნია-ჰერცეგოვინას ტერიტორიაზე სერბული რესპუბლიკა - სრპსკა და ბოსნიურ-ხორვატული ფედერაცია (აერთიანებს 10 კანტონს) შეიქმნა. ქვეყანაში პოლიტიკური ძალაუფლება ბოსნიელებს, სერბებსა და ხორვატებს შორის არის გადანაწილებული. სამი ეთნიკური ჯგუფის ლიდერსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული ეთნო-ნაციონალისტური დაპირისპირება სახელმწიფო ინსტიტუტებს გამართულად მუშაობის საშუალებას არ აძლევს, რაც ბოსნიას დისფუნქციურს ხდის.

ბოსნიელ, სერბ და ხორვატ ლიდერებს, ფაქტობრივად, მიტაცებული აქვთ ხელისუფლება და მათი საერთო მიზანი სამთავრობო ინსტიტუტებზე მონოეთნიკური კონტროლის კონსოლიდაციაა, რაც საბოლოო ჯამში, სისტემის კოტროლისა და ბალანსის შესაძლებლობას ძირს უთხრის. დისფუნქციურ პოლიტიკურ ინსტიტუტებთან ერთად, თვალშისაცემია სახელმწიფოს დაშლის საფრთხე. სრპსკას ლიდერი, მილორად დოდიკი სერბული რესპუბლიკის ბოსნია-ჰერცეგოვინიდან გასვლასა და სერბეთთან გაერთიანებას უჭერს მხარს. დოდიკი ქვეყნის ნატო-ში ინტეგრაციას ღიად ეწინააღმდეგება და სრპსკაში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზის განთავსება სურს. ის ჯერ კიდევ 2018 წელს გეგმავდა სრპსკას ბოსნია-ჰერცეგოვინიდან გასვლის თაობაზე რეფერენდუმის ჩატარებას, თუმცა, დასავლეთის მხრიდან მწვავე კრიტიკისა და ზეწოლის გამო რეფერენდუმი აღარ ჩატარებულა.

2021 წლის სექტემბერში სერბული რესპუბლიკის პარლამენტმა ბოსნია-ჰერცეგოვინას შეიარაღებულ ძალებთან, უზენაეს სასამართლოსა და საგადასახადო ადმინისტრაციასთან კავშირის გაწყვეტაზე მუშაობის დაწყებას მხარი დაუჭირა.



დოდიკის განცხადებით, მისი მისწრაფებები უკრაინაში რუსეთის შეჭრამ შეაფერხა, თუმცა მხოლოდ დროებით. ბოსნია და ჰერცეგოვინას დაშლის საფრთხე რეალურია და ის დისფუნქციური სახელმწიფოდან ნებისმიერ მომენტში შეიძლება იქცეს ვერშემდგარ სახელმწიფოდ.

2022 წლის ოქტომბერში ევროკომისიამ ბოსნია და ჰერცეგოვინასთვის ევროპის კავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა.

საქართველოს მმართველი გუნდის პასუხისმგებლობაა, რომ სახელმწიფო, რომელიც წლების განმავლობაში ასოცირებული ტრიოს წევრებს შორის მოწინავე პოზიციას იკავებდა და მისი პროგრესი ყველასთვის თვალშისაცემი იყო, ჯერ ბოსნია და ჰერცეგოვინას გვერდით აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ ამ ქვეყანასაც კი, რომელიც დისფუნქციური სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს, მნიშვნელოვნად ჩამორჩა.

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანმა ომმა ევროპის კავშირში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისთვის შესაძლებლობის ფანჯარა გახსნა, რაც მოლდოვამ და უკრაინამ გამოიყენა, საქართველოს ხელისუფლებამ კი ისტორიული შანსი ხელიდან გაუშვა.

მაშინ როდესაც ევროპის კავშირში ინტეგრაციის სამართლებრივი და ინსტიტუციური დაახლოების ახალი შესაძლებლობები ასოცირებული ტრიოს ორი წევრისთვის ეტაპობრივად გაიხსნება, საქართველომ 12 პუნქტის შესრულებასთან ერთად, ევროპის კავშირის ნდობა ხელახლა უნდა მოიპოვოს.

ევროპის კავშირის ისტორიაში მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, როდესაც გაფართოების ტალღა მხოლოდ ერთ სახელმწიფოს შეეხო - 1981 წელს საბერძნეთს და 2013 წელს ხორვატიას. საქართველოს ევროპულ გაერთიანებაში არ ჰყავს ისეთი მხარდამჭერ(ებ)ი, როგორც ზემოაღნიშნულ ორ სახელმწიფოს ჰყავდა, შესაბამისად, EU-ს კარის გახსნას მხოლოდ თვითონ ვერ შეძლებს.

იმის ნათელი მაგალითი, რომ ევროპის კავშირი ცალკე აღებული ერთი სახელმწიფოს გაწევრიანების შესაძლებლობას არ განიხილავს, ალბანეთია, რომლის ევროპული პერსპექტივაც მეზობელ სახელმწიფოსთან, ჩრდილოეთ მაკედონიასთან არის დაკავშირებული. იმის გამო, რომ ბულგარეთი EU-ს და სკოპიეს შორის გაწევრიანებასთან დაკავშირებით დაწყებულ მოლაპარაკებებს ბლოკავს, ევროპის კავშირის კარის მხოლოდ ალბანეთისთვის გახსნის შესაძლებლობა არ განიხილება, შესაბამისად მისი გაწევრიანების პროცესიც ფერხდება.

საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მოპოვება მმართველ ძალაზე, როგორც მოსახლეობის, ასევე ევროპის კავშირის მხრიდან, წნეხის გაზრდის შესაძლებლობა იქნებოდა, რაც ძირეული რეფორმების განხორციელებას უზრუნველყოფდა. საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვნად დახია უკან ასოცირებული ტრიოდან ამოვარდნამ და ისეთი პრობლემების მქონე სახელმწიფოსთან დაწყვილებამ, რომლის პოლიტიკური ლიდერებიც თავადაყენებენ ეჭვქვეშ სახელმწიფოს ლეგიტიმურობას, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება იქცეს ვერშემდგარ სახელმწიფოდ, სადაც სუბსახელმწიფოებრივი ინსტიტუტების პარალელური გაძლიერება სისტემას დისფუნქციურს ხდის და სადაც ქვეყნის განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის არ არსებობს შესაბამისი პოლიტიკური ნება. ევროკომისიის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინასთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციის შემდეგ, ცხადია, რომ ევროპის კავშირის ხედვით, ეს უკანასკნელი უფრო იმსახურებს ევროპულ გაერთიანებაში ყოფნას, ვიდრე საქართველო.

კანდიდატის სტატუსის ვერმოპოვება, ასოცირებული ტრიოდან ამოვარდნა და ბოსნია-ჰერცეგოვინას უკან გადანაცვლება, რაც საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, ნიშნავს ნაკლებ პოლიტიკურ სტაბილურობას, ნაკლებ უსაფრთხოებას, ნაკლებ დაცულობას, ნაკლებ განვითარებას, ნაკლებ რეფორმებს, ნაკლებ პროგრესს, ნაკლებ ფინანსურ მხარდაჭერას, ნაკლებ ინვესტიციას, ნაკლებ კეთილდღეობას... ■



სოსო ბერიკაშვილი



„საქართველოს ხელისუფლების წყაროა ხალხი“, ვკითხულობთ საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლში, რომელიც დემოკრატიას ეხება. კონსტიტუციურად, ჩვენ დემოკრატიული რესპუბლიკა ვვაქვს, სადაც ხალხის მიერ არჩეული ადამიანები ხალხის ბედს განაგებენ და, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე განკარგავენ მათ ქონებას.

თითქოს ძალიან მარტივია ეს ყველაფერი აღსაქმელად და გასააზრებლად, თუმცა პრაქტიკაში ასე მარტივად არ ხდება - ადამიანებს უჭირთ საქართველოს კონსტიტუციის ამ უმნიშვნელოვანესი პოსტულატის გაცნობიერება. ამას ბევრი მიზეზი აქვს. დღეს ერთ-ერთ მათგანზე - და არცთუ უმნიშვნელოზე - მინდა ვისაუბრო: ხალხს უჭირს იმის გაცნობიერება, რომ ბიუჯეტის ფული, რომელსაც ხელისუფლებაში მყოფი პირები საკუთარი ნება-სურვილისამებრ განკარგავენ, რეალურად, მათი ფულია!

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, დიდწილად, გადასახადებით ფორმირდება (ასევე, დასავლეთის დახმარება და ვალეებიც არის, მაგრამ ამაზე სხვა დროს). გადასახადებს კი ჩვენ, ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები ვიხდით. ვიხდით ყოველი ჩვენგანი, ყოველთვის და უპირობოდ, მიუხედავად იმისა, ვიცით ამის შესახებ თუ არა.

თუ ჩვენ ჩავატარებთ გამოკვლევას და ადამიანებს ვკითხავთ, რამდენი აქვთ ხელფასი, 100-დან 99 შემთხვევაში პასუხად მოგიგებენ იმ თანხას, რასაც უშუალოდ იღებენ ხელზე და არა რეალურ ხელფასს, რომელიც ამ (ხელზე ასაღებ) თანხაზე 25%-ით მეტია (სიმარტივისთვის, აქ შეგნებულად გამოვტოვე საპენსიო ფონდში წასული 2%).

დავუშვათ, ადამიანი დასაქმებულია მედდად და ყოველთვიურად, ხელფასის სახით, 400 ლარს იღებს (ასეთი დაბალშემოსავლიანი ადამიანების რაოდენობა, სამწუხაროდ, ძალიან დიდია ჩვენს ქვეყანაში). ასეთი ადამიანი, წლის განმავლობაში, მხოლოდ სამშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში იხდის 1200 (ათას ორას!) ლარს. თუ მას სახელმწიფო წინასაარჩევნოდ 200 ლარს აჩუქებს, ის ბედნიერი იქნება, რადგან ეს თანხა მისი ყოველთვიური ანაზღაურების ნახევარია. არადა, ექვსჯერ მეტი აქვს გადახდილი ბიუჯეტში, რაც, უბრალოდ, არ იცის.

აქედან გამოსავალი მარტივია და ეს გზა ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამ გაიარა - თუ ადამიანებს ჯერ ჩაუვრიცხავთ სრულ თანხას და მხოლოდ მერე

გადავანდევინებთ საშემოსავლო გადასახადს, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის იმის აღქმას, რომ ისინი გადასახადის გადამხდელები არიან. ეს პრობლემის გადაჭრის შედეგებით რადიკალური ფორმაა და, ამ შემთხვევაში, ადმინისტრირება არცთუ მარტივი საქმე იქნება, მაგრამ ამ გზით ქვეყნის დემოკრატიული განვითარება იმხელა სარგებელს მიიღებს, რომ ცდად ღირს!

შედარებით უფრო „მსუბუქი“ ფორმებიც არსებობს. მაგალითად, შეიძლება საბანკო აპლიკაციის ხარჯვით ნაწილში გაჩნდეს გრაფა „ბიუჯეტში გადარიცხული თანხები“. მერწმუნეთ, იპოთეკურის სესხის არსებობის შემთხვევაშიც კი, ეს თანხა ხარჯებში პირველ ადგილს დაიკავებს. ან შესაძლოა, როცა ხელფასის ჩარიცხვის მახარობელი სმს მოგვდის ბანკიდან, ასევე იგზავნებოდეს ბიუჯეტში შესაბამისი გადარიცხვის შესახებაც ინფორმაცია.

მაგალითად: „2022 წლის სექტემბერში თქვენი შრომის ანაზღაურება იყო 1250 ლარი, აქედან, თქვენ გერიცხებათ 1000 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს - 250 ლარი“.

ამ ყოველივეს გაკეთება სახელმწიფოს მარტივად შეუძლია, მაგრამ სახელმწიფო არ თვლის, რომ ეს შედის მის ინტერესებში, რადგან თუ მოქალაქეები გააცნობიერებენ, რომ ბიუჯეტის ფული მათი ფულია, ნებისმიერ ხარჯვაზე პასუხს ბევრად უფრო მკაცრად მოითხოვენ.

სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური ნების არარსებობის პირობებში, დასაწყისისთვის, კონკრეტულ დამსაქმებლებს შეუძლიათ დასაქმებულების ინფორმირება მათ მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

ადამიანები, რომლებიც „არაფორმალურ“ სექტორში არიან დასაქმებული ან ხელფასს „ხელზე“ იღებენ (ასეთი ადამიანი, მოგეხსენებათ, ბევრია ამ ქვეყანაში) ხშირად ფიქრობენ, რომ ისინი არ იხდიან გადასახადებს, რადგან მათი დამსაქმებელი არ აკავებს საშემოსავლო გადასახადს. ცხადია, ისინი ცდებიან. საშემოსავლო გადასახადი არც ერთადერთი და არც ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადია საქართველოში. გაცილებით მნიშვნელოვანია დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელზეც მოდის ბიუჯეტში საგადახადო შემოსავლების ნახევარზე მეტი. დღგ არაპირდაპირი გადასახადია, რაც იმას ნიშნავს, რომ გადასახადს ბიუჯეტში სხვა იხდის, თუმცა საგადასახადო ტვირთი საბოლოო მომხმარებელზე, ანუ უბრალო ადამიანებზე მოდის. მაგალითად, თქვენ ყიდულობთ სკამს 118 ლარად, გამყიდველი ბიუჯეტში იხდის 18 ლარს დღგ-ს სახით, თუმცა, რეალურად, ეს 18 ლარი თქვენ გადაიხადეთ. დღგ რომ არ არსებობდეს, ამავე სკამს 100 ლარად იყიდდით. მართალია ყველაფერი არ იბეგრება დღგ-ით, მაგრამ, უხეშად რომ ვთქვათ, ჩვენ მიერ მოხმარებული პროდუქციის 80%-ში დღგ შედის.

გვაქვს სხვა არაპირდაპირი გადასახადებიც. კერძოდ, აქციზი და იმპორტის გადასახადი, რომლებიც ასევე შედის ჩვენ მიერ ნაყიდი უამრავი პროდუქტის ფასში და მას ვიხდით ჩვენ, არაპირდაპირ. ამ შემთხვევაშიც კარგი იქნებოდა თუ პროდუქციის ღირებულებაში გამოყოფილი იქნებოდა გადასახადები და გვეცოდინებოდა, რამდენს ვიხდით რეალურად. ამ პრაქტიკას საქართველოში მხოლოდ რესტორნები იყენებენ, ოღონდ მათ უფრო მარკეტინგული მიზნები ამოძრავებთ, ვიდრე ცნობიერების ამაღლების სურვილი.

**თუ ადამიანებს ჯერ ჩაუვრიცხავთ სრულ თანხას და მხოლოდ მერე გადავანდევინებთ საშემოსავლო გადასახადს, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის იმის აღქმას, რომ ისინი გადასახადის გადამხდელები არიან.**


**თუ თქვენი შემოსავალი თვეში საშუალოდ ხელზე ასადები 1000 ლარია, მაშინ გადასახადების სახით სახელმწიფოს დაახლოებით 500 ლარს უხდით. არც ისე ცოტაა, არა?**

ცნობიერების ამაღლებას წაადგება თუ, მაგალითად, მოგვივა მოკლე ტექსტური შეტყობინება ბენზინგასამართი სადგურიდან, რომ როცა ჩვენ ავტომობილში საწვავი ჩავასხით, ამ ბენზინის ღირებულებაში შედიოდა დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი.

საგადასახადო წნეხი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის საქონელს მოვიხმართ (მაგალითად, თუ აქციზური საქონლის, როგორცაა თამბაქო და ალკოჰოლი, მომხმარებლები ვართ, ჩვენი საგადასახადო წნეხი იზრდება), ამისი გამოთვლა მეტნაკლები სიზუსტით საქსტატის კალკულატორით (<http://mytaxes.geostat.ge/mytaxes/>) არის შესაძლებელი. ჩემი შეფასებით, თუ თქვენი შემოსავალი თვეში საშუალოდ ხელზე ასაღები 1000 ლარია, მაშინ გადასახადების სახით სახელმწიფოს დაახლოებით 500 ლარს უხდით. არც ისე ცოტაა, არა?

ვფიქრობ, ჩემ მიერ შემოთავაზებული რომელიმე მექანიზმის ამოქმედება დაგვეხმარება იმის გააზრებაში, რომ სახელმწიფოს მმართველები ანგარიშვალდებულნი მხოლოდ ხალხის, ანუ ჩვენ წინაშე არიან და, საბოლოო ჯამში, ჩვენ უნდა ვწყვეტდეთ, რაში დაიხარჯება ჩვენი ფული, იქნება ეს გზების მშენებლობა, რთველის სუბსიდირება, გელათის გადახურვა თუ არასტანდარტული ვაშლის სუბსიდირება. არ ვამბობ, რომ არ უნდა დავეხმაროთ გლეხს, რომელსაც სეტყვამ ვენახი დაუზიანა, უბრალოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ სუბსიდირების შემთხვევაში მას ჩვენ ვეხმარებით და არა პრემიერი ან მმართველი პარტია. ■





გიორგი გიგინელი

# ტყვარჩელის ტრაგედია




1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, ტყვარჩელის ქართულ-აფხაზურ მოსახლეობასა და ქართული გვარდიის ნაწილებს შორის შედგა არაფორმალური შეთანხმება, რომლის შედეგადაც ქართული საჯარისო ნაწილები ტყვარჩელში აღარ შევიდნენ. შეთანხმების თანახმად, ქალაქს ნეიტრალური პოზიცია უნდა დაეჭირა კონფლიქტში, თუმცა შეთანხმებიდან რამდენიმე დღეში ტყვარჩელის ყველა შესასვლელი დაინაღმა და, რუს სამხედროთა აქტიური დახმარებით, ქალაქის აფხაზურმა მოსახლეობამ კარგად ორგანიზებული შეტევითი სამხედრო ინფრასტრუქტურა შექმნა. სეპარატისტებმა ე.წ. ნეიტრალიტეტის შეთანხმება თავდასხმების მოსამზადებლად გამოიყენეს და მალევე დაარღვიეს. როგორც შემდგომ გაირკვა, ამ საქმისათვის მათ იარაღისა და საბრძოლო მასალების შეგროვება 1991 წლიდან ჰქონდათ დაწყებული. რუსი ოფიცრებისა და აფხაზი სეპარატისტების მიერ ტყვარჩელის ზონაში შეიქმნა ე.წ. „ადმოსავლეთის ფრონტი“. ამ საქმეს, სხვა პირებთან ერთად, ხელმძღვანელობდნენ აფხაზური ორგანიზაცია „აიდგილარას“ წევრები: ვლადიმერ ანცუპოვი (აფხაზეთში მცხოვრები რუსი ოფიცერი, ისტორიკოსი და კარატეს მასწავლებელი) და სეპარატისტი ასლან ზანთარია. ისინი იყვნენ მთავარი შემსრულებლები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქართველი შინაგან საქმეთა მინისტრის, გივი ლომინაძის წინააღმდეგ მოწყობილი თავდასხმისა, მათვე ჩამოაყალიბეს დივერსიული ჯგუფი „კატრანი“, რომელიც სულ მალე მძლავრ, აგრესიულ დაჯგუფებად გარდაიქმნა. მათ პირველ რიგში მოაგვარეს „ადმოსავლეთის ფრონტის“ „თავდაცვითი“ (სინამდვილეში, თავდასხმითი) ზოლისა და ინფრასტრუქტურის გამართვის საკითხები და მალევე დაიწყეს მიმდებარე

ოჩამჩირის რაიონის სოფლებზე სისტემატური, დაუნდობელი თავდასხმები. ისინი მიზანმიმართულად წვავდნენ ქართველების სახლებს და უმოწყალოდ, ეთნიკური ნიშნით, ხოცავდნენ მშვიდობიან, უიარაღო მოსახლეობას.

საომარი მოქმედებების ზურგში ასეთი ვითარება დიდ პრობლემებს ქმნიდა ფრონტზე. თუმცა, ქართული მხარის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ქაოტური, ზერელე თუ, ხშირად, აუხსნელი ქმედებების გამო, ვერ ხერხდებოდა ტყვარჩელის მიმართულებიდან მომავალი შეტევების მოგერიება. გასათვალისწინებელია, რომ ქართული ჯარი საავიაციო და საარტილერიო



ასლან ზანთარია



ვლადიმერ ანსკუოვი

დარტყმებს არ ახორციელებდა, ვინაიდან ქალაქში დიდი რაოდენობით იყო მშვიდობიანი მოსახლეობა. საბოლოოდ, ქართულმა სარდლობამ გადაწყვიტა ტყვარჩელის ზონა სამხედრო ბლოკადაში მოექცია, ხოლო მშვიდობიანი მოსახლეობის საჭიროებების უზრუნველსაყოფად, 1992 წლის ოქტომბრიდან, ბლოკირებული ტყვარჩელისთვის შეიქმნა ჰუმანიტარული კორიდორი გუდაუთის მიმართულებით. შეთანხმების მიხედვით, ვერტმფრენებს, როგორც ტყვარჩელში შესვლისას, ისე უკან დაბრუნებისას უნდა გაევლოთ სოხუმის აეროდრომზე რუსულ-ქართული ერთობლივი კომისიის კონტროლი და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდათ ნებართვა გაეგრძელებინათ გზა. ამ დროს უნდა შემოწმებულიყო ბორტზე მყოფ პირთა ვინაობა, ტვირთის სახეობა და, ზოგადად, რეისის შესაბამისობა ჰუმანიტარულ მიზნებთან. ასეთი შეთანხმებული წესითა და მარშრუტით, ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა ტყვარჩელი სრულიად უპრობლემოდ. თუმცა, ცხადი იყო, რომ მსგავსი სამშვიდობო სქემა არ შედიოდა კრემლისა და აფხაზი სეპარატისტების ინტერესებში. ხშირი იყო ქართული საკონტროლო პუნქტის გვერდის ავლით, გუდაუთიდან პირდაპირ ტყვარჩელში და უკან განხორციელებული რეისები. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ვერტმფრენებით სისტემატურად ხდებოდა ტყვარჩელში იარაღისა და საბრძოლო მასალების შეტანა, ცოცხალი ძალის გადაყვანა, საველე მეთაურებისა და სამხედრო ინსტრუქტორების გადასროლა, უკანა გზაზე კი დაჭრილი მებრძოლების გამოყვანა. ამრიგად, ე.წ. „ჰუმანიტარული მარშრუტი“ აქტიურად გამოიყენებოდა საბრძოლო ამოცანებისთვის. ცხადია, ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ ქართულ სპეცსამსახურებსაც.

1992 წლის ოქტომბერში გაგრამი ჩატარებული ბარბაროსული ეთნოწმენდის შემდეგ, რომლის დროსაც რუსეთიდან მოვლენილმა დაქირავებულმა ბოვიკებმა და აფხაზებმა გეგმაზომიერად, გაუგონარი სისასტიკით ამოხოცეს გაგრის რაიონის ქართული მოსახლეობა, ქართული მხარე მიხვდა, რომ საქმე დაუნდობელ, წესების გარეშე მოქმედ ვერაგ მტერთან ჰქონდა. ტკივილთან ერთად, გაჩნდა შურისძიების ლეგიტიმური წყურვილი. ამის მიუხედავად, 1992 წლის 3 სექტემბრის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ, რომელიც საომარი მოქმედებების დაწყებიდან სამიოდე კვირაში დაიდო, ქართული მხარე ფაქტობრივად აღარ აწარმოებდა შეტევით ოპერაციებს და ქართული მოსახლეობით დასახლებული პუნქტების დაცვაზე იყო კონცენტრირებული.



ფელიქს ბეკალიძე

1992 წლის ოქტომბერში გაგრაში ჩატარებული ბარბაროსული ეთნოწმენდის შემდეგ, რომლის დროსაც რუსეთიდან მოვლენილმა დაქირავებულმა ბოევნიკებმა და აფხაზეთმა გეგმაზომიერად, გაუგონარი სისასტიკით ამოხოცეს გაგრის რაიონის ქართული მოსახლეობა, ქართული მხარე მიხვდა, რომ საქმე დაუნდობელ, წესების გარეშე მოქმედ ვერაგ მტერთან ჰქონდა. ტკივილთან ერთად, გაჩნდა შურისძიების ლეგიტიმური წყურვილი. ამის მიუხედავად, 1992 წლის 3 სექტემბრის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ, რომელიც საომარი მოქმედებების დაწყებიდან სამიოდე კვირაში დაიდო, ქართული მხარე ფაქტობრივად აღარ აწარმოებდა შეტევით ოპერაციებს და ქართული მოსახლეობით დასახლებული პუნქტების დაცვაზე იყო კონცენტრირებული. რუსეთიდან მართული სეპარატისტები კი სამშვიდობო შეთანხმებას იმთავითვე მხოლოდ გადასაჯგუფებლად, უკეთ შესაიარაღებლად და შეტევითი ოპერაციების დასაგეგმად იყენებდნენ. სანამ ქართული მხარე სამშვიდობო ხელშეკრულებით ხელმძღვანელობდა და გაჩერებული იყო, აფხაზური მხრიდან თავდასხმები არ წყდებოდა.



„სტრელა 2“



მი-8 T

1992 წლის 14 დეკემბერს, 13:00 საათზე, რუსულ-აფხაზურმა მხარემ გადაწყვიტა გუდაუთიდან ტყვარჩელში მორიგი „ჰუმანიტარული“ რეისი განხორციელებინა. რუსეთის ფედერაციის სამხედრო საჰაერო ძალების ორ „მი-8T“ ტიპის ვერტიმფრენს, საბორტო ნომრებით „02“ და „03“, რომლებსაც მართავდნენ მფრინავები რუსეთის ქალაქ სამარადან, ალექსეი პოდპრუგინის მეთაურობით, ოფიციალური განცხადებით, 6 ტონა ფქვილი გადაჰქონდათ ტყვარჩელში. არსებული შეთანხმების დარღვევით, რუსმა მფრინავებმა არ გაიარეს შემოწმება ქართულ საკონტროლო პუნქტში და, რუსული საბრძოლო ავიაციის ორი „სუ25“-ის თანხლებით, გუდაუთიდან პირდაპირ ტყვარჩელში ჩაფრინდნენ. სინამდვილეში, აღნიშნული რეისით, მათ ტყვარჩელში შეიარაღება და კავშირგაბმულობის უახლესი საშუალებები ჩაიტანეს, ასევე ჩაიყვანეს რუსეთიდან მოვლენილი სამხედროები, დაგეგმილი შეტევითი მოქმედებების კოორდინაციის მიზნით.

ვერტიმფრენები დაახლოებით ორ საათში უნდა დაბრუნებულიყვნენ გუდაუთის ბაზაზე. ტყვარჩელში შეთანხმების დარღვევით ჩაფრენის მიუხედავად, მათ



ჰქონდათ როგორც შესაძლებლობა, ასევე - ვალდებულება, უკანა მარშრუტი მაინც შეეთანხმებინათ ქართულ მხარესთან და გაევლოთ კონტროლი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ უკანა მარშრუტზეც იგეგმებოდა რეისის არაჰუმანიტარული მიზნებით გამოყენება, აქაც რუსულ-აფხაზურმა მხარემ სრულიად შეგნებულად გადაწყვიტა შეთანხმებული პროცედურისა და მარშრუტის დარღვევა, იმ იმედით, რომ რუსული საბრძოლო ავიაცია კვლავ უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოებას და გააცილებდა ვერტიფრენებს. რუსმა სამხედრო მფრინავებმა კარგად იცოდნენ, რომ უკანა გზაზე რუსულ-აფხაზური მხარის მებრძოლები უნდა წამოეყვანათ, მათ შორის, რუსეთის ფედერაციიდან მოვლენილი ვიცე-პოლკოვნიკი, ფელიქს ბეკალდიევი („მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ შტაბის უფროსი, რომელიც კონკრეტული სამხედრო დავალებით ჩასულიყო ტყვარჩელში რამდენიმე დღით ადრე), მისი თანამზრახველი, რუსლან შაოვი და მათ მიერ ტყვედ აყვანილი ქართული შეიარაღებული ძალების უკრაინელი მზვერავი, რომელიც გუდაუთაში უნდა გადაეყვანათ სამხედრო ხელმძღვანელობის მოთხოვნით; ასევე ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები რუსი მედესანტე, ვლადიმერ ანცუპოვი და არძინბას უახლოესი თანამებრძოლი ბოევიკი - ასლან ზანთარია. ჯამში, ვერტიფრენში თორმეტამდე შეიარაღებული ბოევიკი იმყოფებოდა.

მათ გარდა, ბლოკირებულ ტყვარჩელში უამრავი ადამიანი იყო, ვისაც ქალაქიდან გასვლა ეწადა. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ორივე ვერტიფრენი გაივსო ქალებითა და ბავშვებით. მგზავრების დიდი ნაწილი შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახებიდან იყვნენ. ვერტიფრენში, შეიარაღებულ ბოევიკებთან ერთად აუშვეს 35 ბავშვი და 8 ფეხმძიმე ქალი. ეს ამბავი 300-მდე ადამიანის თვალწინ ხდებოდა. სამწუხაროა, რომ ტყვარჩელში იმ მომენტში არ აღმოჩნდა არც ერთი ადამიანი, რომელიც წინ აღუდგებოდა ბოევიკებს, დაატოვებინებდა მათ ვერტიფრენს და არ მისცემდა საშუალებას, ბავშვები და ქალები გამოეყენებინათ ცოცხალ ფარად. ამ შემთხვევაში, ვერტიფრენი უპრობლემოდ შეძლებდა იმ შეთანხმებული მარშრუტით გაფრენას სოხუმის გავლით, რომელიც უსაფრთხოც იყო და რომლითაც მანამდე ათასზე მეტი მშვიდობიანი ტყვარჩელელი გადავიდა გუდაუთაში.

გადაადგილების ასეთი მეთოდები, ძირითად შემთხვევებში, შეთანხმებული იყო სეპარატისტთა ლიდერებთან, თუმცა, უცნობია, კონკრეტულად ეს მარშრუტი შეთანხმდა თუ არა მათთან. ასევე ხაზგასასმელია, რომ პოლკოვნიკ ა.პოდპრუგინს, თავის მფრინავებთან ერთად, 14 დეკემბრის „ჰუმანიტარულ“ რეისამდეც და მას შემდეგაც არაერთი საბრძოლო გაფრენა ჰქონდა განხორციელებული, სწორედ იმ ბორტი #02 და ბორტი #03-ით და სწორედ იმ არეალში. ომის შემდეგ იგი დარჩა აფხაზეთში და ერთ-ერთი გამოძევებული ქართველის სახლში დასახლდა.

14 დეკემბერს, 17:10 წუთზე, ორივე სამხედრო ვერტიფრენი ზღვის დონიდან 1900 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა და, გააფრთხილებული საბრძოლო მოქმედებების არეალის გავლით, ჰუმანიტარული ფრენებისთვის შეთანხმებული მარშრუტის დარღვევით, გუდაუთისკენ აიღო გზი. მფრინავის განცხადებით, ეს იყო ე.წ. უსაფრთხო სიმაღლის ნიშნული, რადგან ყველაზე შორეულ ვერტიკალურ მანძილზე მოქმედი იარაღი, რომელიც აფხაზეთში მეომარ მხარეებს გააჩნდათ, მაქსიმუმ 1500 მეტრზე მოქმედებდა, მაგრამ ის ვეღარ გაითვალისწინეს, რომ 500-600 მეტრის სიმაღლის მთაზე ასვლის შემთხვევაში მსროლელს შეეძლო, მიწვდომოდა 1900 მეტრის ნიშნულს. ალექსეი პოდპრუგინის განცხადებით, რომელიც ბორტ #02-ს მართავდა, მხოლოდ აფრენის შემდეგ, უკვე ლათას სიახლოვეს, დაიწყო მან რუსული „სუ-25“-ის ეკიპაჟთან დაკავშირება, რომლებთანაც შეთანხმება ჰქონდა, რომ მათ უკანა გზაზე ვერტიფრენები უნდა გაცილებინათ.

აღნიშნული რეისით, მათ ტყვარჩელში შეიარაღება და კავშირგაბმულობის უახლესი საშუალებები ჩაიტანეს, ასევე ჩაიყვანეს რუსეთიდან მოვლენილი სამხედროები, დაგეგმილი შეტევითი მოქმედებების კოორდინაციის მიზნით.

რუსული სადესანტო ჯარების საგამოძიებო კომისიის დასკვნით (რომლის სანდოობა იმთავითვე ეჭვქვეშაა), 17:39 საათზე გაისროლეს სოფელი ლათას მიმდებარე ერთ-ერთი მთის უმაღლესი წერტილიდან, „მიწა-ჰაერის“ ტიპის გადასატანი საზენიტო კომპლექსი „სტრელა-2“-დან. ჭურვი მოხვდა ბორტი #03-ს, რომელიც ჩამოვარდა. დაიღუპა ყველა მგზავრი: ბავშვები, ქალები, ხანდაზმულები, ბოევიკები, რუსი მფრინავები - ყველა. სხვადასხვა მონაცემებით, დაიღუპა 70-დან 87 ადამიანამდე.

ტრაგედიის პირველივე დღეებიდან, ქართული მხარე დაბნეულად გამოიყურებოდა. ერთი მხრივ, დადასტურდა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, რეისი არ ყოფილა ჰუმანიტარული. თუმცა, ანცუპოვის, ზანთარიას, ბეკალდიევის და სხვა ბოევიკების სიკვდილი სრულიად დაჩრდილა დატრიალებულმა უბედურებამ.

რაკი ვერტმფრენიცა და მისი ეკიპაჟიც რუსული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედიოდნენ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნით, მეორე დღესვე, კატასტროფის ადგილზე შევიდა რუსეთის სადესანტო ძალების მამველთა ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა შემთხვევის ადგილი და ცხედრები გუდაუთაში გადაასვენა, უკვე წითელი ჯვრის სპეცნიშნის ვერტმფრენებით. მოგვიანებით, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, რუსმა მფრინავებმა დაადასტურეს, რომ ვერ აკონტროლებდნენ ბორტ #03-ში მგზავრთა ჩასხდომას (შედეგად, ვერტმფრენებზე მგზავრთა საერთო რაოდენობა დაშვებულს სამჯერ აღემატებოდა) და რომ იქ მართლაც იყვნენ მებრძოლები, რომლებიც აფხაზური სამხედრო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მოხვდნენ ბორტზე. ისინი ასევე გამოთქვამდნენ გულისწყრომას „სუ25-ის“ მფრინავების მიმართ, რომლებმაც დროულად ვერ შეძლეს რეისის „გაცილება“ და, ყველაზე საშიშ მონაკვეთში, უყურადღებოდ დატოვეს ვერტმფრენები.

ამ ტრაგიკული დღის შემდეგ 30 წელი გავიდა. ქართული მხარე აღნიშნულ საკითხზე დუმს, რიგითი მოქალაქეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ კი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არაფერი იცის ლათაში დატრიალებული უბედურების შესახებ. გაყინული კონფლიქტისა და რუსული ოკუპაციის პირობებში, ლათას ტრაგედია, რეალურად, გამოუძიებელი დარჩა. სეპარატისტებისთვის ისტორია რუსებმა დაწერეს, მაგრამ რეალურად, დღემდე დაუდგენელია, ვინ და რატომ გაისროლა ვერტმფრენის მიმართულებით, იყო თუ არა მსროლელი ქართული მხარის წარმომადგენელი (იქნებ რუსული პროვოკაცია იყო, შეურიგებელი განწყობების ჩასაქვიტიკირებლად?). ანაც - ვინ მიიღო გადაწყვეტილება ჰუმანიტარული რეისი სამხედრო მიზნებისთვის გამოეყენებინათ, შეთანხმება დაერღვიათ და ფრენის მარშრუტი შეეცვალათ?

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სავარაუდო გასროლა ქართული მხარის კონტროლირებადი ტერიტორიიდან მოხდა, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ არ მიიჩნია საჭიროდ, ჩატარებულიყო გამჭვირვალე გამოძიება და იმპლიციტურად მომხდარზე პასუხისმგებლობა აიღო. თავის მხრივ, არც სეპარატისტული ხელისუფლება აქტიურობდა (არძინბას ჩვეულ განცხადებებს თუ არ ჩავთვლით). მიზეზი მარტივია: გლოვის დღეებში, სეპარატისტთა ლიდერებს პროცესები „ხელიდან გაექცათ“ - გამოამკარავდა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა ცოცხალ ფარად გამოიყენებოდა, რომ რეისი ჰუმანიტარული არ იყო და შეთანხმების დარღვევით ხორციელდებოდა. ობიექტური მოკვლევის შემთხვევაში, ბევრი დამნაშავე გამოვლინდებოდა მათ რიგებშიც.

ამ პირობებში, რუსულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ და მათთან სინქრონში მოქმედმა აფხაზ სეპარატისტთა ჯგუფებმა ქართველთა დუმილი სიძულვილისა და მტრობის შემდგომი გაღვივებისათვის გამოიყენეს და აფხაზურ საზოგადოებამდე მიიტანეს სრულიად ყალბი ინფორმაცია, რომ თითქოს წითელი ჯვრის სპეციალური ნიშნით აღჭურვილ ვერტმფრენს ქართველებთან წინასწარი შეთანხმებით გადაჰყავდა ქალები და ბავშვები, რომ რეისი წმინდად ჰუმანიტარული ხასიათის იყო

და „სისხლისმსმელმა ქართველებმა“ იგი განზრახ ჩამოაგდეს, ხოლო მოგვიანებით, უბედურების ადგილზე არ დაუშვეს მამველთა ჯგუფები.

სინამდვილეში, დადასტურებულია, რომ სამხედრო ვერტმფრენს არანაირი წითელი ჯვრის ნიშანი არ ჰქონდა, რომ დაღუპულთა ყველა გამოქვეყნებულ სიაში ფიქსირდებიან სამხედრო პირები, რომ ქართულმა მხარემ დაუშვა კატასტროფის ადგილზე მამველთა ჯგუფები, რომ უსაფრთხო კორიდორი არ გადიოდა ლათასთან, არამედ გადიოდა სოხუმის გავლით და იგი უამრავმა ტყვარჩელელმა აფხაზმა უსაფრთხოდ, შეთანხმების შესაბამისად, გაიარა ისე, რომ არავის მათზე თავდასხმა არ უცდია.



ვერტმფრენის გადაადგილების მარშრუტი (მწვანედ აღნიშნულია სამშვიდობო შეთანხმებით გათვალისწინებული მარშრუტი, წითლად - რუსის ფაქტობრივი მარშრუტი)

არსებობს კიდევ ერთი სავარაუდო ვერსია, რომელსაც არსებობის უფლება ნამდვილად აქვს და რომლის მიხედვითაც, ტყვარჩელიდან ვერტმფრენების აფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე, ქართულ „მილიციას“ ტყვარჩელიდან მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ძებნილი კრიმინალები - ანცუპოვი და ზანთარია, სხვა ბოევიკებთან ერთად, აპირებდნენ რუსული სამხედრო ვერტმფრენით (კონკრეტული ბორტის ნომრის მითითებით) გუდაუთაში გადაფრენას. გასათვალისწინებელია, რომ ანცუპოვსა და, განსაკუთრებით, ზანთარიას ბევრი მტერი ჰყავდა თვითონ სეპარატისტთა შორის. არ არის გამორიცხული, რომ მათი თავიდან მოშორება წინასწარვე ყოფილიყო გადაწყვეტილი, ხოლო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბოევიკებთან ერთად ვერტმფრენში ქალები და ბავშვები იყვნენ, ქართული მხარისათვის არ მიუწოდებიათ. ამ ვერსიას ამყარებს ის ფაქტი, რომ გასროლა განხორციელდა სწორედ და მხოლოდ იმ ვერტმფრენის მიმართულებით, რომელშიც ბოევიკები ისხდნენ (ბორტი #02 უვნებლად ჩაფრინდა გუდაუთაში). თუმცა, ეს ვერსია დაუდასტურებელ ინფორმაციებს ეყრდნობა, რის გამოც მოცემულ ეტაპზე მისი უფრო დეტალური განხილვა შეუძლებელია.


აფხაზეთში დღემდე რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან ფინანსდება ლათას ტრაგედიასთან დაკავშირებული პროპაგანდისტული ღონისძიებები, რომელთა მთავარი მიზანი ქართველთა მიმართ სიძულვილის გაღვივება და შენარჩუნებაა. სიცრუემ, სიძულვილის პროპაგანდამ და ქართული მხრიდან აუხსნელმა დუმბილმა თავისი შედეგი გამოიღო. დღეს ლათას ტრაგედია აფხაზური საზოგადოების მთავარ

ომისდროინდელ ტრავმად რჩება. აფხაზებთან შერიგება ლათას ტრაგედიაზე კეთილსინდისიერი საუბრის გარეშე, შეუძლებელია (ისევე, როგორც ქართველებთან შერიგება ძნელი წარმოსადგენი გაგრისა და სოხუმის გენოციდების გააზრებისა და დამნაშავეთა დასჯის გარეშე). ამ პირობებში, რა გასაკვირია, რომ ომის ცხელი ფაზის დასრულებიდან ოცდაათი წლის შემდეგაც ვერ ხერხდება აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენა.

იმედია, მალე მოვა დრო, როცა აღდგენილი ტერიტორიული მთლიანობისა და სახლებში დაბრუნებული დევნილების პირობებში, ქართული სახელმწიფო, ომის სხვა დანაშაულებთან ერთად, გამოიძიებს ლათას შემზარავ ტრაგედიას - დაადგენს



მის გამომწვევ მიზეზებს და გამოავლენს დამნაშავეებს, რომელი ეროვნებისაც არ უნდა იყვნენ ისინი. იმედია, არა მხოლოდ სოხუმში მიეგება სათანადო პატივი 1992 წლის 14 დეკემბერს ლათასთან დაღუპულ უდანაშაულო ქალებსა და ბავშვებს. თავად ეს დღე და მისი გააზრება სჭირდება როგორც ქართულ, ისე აფხაზურ საზოგადოებას იმისთვის, რომ ომის ჭრილობები მოვიშუშოთ და ერთად გავაგრძელოთ ცხოვრება. მანამდე კი... ნათელში ყოფილიყვნენ ლათასთან უდანაშაულოდ დაღუპულთა სულები! ■



ბუბა კუდავა

მივიწყებულ სიმბოლოთა ამბები

# სად გავაქრეთ ქართველ მეფეთა სასახლენი?

ხშირად გაიგებთ წუხილს, რომ არ შემოგვრჩა ქართველ მეფეთა სასახლეები. ან შემოგვრჩა, მაგრამ ძალზე მცირე ზომისანი. გაიგებდით გაკვირვებასაც, გაკიცხვასაც, გაბრაზებასაც - რატომ არ აშენებდნენ ისეთებს, რომლებითაც ვიამაყებდით, როგორ გინდა, ვინმე ევროპელს აუხსნა, რომ მაგალითად თელავის სასახლე სწორედ სამეფო რეზიდენციააო.

კონტრასტი თვალშისაცემია არა მხოლოდ ევროპულ სასახლეებთან, არამედ ქართულ ეკლესია-მონასტრებთანაც - მასშტაბი, სივრცე, შემკულობა, მოხატულობა, მღებარეობა... ამან ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებაში ერთგვარი მითებიც გააჩინა: რომ მეფეთა სასახლეები თითქმის არ შემოგვრჩა; რომ ქართველი მეფეები რატომღაც არ აშენებდნენ შესაფერის სასახლეებს; რომ ისინი ძირითადად ეკლესია-მონასტრებზე ზრუნავდნენ; რომ ქართველი მეფეები, მათი უცხოელი კოლეგებისგან განსხვავებით, თავმდაბლები იყვნენ და ასე შემდეგ და ასე შემდგომად...

საქმე ის განლავთ, რომ მთლად ასე არ განლავთ საქმე.

ჩვენ თუ არ გვაქვს სათანადო ინფორმაცია, რა მეფეთა ბრალია და მეორეც, თავმდაბლობა, რომლითაც მართლაც იქნებოდა ბევრი თუ არა, ზოგი მათგანი შემოსილი, დიდად არაა კავშირში სამეფო რეზიდენციის მასშტაბებთან, რადგან დარბაზი, როგორც ადრე უწოდებდნენ სამეფო სასახლეს, უპირველესად სწორედ სახელმწიფო სიმბოლო და სამეფო წონის განსახიერება გახლდათ და მხოლოდ შემდეგ - მეფის ფუფუნებისადმი მიდრეკილება-მიუდრეკელობის მაჩვენებელი.

დავიწყოთ იმით, რომ რატომღაც დღემდე ვერაზინ მოიცალა ჩვენში სამეფო სასახლეების კომპლექსური კვლევისთვის. რა გვაქვს - რა არა გვაქვს, რაც შემოგვრჩა - რა არის, რამაც ვერ მოაღწია - სად ვიგულოთ და როგორ მივაგნოთ, რომელ პერიოდში რა შენდება და რა ეცემა, რაც შემოგვრჩა - რა არის, რომელი იყო ძირითადი და რომლები სეზონური თუ სხვა ფუნქციისა... ეს თემები და ბევრი ამდაგვარი საკითხი კვალიფიციურად ჯერ არ გააზრებულა, წერილობითი თუ მატერიალური მონაცემები სათანადოდ არ შეჯერებულა და მიღებულ სურათსაც ერთიანად არაზინ დაკვირვებია.

შემორჩენილ სასახლეთა უმეტესობაც არ არის ჯეროვნად შესწავლილი. ზოგი არქეოლოგიურადაც ხელუხლებელია, ზოგიერთი კი საერთოდ არ არის მოძიებულ-მოკვლეული. არცთუ მცირე ნაწილი დღეს განადგურებულია, გასაკუთრებით კი - ქალაქებში მდებარე დარბაზები (ქალაქური ძეგლები, მით უფრო ჩვენში, ეს ხომ ცალკე ტკივილია).

გასაგებია, რომ საბჭოურ ეპოქაში სამეფო რეზიდენციების სპეციალური კვლევის ფუფუნება ვერ იქნებოდა, მაგრამ ახლა? არადა, უკვე დროა, რადგან წყაროებით დადასტურებულ სამეფო სასახლეთა რიცხვი მეტი, თორემ 3 ათეულზე ნაკლები ნამდვილად არ იქნება. ამას დავუმატოთ მათიანებისთვის უცნობი, მაგრამ არქეოლოგიურად გამოვლენილი ნაგებობები და არ გამოვა ნამდვილად მწირი მასალა.




ბოჟანო (ჯავახეთი).  
აქ დავით აღმაშენებლის საზაფხულო რეზიდენცია („სადგომი“) იყო



ღრტილა (ჯავახეთი) -  
ქართულ მეფეთა საზაფხულო სადგომი

ვასხენოთ ისიც, რომ შემორჩენილ, ცნობილ, გამოვლენილ თუ არქეოლოგიურად მეტნაკლებად შესწავლილ სასახლეთა უმეტესობაც არ არის სათანადოდ პოპულარიზებული, მოვლილი, დაფასებული და რესტავრირებულ-რეკონსტრუირებული. შესაბამისად, ნაკლებად უწყის ჯამაათმა მათი არსებობა და იშვიათად სტუმრობენ სტუმრებიც. აბა, შეიძლება, რომ არ იყოს გათხრილ-შესწავლილი, აღდგენილ-გამშვენებული და წარმოჩენილ-გამოჩენილი დავით აღმაშენებლის, მისი წინამორბედებისა თუ მემკვიდრეების რეზიდენციები, მაგალითად, წაღვლისთავსა და ნაჭარმაგევში? ან ჯავახეთში? შეიძლება, რომ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები და სხვანი და სხვანი არ აკითხავდნენ ასეთ ადგილებს და თითქმის არავინ იცოდეს მათი არსებობა? გასაგებია, რომ ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ნანგრევებია მოღწეული, ხან კი არც ნაშთებია მიკვლეული, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში ხომ არსებობს ვირტუალური რეკონსტრუქციისა და ასეთი ადგილების პოპულარულ ცენტრებად ქცევის ხელოვნება?



სამწუხაროდ, ქართულ სასახლეთა აღწერა მხოლოდ გვიანდელ, ევროპულ წყაროებს შემოუნახავთ. წერილობითი ცნობებისა თუ მოღწეული ჩანახატების მიხედვით სულაც არ ჩანს, რომ მაგალითად ქართლის მეფეთა ტფილისის სასახლე მოკრძალებული ყოფილიყო. ის სავსებით შეესაბამებოდა სამეფო სტატუსსაც და ქვეყნისა და ქალაქის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების დონესაც.

თუ კარგად შეათვალთ, არც გეგუთის სასახლე განსაკუთრებით უნდა გამოგინდეთ. თამარ მეფისა და მისი წინამორბედების სასახლის კომპლექსის შემორჩენილი თუ გათხრილი ნაშთები 2000 კვ მეტრზეა გაშლილი, გალავანს შიგნით მდებარე ეზო კი გაცილებით მეტს მოიცავს. კედლების სიმაღლე და ოდესღაც გუმბათით დახურული დარბაზის ზომებიც ადასტურებს, რომ ოქროს ხანის საქართველოს სხვა პალატებიც



გეგუთი (იმერეთი).  
ქართველ მეფეთა  
სასახლის ნანგრევები

შესაფერი ექნებოდა. თანაც გასათვალისწინებელია, რომ უცხოეთში შემორჩენილ სასახლეთა უმეტესობა, რომელთა მასშტაბებითაც ვიხიბლებით, ხშირად საუკუნეებით ჩამორჩება იგივე გეგუთის ნადარბაზებს.

და მაინც, რატომ არ შემოგვრჩა სამეფო სასახლეთა უმეტესობა?

ერთი, რომ ძალზე არასტაბილურ რეგიონში დავიბადენით და მტერიც, რომელიც არასოდეს გვაკლდა, პირველ ყოვლისა, მეფის დარბაზებს ეტანებოდა. სამეფო რეზიდენცია სამეფო ალამივითაა, მისი ხელში ჩაგდება და დაწვა-განადგურება საკუთარი გამარჯვების ყველაზე ცხადი დემონსტრირება და ადგილობრივთა მორალურად გატეხვის საუკეთესო საშუალება იქნებოდა. არ არის სწორი წარმოდგენა, თითქოს მტერი უმთავრესად ეკლესია-მონასტრებს ანგრევდა. ასეთი შემთხვევებიც იყო, ცხადია, თან არაერთი, მაგრამ მომხდურისთვის გაცილებით უფექტური იყო საერო ცენტრების - ციხეების, დარბაზებისა და ციხე-დარბაზების - ძარცვა-წვა-ანგრევა და არა საეკლესიო კერებისა - მით უფრო, თუ დარჩენას ხანგრძლივად აპირებდა და მოსახლეობის რელიგიური გრძნობების ზედმეტად შებღალვა ხელს არ აძლევდა. მოშლილი და ფუნქციადაკარგული სასახლეები მერე უკვე თავისთავადაც ინგრეოდა და კაცნიც ხელს აშველებდნენ - ვინ სამშენებლო მასალისა და ვინ ადგილის მოთავისუფლებისთვის. სხვა ვითარება იყო (და არის) ეკლესია-მონასტრებთან დაკავშირებით: ისინი, როგორც საკრალური ფუნქციის მქონე ცენტრები, ყოველი ახალი შესაძლებლობისას კვლავ ახლდება და კვლავ შენდება - შელახულიცა და სანახევროდ დანგრეულიც.




თბილისი.  
მეტეხის ტაძრის გასწვრივ უწინ  
სამეფო სასახლე იდგა.



თბილისი.  
ნადიმი ქართველი მეფის  
სასახლეში. გრავიურა  
შარდენის მოგზაურობის  
დღიურიდან. XVII ს.

არ შემოგვრჩა არც იმიტომ, რომ ამ მარად აწეწილ კავკასიაში დამპყრობელთა რეჟიმები, პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრები, პროვინციათა და ქალაქთა მნიშვნელობები და შესაბამისად, პოლიტიკური ცენტრები ხშირად იშლებოდა და ახლები იქმნებოდა. არ იყო სტაბილური გარემო და ვერც მუდმივი სამეფო რეჟიმენცია იარსებებდა - ისეთი, საუკუნეთა განმავლობაში უწყვეტად და ერთ ადგილას რომ იდარბაზებდა, ნელ-ნელა გადაკეთდებ-გადმოკეთდებოდა და განივრცობ-გამშვენდებოდა. როგორც ჩანს, აქეთ-აქეთა პერიოდების მეფეებსაც ესმოდათ: არაპროგნოზირებად გარემოში არ იყო მიზანშეწონილი სასახლის შენებაში უზომოდ დიდი პოლიტიკურ-ფინანსური ინვესტიცია ჩადებულის. კაცმა რომ თქვას, XIII-XIV საუკუნეების შემდეგ ყოველთვის არც საშუალება იყო ამისი. მეთოდოლოგიურად არასწორია გვიანი შუა საუკუნეების ჩვენი პაწია სამეფო პალატების შედარება ლუვრის, ვერსალის, უინძორისა თუ პეტერბურგის სასახლეებთან. ამ უკანასკნელთა უმეტესობამ თანამედროვე სახე ბოლო 2-3 ასწლეულში მიიღო და მაგ დროს აბა სად მსოფლიოს უმდიდრეს და უძლიერეს იმპერიათა შესაძლებლობები და სად დაშლილ-დაქუცმაცებულ-გადარიბებული და შემდეგ დაპყრობილ-გაუქმებული ციციქნა სამეფო-სამთავროებისა.



თბილისი. პანორამა.  
გრავიურა შარდენის მოგზაურობის  
დღიურიდან. XVII ს.





თბილისი.  
წინა პლანზე - სამეფო  
სასახლეთა კომპლექსი.  
ფრაგმენტი გრავიურიდან.  
შარდენის მოგზაურობის  
დღიური. XVII ს.


არ შემოგვრჩა შეუქცევადი ურბანული პროცესებისა და იმის გამოც, რომ ჩვენში მეფობა XIX საუკუნის დაწყებისთანავე დასრულდა, განსხვავებით ბევრი სხვა ევროპული თუ აღმოსავლური ქვეყნისა. მაგალითად, თბილისის სასახლეები ქალაქგანვითარებასაც შეეწირა, გარდა იმისა, რომ ალა-მაჰმად-ხანმაც ანგრია და არც რუსეთის იმპერიამ დააკლო - რად უნდოდა სუვერენიტეტის სიმბოლოები და ორიენტირები ქართველთა დედაქალაქში?

XIX-ში უკვე სხვა ეპოქაა ჩვენში და შენდება დადიანებისა და ჭავჭავაძეების, ანდრონიკაშვილებისა და მუხრანბატონების სასახლეები - ცხადია, ისინიც იმ მასშტაბისა, პატრონთა შესაძლებლობებსა და ქვეყნის ვითარებას რომ ესადაგება. აბა, მეფენი და მათი უშუალო მემკვიდრენი სადღა იყვნენ - ზოგი მშობლიურ მიწაში, ზოგიც - უცხო მიწაზე თუ უცხო მიწაში.

.....

ისე, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ოქროს ხანის ქართველ მეფეთა სასახლე თბილისში. ვიცით, რომ მეტეხის ტაძრის გასწვრივ იდგა, კლდეზე გადმოკიდული და კალა-აბანოთუბნისკენ მომზირალი. ქვაც არ დარჩენილა... ■





თამარ ალავიძე



# ვივიენ ვესტვუდი ანარქიის დედოფალი

რა სარგებელი მოაქვს დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახს? ინტერნეტწყაროებს თუ ღაჭურვებზე, პანდემიის დაწყებამდე, 2019 წელს, სამეფო რეზიდენციებიდან და ქონებიდან (ე.წ. Crown Estate) ხაზინის მიერ მიღებული შემოსავალი 410 მილიონ ფუნტს აღემატებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამეფო ოჯახის წყალობით, სახელმწიფო ბიუჯეტში უფრო მეტი შემოსავალი შევიდა, ვიდრე სამეფო ოჯახზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა. ციფრები და პრაგმატულობა იქით იყოს და მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ბრიტანელების უდიდესი ნაწილისთვის სამეფო ოჯახი, მისი თითოეული წევრი და, ზოგადად, მონარქის ინსტიტუტი, ბრიტანული ყოფის ორგანული ნაწილი იყო. გვირგვინის გარეშე დარჩენას ფიქრადაც კი ვერ გაივლებდა თავმოყვარე ბრიტანელი. სამეფო ოჯახის წევრზე, მით უფრო, მონარქზე, აუგი და ხუმრობა, ხომ, საერთოდ რა მოსატანია.

ახლა, წარმოიდგინეთ ლეგენდარული ბრიტანელი ფოტოგრაფის სესილ ბიტონის მიერ გადაღებული ახალგაზრდა, სათნო დედოფალ ელისაბედ მეორეს პორტრეტი, თვალეზე მიხატული ფაშისტური „სვასტიკებით“, პირზე მიკერებული ქინძისთავით, პორტრეტის თავზე კი წარწერით - God Save the Queen! ასე გამოიყურებოდა მაისური, რომელიც ბრიტანული პანკ-როკ ჯგუფის Sex Pistols-ისთვის შეიქმნა 1977 წელს. ამ მაისურში შეასრულა ჯგუფმა ახალი, ანტი-ისტებლიშმენტური სიმღერა "God Save the Queen". „ავადსახსენებელი“ მაისური Sex Pistol-ის მენეჯერის მალკოლმ მაკლარენის მეგობარი გოგონას დიზაინით შეიკერა.

მეგობარ გოგონას ვივიენ ვესტვუდი ერქვა.

მიხვდით, ალბათ, ვივიენი დაბადებით მეამბოხე რომ იყო. მოდის დიზაინიც იმიტომ აირჩია პროფესიად, საკუთარი ამბოხისთვის მატერიალური გამოხატულება რომ მიეცა. პირველი დიდი „აჯანყება“ ყოფილ პარტნიორ მალკოლმ მაკლარენტან ერთად 1960-იანების მიწურულს წამოიწყო: Let It Rock – პირველი, ერთობლივი მაღაზია ლონდონში, კინგს როუდზე. რას არ ნახავდით ამ მაღაზიაში: ტანსაცმელი, აქსესუარები, სამკაულები ნაცისტური სიმბოლიკით და ფეტიშის ელემენტებით; ქინძისთავებით გაწყობილი სამოსი; უმსხვილესი ნაქსოვის მოთელილი, სრულიად გამჭირვალე სვიტერები. თუმცა, ვესტვუდის დიზაინით შემქნილ ანარქისტულ ნივთებში იმვდროულად შეხვდებოდით მოტლანდიურ კუბოკრულს, ბრიტანულ



იუნონ ჯეკს და მონარქების პორტრეტებს. ვესტვუდი იხსენებდა, როგორ მოსდევდა ხოლმე ყოველ ახალ კოლექციას მაღაზიის სახელის ცვლილება: ჯერ Too Fast To Live, Too Young To Die, მოგვიანებით - SEX, პანკის პერიოდისთვის კი - Seditonaries.

ანარქია, შეუგუებლობა, ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ტაბუების და სტერეოტიპების წგრევის სურვილი - ყველაფერი ერთად იყო თავმოყრილი ბრიტანულ პანკში, რომლის ერთ-ერთ სულისჩამდგმელად ვესტვუდს და მაკლარენს მიიჩნევენ. ჭეშმარიტი პანკი გამოხდა უფროს თაობას და პოლიტიკურ სისტემას: პირველს პასუხისმგებლობის მოხსნისა და მისი უმცროსი თაობისთვის გადაბარების, მეორეს კი - გამეფებული უსამართლობის, ტანჯვისა და სიკვდილის გამო. ასე სწამდა ვესტვუდს. მიმდინარე ეკონომიკური სტაგნაციის ფონზე, პანკის ტალღა იდეალური გამოსავალი იყო იმედგაცრუებული და უმუშევრობაში გადაშვებული ბრიტანელი ახალგაზრდებისთვის „ორთქლის გამოსაშვებად.“ ემოციების სრული სიმძაფრისთვის, მათ შესაფერისი ტანსაცმელი და აქსესუარები სჭირდებოდათ. ამისთვის კი, ვესტვუდის და მაკლარენის მაღაზია არსებობდა.

მაღაზიის პოპულარობამ დიდწილად შეუწყო ხელი ვივიენის, როგორც დამოუკიდებელი მოდის დიზაინერის, ჩამოყალიბებას და პოპულარიზებას. დიდი წარმატება და აღიარება 1981 წელს, „მეკობრეების“ კოლექციის შედეგად მოვიდა. ამ დროისთვის, მაკლარენი და ვესტვუდი ერთად აღარ იყვნენ, ამიტომაც, მაკლარენის რჩევით, ვესტვუდმა კოლექცია ლონდონის მოდის კვირეულზე საკუთარი სახელით წარადგინა. „მეკობრეები“ ერთგვარი კულტურული თამაში იყო: ტოვებ შენს კუნძულს და გადიხარ ისტორიული წარსულის და მესამე მსოფლიოს აღმოსაჩენად. ნაპოლეონისდროინდელი ქუდები, მარია-ანტუანეტას ფუშფუშამკლავებიანი კაბები, ამერიკის აბორიგენი ტომებით შთაგონებული ქსოვილებისგან შეკერილი ფართხუნაუბიანი შარვლები, ფერების ეკლექტიკა. თითოეული სამოსი სხვადასხვა პერიოდის ისტორიული კოსტიუმის თარგს იმეორებდა. თუმცა, არ იფიქროთ, რომ კოლექციასამუხუშეექსპონატებისნაკრებს წარმოადგენდა: თითოეული კოსტიუმისთვის ქსოვილი იმგვარად იყო შერჩეული, რომ სამოსი ცოცხალი და აქტუალური იყო. ეს კოლექცია არაფრით ჰგავდა სხვებს, რომელთაც, იმ დროს, წამყვანი დიზაინერები პარიზისა და ლონდონის მოდის კვირეულების ფარგლებში წარადგენდნენ.

ესეც ერთგვარი პროვოკაცია იყო ვივიენის მხრიდან, გალაშქრება ყოველივე მოდურის და ბანალურის წინააღმდეგ. ერთ-ერთ ჩანაწერში ვესტვუდი იხსენებდა, რომ, ეს იყო მისი ამბოხი მეოცე საუკუნის დოგმის წინააღმდეგ, თითქოს წარსული დასრულდა და ახლა ახლის კეთების დროა. ამის საპირისპიროდ, ვივიენი ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება სრულყოფილი და უკვდავია და დღეს შთაგონება წარსულიდან უნდა მივიდოდ: „ფესვების და ხელოვნების გარეშე, ვერ გვექნება ლაბორატორიები და მეცნიერება. კულტურა აუცილებელია ადამიანების უკეთეს არსებებად გარდასაქმნელად.“

**„ფესვების და ხელოვნების გარეშე, ვერ გვექნება ლაბორატორიები და მეცნიერება. კულტურა აუცილებელია ადამიანების უკეთეს არსებებად გარდასაქმნელად.“**

ხელოვნების მეშვეობით დოგმასთან და პროპაგანდასთან ბრძოლა კიდევ უფრო წინ წასწია ვესტვუდმა 2005 წლის კოლექციაში „AR“ (Active Resistance - აქტიური წინააღმდეგობა), სადაც კულტურისთვის მებრძოლი გმირის სახით მაისურებზე რემბრანტი დაბეჭდა, თავზე შავი ბერეტი.



„ხელოვნების მოყვარული თავისუფლებისთვის და უკეთესი სამყაროსთვის მებრძოლია. მას სწამს, რომ თუ ის წარსულს შეისწავლის, ეს მას აწმყოში საკუთარი აზრის ფორმირებასა და ქმედებაში დაეხმარება.“

„ხელოვნების მოყვარული თავისუფლებისთვის და უკეთესი სამყაროსთვის მებრძოლია. მას სწამს, რომ თუ ის წარსულს შეისწავლის, ეს მას აწმყოში საკუთარი აზრის ფორმირებასა და ქმედებაში დაეხმარება.“

ამ იდეით გულანთებული ვივიენი, ბერლინში თავის სტუდენტებს დავალებას აძლევდა, მოენახულებინათ სამხატვრო გალერეები და ერთიდან მეორე დარბაზში გადაადგილებამდე, აერჩიათ კონკრეტული ნამუშევარი, რომელსაც

გადაარჩენდნენ. ვესტვუდის აზრით, თუ ამ „თამაშს“ სისტემატურად ითამაშებდნენ, ექვსი თვის თავზე, უკვე სხვა ნამუშევრის გადარჩენა ენდომებოდათ, ვინაიდან ამ პროცესში განსჯის და დისკრიმინაციის უნარი კარგად გაუვარჯიშდებოდათ.

AR კამპანიის ფარგლებში, ვესტვუდმა 2007 წელს სახელოვნებო კითხვის მცირე სადამოებო მოაწყო ქვეყნის მასშტაბით: ვივიენის მეგობრებმა ოცი ცნობილი პერსონაჟი (მათ შორის, პინოქიო, ალისა, არისტოტელე) განასახიერეს და თვრამეტ სხვადასხვა ქალაქსა თუ უნივერსიტეტში, ხელოვნების შესახებ ორმოცი წუთის განმავლობაში უყვებოდნენ დამსწრეებს.

ცხოვრების ბოლო ათწლეული, ვესტვუდი მეტწილად ეკოლოგიური აქტივიზმით იყო დაკავებული და მიზნად სამყაროს გლობალური კატასტროფისგან გადარჩენას ისახავდა. გლობალური დათბობის შესაჩერებლად, აუცილებელი ქმედებები ზუსტად

„ჩემი ვალია, ეს სამყარო შევიმეცნო. გავუგო მას. ეს თითოეული ჩვენგანის ვალია იმის სანაცვლოდ, რომ სიცოცხლე მოგვეცა. ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ მომავალი. თუ ამ იდეების კვალდაკვალ ფიქრს იწყებ, ეს შენს ცხოვრებას ცვლის და თუ შენ საკუთარ ცხოვრებას ცვლი, შენ სამყაროს შეცვლა შეგიძლია.“

ჰქონდა განსაზღვრული და Climatedevolution.co.uk პლატფორმის დახმარებით, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ამ მიმართულებით, ხალხში ცნობიერების ამაღლებას ცდილობდა. 81 წლის ასაკშიც, ყოველ პარასკევს, ღამაზად გამოეწყობოდა, კამერის წინ მოკალათდებოდა და ინსტაგრამის მე-

შვეობით, მილიონობით გულშემატკივარს გლობალურ პრობლემებზე უსაუბრობდა: „ჩემი ვალია, ეს სამყარო შევიმეცნო. გავუგო მას. ეს თითოეული ჩვენგანის ვალია იმის სანაცვლოდ, რომ სიცოცხლე მოგვეცა. ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ მომავალი. თუ ამ იდეების კვალდაკვალ ფიქრს იწყებ, ეს შენს ცხოვრებას ცვლის და თუ შენ საკუთარ ცხოვრებას ცვლი, შენ სამყაროს შეცვლა შეგიძლია.“

ვივიენ ვესტვუდი 2022 წლის 29 დეკემბერს, ლონდონში გარდაიცვალა. ■





## ზურა მეძველია

# „მე, კელედან“ - მე და კელემდე

*კი მითხრეს, არაა აუცილებელი მაინცდამაინც ფეხბურთზე წეროო, მაგრამ ისე მოხდა, რომ სანამ რაზე დავწეროს ვფიქრობდი, ამ ჩვენ ფეხბურთს მეფე გარდაეცვალა. ჰოდა გამოვეთხოვები პელეს ჩემებურად.*



## 1965 წლის 4 ივლისი

სსრკ-ს დედაქალაქში ამხანაგური მატჩის სათამაშოდ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები ჩავიდა... და დაიდრა უამრავი ქართველი მოსკოვისკენ, რათა საკუთარი თვალთ ენახა ეს საოცარი გუნდი და თვით პელე. და ნახეს. და აღფრთოვანდნენ. ზოგმა მასთან ფოტოს გადაღებაც კი მოახერხა, ზოგმა - ავტოგრაფის აღება. და ჰყვებოდნენ მერე დიიდი ხანი იმ ბრაზილიელების მიერ 3:0 მოგებულ მატჩზე და პელეზე, ფეხბურთის მეფეზე.

აი, ხომ წაიკითხეთ ზედა აბზაცი და საინტერესოა, დაფიქრდით თუ არა ერთ ამბავზე:

ეს ახლათ, რომ თუნდაც არც მთლად ხეირიანად განვითარებულ ქვეყანაშიც კი ნებისმიერ საფეხბურთო მატჩს უყურებს დაინტერესებული კაცი გინდ ტვ-ში, გინდ პლანშეტ-ლექტორებში, გინდ ტელეფონებში და გინდ საათებშიც კი. და თუ გინდა და შესაძლებლობაც გამოიხატე (მინდოდა და მოვიწყე კიდეც კვარატური „ნაპოლის“ სამ თამაშზე ოქტომბერში), მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეგიძლია საყვარელი გუნდის თუ ფეხბურთელის ხილვა.

ეს კი 1965 წელია, საბჭოთა კავშირი... პირველად ბრაზილია და პელე ჩემპიონები გახდნენ 1958-ში და იქიდან მოყოლებული 8 წელი საბჭოთა ადამიანები კითხულობდნენ და ისმენდნენ, რა მაგარია პელე, რა ძალიან მაგარია პელე, რა მაგარი გოლი გაიტანა პელემ...ჰოდა იმას ვამბობდი, რომ ახლა ერთი წუთით წარმოიდგინეთ: 8 წელი რომ გესმინათ და გეკითხათ, რა მაგარია მესი, რა ძალიან მაგარია მესი, რამდენი კაცი მოატყუა მესიმ, რა მაგარი გოლი გაიტანე მესიმ - ცაცით, მარჯვენათი, თავით... მხოლოდ გესმინათ და გეკითხათ.

და ნანახი არ გქონოდათ...

აი ამიტომ დაიდრა უამრავი ქართველი მოსკოვისკენ იმ 1965-ში და ამიტომ ჰყვებოდნენ მერე დიიდი ხანი იმ ბრაზილიელების მიერ 3:0 მოგებულ მატჩზე და პელეზე, ფეხბურთის მეფეზე. იმ სსრკ-ში საჯარო ადგილას რაიმე ფოტოს ვინ

გაგაკვრევიანებდა და გამონაკლისი, სადაც ამაზე თვალს ხუჭავდნენ, პროფილაქტიკა და მეწადის ფარდული იყო. ჰოდა არ იყო ეგეთი მეწადე თუ ხელოსანი, პელეს სადღაციდან ნაშოვნი ფოტო არ ჰქონოდა გაკრული. სტალინი მეორე ადგილზე იყო...

მერე, 1966-ში, იკადრა სსრკ-მ მსოფლიო ჩემპიონატის ტელე-რეპორტაჟები. მაშინ პელე დაამტკიცეს. აი 1970-ში კი მოიგო პელემ და მისმა - ბევრის აზრით, ისტორიაში საუკეთესო - გუნდმა. მესამედ. ამის მერე ქართულ ენაში „პელე“ თავის საქმეში საუკეთესოს სინონიმად იქცა.

## 1960-იანების ბოლო

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ არ მომწონდა ეს ტყე-ღრეში ვიღაც მგლებთან თუ სხვა გარეულ მხეცებთან ერთად ბორიალი და ვინაიდან ჯერ კითხვა თავად


არ ვიცოდი, დედაჩემს ვთხოვე, არ მინდა ეს ზღაპრები, აი, ის წამიკითხე, ბურთი რომ ახატია-მეთქი. და მიკითხავდა მაგის მერე გამოთქმით, როგორ მოუგო პატარა ურუგვამ დიდ ბრაზილიას 1950-ში, როგორ იპოვა პატარა ძაღლმა მსოფლიო თასი 1966-ში და ეგეთებს. ამათ შორის იყო ორი ავტობიოგრაფიული წიგნი: ერთი სერ სტენლი მეტიუზის „35 წელი მარჯვენა ფრთაზე“ და მეორეც პელესი - „მე, პელე“. უკვე მერე, დიდობაში, გავიგე, რომ ამ მეორე წიგნის გამო ბრაზილიაში მილიონობით ადამიანმა დაიწყო წერა-კითხვის სწავლა...

მე წერა-კითხვა ამის გამო არ მისწავლია - მითხრეს, ისწავლეო და ვისწავლე. და სანამ ახალ წიგნებს ჩაუუჯდებოდი, უკვე ჩემით წავიკითხ-გადავიკითხე საყვარელი წიგნები. სადაც 5 წელიწადში ერთხელ მივუბრუნდები ხოლმე ამ ორ წიგნს და ცოტა ხნით გადავშვები ხოლმე იმ უდარდელ დროში, სიტყვა „მეფის“ გაგონებაზე ეგრევე შორეულ ბრაზილიაში მობურთალი შავი ბიჭი რომ მახსენდებოდა.

## 1990-იანები

ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარს შემეყვარდა ეს ფეხბურთი და მერე და მერე ხომ საერთოდ. ჰოდა რაღაა გასაკვირი, რომ საფეხბურთო ჟურნალისტი გავხდი. „სარბიელში“ ვწერდი ბლომად წლები. მთავარ რედაქტორადაც ვიყავი რაღაც ხანი...

ჰოდა, ამ ჩემი სივის ამონარიდის გამომზეურება იმად დამჭირდა, რომ ჩვენს ერთ იმდროინდელ ტრადიციაზე მეთქვა - ერთი შეხედვით, არცთუ საამაყოზე, რადგან ეს ორი სიტყვა - პელე და მოკვდა - თითქმის ყოველი ნომრის მომზადებისას ისმოდა რედაქციაში. უფრო სწორად მაშინ, როცა ნომერი მზად იყო. თან „თუ“ უძღოდა წინ და შუაში კიდევ „არ“. მოკლედ, რეზუსი რომ არ გამოვიდეს, ნომერზე მუშაობის დამთავრებას რედაქტორს ასე ვატყობინებდით: თუ უახლოეს წუთებში პელე არ მოკვდა, შეგვიძლია სტამბაში გავუშვათ.



ტრადიცია რატაც ახალ ტრადიციასაც შობს ხოლმე და ამანაც კიდევ ერთი და უფრო სასტიკი ტრადიცია შვა: როცა თითქმის ყველაფერი მზად იყო, ოღონდ საპირველგვერდოდ ნუ აი არაფერი შესაფერისი არ გვქონდა და მიდიოდა ბოლო რეკვები და ტელექსის აპარატთან ჩამოჯდომა რაიმე ღირებული ამბის მოლოდინში, მაგრამ ეს ყველაფერი უშედეგოდ, აი მაშინ ვინმე ჩვენთაგანი აუცილებლად იტყოდა - შენა და პელე როგორ არის ნეტა, ხო არ მოგვეკითხა?

ცოდვა გამხელილი სჯობსო და აგერ ბატონო, გავამხილე. იმედია ამ შავ იუმორს გვაპატიებთ. მითუმეტეს, იმ ბნელი, ცივი და შავი დროისას.

## 2000 წლის 2 ივლისი

ევროპის ჩემპიონატის ფინალი: საფრანგეთი - იტალია. მატჩამდე ორი საათით ადრე პრეს-ცენტრში ვარ და უცებ, სრულიად მოულოდნელად, შემოდის პელე. მიჰყავთ მომცრო ტრიბუნის მაგვართან. ყველა სატელევიზიო კამერა ცხადია იქაა. იქ ვარ მეც.

არაა ეს ჩემთვის პირველი ჩემპიონატი ჟურნალისტის რანგში. ვიცი პრეს-ცენტრში მოქცევის წესები, მაგრამ ბრახ და გადამეკეტა უცებ - ისევ იმ წერა-კითხვის უცოდინარ ბიჭად ვიქეცი, დედა რომ უკითხავდა „მე, პელეს“. მიუღწეველი და მოუხელთებელი ფეხბურთის მეფე აქაა, ჩემს წინ, ოღონდ ცოტა მაღლა - ისე, რომ მისი ხელები სადღაც ჩემს სახესთანაა.

აღარ ვარ ჟურნალისტი. არ მესმის რას ეკითხებიან და რას პასუხობს. ერთ ხელში საწერი კალამი მიჭირავს და მეორეში - ბილეთი. ევრო 2000-ის ფინალის ბილეთი. თან როტერდამში, რომელიც აქამდე 7 წლით ადრე, 1993-ში ჩემი პირველი ქალაქი გახდა თავისუფალ სამყაროში და, ამის გამო, ისედაც დიდი ადგილი დაიჭირა ჩემ ბიოგრაფიაში. ჰოდა ახლა ეს ჩემთვის ისტორიული ბილეთი თუ მეფის ავტოგრაფით დამშვენდა... თბილისში დაბრუნებული ვანახებ ამას დედაჩემს და გავიხსენებთ იმ დროს და იქნება ერთი რას მოვესწარით და ვინ წარმოიდგენდა... ეგ კი არა, უკვე ძალიან უიმედოდ მყოფი მამაჩემიც - რომელიც ხანდახან მეც ვეღარ მცნობს, მაგრამ მაგ 1970-ის ბრაზილიის შემადგენლობას გინდ წაღმა ჩამოგითვლის და გინდ უკუღმა - დიდად გაიხარებს. ასეთი ფიქრები მაქვს თავში და ამ საწერ კალამს ვაჩეჩებ პელეს დაჟინებით... არ რეაგირებს... იყურება მხოლოდ კამერებში და ცოცხალი თავით ქვემოთ არა... ჩამოიხედე რა... პელე! პელე! სადღაც 2 წუთამდე გრძელდება მცდელობა და რომ ვხვდები, ინტერვიუ მთავრდება და მაღე წავა აქედან, გაწბილებული ამ საწერ კალამს ხელში ვურტყამ, ნუ, ასე ვთქვათ საშუალო სიძლიერით - რომ ეტკინება, ხომ ჩამოიხედავს? არა, შენც არ მომიკვდე. მეორედაც, ცოტა უფრო ძლიერად... მაგრამ არა - მისი ხელებიც ისევე მედგრად იტანენ ამ ტკივილს, როგორც მისი ფეხები იმ უდიდესი და შესანიშნავი კარიერისას, სპორტის ეს სახეობა რელიგიად რომ აქცია... ბოლოს ხელი ჩამოვართვი - ცხადია, ცალმხრივად.

ახლა რომ დავწერო, მეძველიამ პელე სცემაო, ძაან გაზვიადებული იქნება? - მეკითხება ცოტა ხანში ნაცნობი ჟურნალისტი და ვიცინით... რას მოვესწარი?!

... მამაჩემსაც ჩამოვუსწარი (თითქოს მაცალაო ფეხბურთით ტკბობა და ჩამოსვლიდან ერთი თვის მერე გარდაიცვალა). მიცნო, მოვუყევი ჩემი და პელეს „ჩხუბის“ ამბავი. რას მოვესწართო და ჯერ იცინა და მერე იტირა.

## 2022 წლის 29 დეკემბერი

მეფე მოკვდა. პელე გარდაიცვალა.

ხოდა რავი, თუ რამე არსებობს, ზის ახლა მამაჩემი მილიარდობით სხვასთან ერთად რომელიმე ზეციურ სტადიონზე და, ისევე როგორც 1965 წლის 4 ივლისს, აღფრთოვანებული უყურებს პელეს, ფეხბურთის მეფეს. ■



ზაალ სამადაშვილი

# კარნახი

შენა და, რა გაიხსენე, იცი?

მეიდანში, ოქრომჭედლების რიგში რომ ჩავედით ბეჭდის გასაყიდად, ასოცი მანეთი რომ გვინდოდა და ოთხმოცი რომ მოგვცა კინკრინოზე უზბეკურ ქუდლაკოსებულმა ბერიკაცმა, ცოტათი ფეიჯინს რომ ჰგავდა მიუზიკლ „ოლივერიდან“.

ვინმეს ვინმესთან მიმსგავსებისას სულ კინომსახიობებს რომ ვიშველიებდით, წიგნებს არ ვკითხულობდით და სხვას რას მივადგებოდით კინოს გარდა...

ცეტოც ჯონ უეინივით რომ დადიოდა ჩვენი ჭკუით, „კოსმოსში“ ნანახ „დილიქან-სის“ რინგო კიდივით - წელში გამართული, გრძელი ნაბიჯებით.

ჩვენი ძმაკაცი ცეტო, ტვინი რომ ეკეტებოდა კარგად ჩაცმაზე, ხო ვარ მაგარი „ზმანიო“, რომ იტყოდა ხოლმე, როგორც კი რაიმე ახალს და მოღურს მოირგებდა ტანზე...

მოღური კი მაშინ, როდესაც „ბითლზის“ სიმღერები რენტგენის ფირებისგან დამზადებული „დისკებით“ ვრცელდებოდა - „ბატენის“ პერანგი რომ იყო, ჩვეულებრივისგან საყელოების წვეტებთან მიკერებული ციცქნა დილებით განსხვავებული, ოთარასთან, ავლაბარში შეკერილი შარვალი სწორად ჩაჭრილი ჯიბეებით და „აფშლაგით“ – „შტატსკი“ რომ ერქვა და ყველაფერი „ტვიდის“ ნაჭრის - კეპი, პალტო, პიჯაკი...

ერთი გაჩხინკული გოგო რომ უყვარდა, რომელიც კი არ იყურებოდა, ანათებდა შუბლზე ჩამოშლილი თმის ქვემოდან თავისი დიდი, მოელვარე თვალებით. ყველაზე ლამაზი რომ ეგონა და ჩვენც მასავით რომ ვფიქრობდით, თუმცა, მოგვიანებით, სხვა გოგოებმაც რომ დაიწყეს მოკლე კაბების ჩაცმა, სიგარეტის მოწევა და ბიჭებთან ერთად „დინამოს“ სტადიონზე სიარული ფეხბურთის საყურებლად, მიხვდით რომ გარეგნობაზე მეტად, მისი სითამამე გვხიბლავდა...

ქუჩის ბიჭებად რომ ვითვლებოდით, შარების მაძიებელ ხალხად, მილიციონერების საკბილოებად. ეს უკანასკნელები ცეტოს რომ ერჩოდნენ ყველაზე მეტად, დღეს რომ არ აგდებდნენ მის გაუჩხრეკავად, დასაკეც დანას ან „ბალახით“ შევსებულ პირმოკრულ პაპიროსს რომ დაეძებდნენ მის ჯიბეებში. მეტსახელის გამოც რომ ხდებოდა ეს, ცეტოსგან უფრო რომ ელოდნენ საფრთხეს - თავქარიანი, ცხელი გულის მქონე, წინასწარ განუჭვრეტელი ადამიანისგან...

ჩვენი თაობის გოგოებს ქუჩის ბიჭები რომ მოსწონდათ - კინოებშიც რომ დაჰყვებოდნენ ნახევრადცარიელი დარბაზების ბოლო რიგებში განსამარტოებლად, ჩახუტებულებიც რომ ეცეკვებოდნენ დაბადების დღეებზე დაუპატიჟებლად „ამოსულებს“, კოცნის ნებასაც რომ აძლევდნენ...

იშვიათად, მაგრამ მაინც, ეს ფლირტი მოულოდნელად რომ წყდებოდა და გოგოები ვიდაც „პრიალა“ ტიპებთან რომ იწყებდნენ „სიარულს“... „პრიალებში“ ჩვენგან განსხვავებულ ბიჭებს რომ არ ვგულისხმობდით მხოლოდ - ხიფათებში თავის ამოყოფას რომ უფრთხოდნენ და საათობით რომ არ იდგნენ უბნის რომელიმე



გზაჯვარედინზე, „პრიალები“ სხვა სამყაროს ბინადრები რომ იყვნენ, მათი მშობლების ძალაუფლების მპყრობელი ადამიანების მიერ შექმნილი, რეალობას განრიდებული სამყაროსი, სადაც კეთილდღეობა სუფევდა და მომავალი მათთვის სასარგებლოდ იყო დაგეგმილი და გათვლილი.

ცეტოსაც რომ გაუწყვიტეს ფლირტი, „მისმა“ გოგომაც ერთ გაპრიალებულ ტიპთან რომ დაიწყო „სიარული“... იხტიბარი რომ არ გაიტუნა, რომ არ შეიმჩნია თავიდან, მაგრამ მერე და მერე, შეხვედრებზე უარმა, უპასუხოდ დატოვებულმა სატელეფონო ზარებმა თავისი რომ გაიტანა, დააფიქრა, შეაშფოთა და ბოლოს რომ ათქმევინა როგორმე უნდა მოვიხელთო, უნდა ვნახო სადმეო... რომ ვიფიქრეთ, ალბათ გოგოს სადარბაზოსთან აპირებს ყურყუტს დილიდან დაღამებამდეო და სულ სხვა რამე რომ გვითხრა - იმასთან, იმ ტიპთან ერთად მინდა ვნახო, თანაც ვითომ შემთხვევითო...

ვერაფრით რომ ვერ დავადგინეთ, სად უნდა გადავყროდით ამ წყვილს „შემთხვევით იმ ადგილებში, სადაც პრიალა ტიპს დაჰყავდა ცეტოს გოგო, ჩვენი გამოჩენა ისეთივე არაბუნებრივი იქნებოდა, როგორც მისი, ან რომელიმე მისნაირის აღმოცენება და დაყუდება უბანში, დიდხანს დგომისთვის „განკუთვნილ“ ადგილას, მაგალითად, ფოტოატელიესთან, რომლის ვიტრინაში მარჯანიშვილის თეატრის მსახიობების პორტრეტები იყო გამოფენილი...

თავად შემთხვევა რომ დაგვეხმარა „მოულოდნელი“ შეხვედრის მოწყობაში, სწორედ ფოტოატელიეს წინ რომ ვიდექით იმ დღეს, როცა ცეტო დაგვადგა და გვამცნო, რესტორანში უნდა გავიჩითოთ სადამოსო, პრიალა ტიპს „ივერიის“, ახალაშენებულ სასტუმროს მეთექვსმეტე სართულზე მდებარე რესტორანში რომ დაეპატიჟებინა გოგო...

ეს რესტორანი არც უბნის რომელიმე დუქანი და არც „ზემელის“ „ყაზბეგი“ რომ არ იყო, სადაც ყველაფერი მანეთი ღირდა - ერთი ტაფა შემწვარი კარტოფილიც, ერთი თევზი სალათიც და ერთი ბოთლი ღვინოც... მაყუთიო? რომ ვკითხეთ და პასუხად ხელი რომ ამოიღო ჯიბიდან, არათითზე წამოცმული ბეჭედი რომ გვაჩვენა, ოქროს წვრილი რგოლი...

დეიდაჩემის ნაჩუქარიო, რომ გვითხრა და ეგრევე რომ დავუჯერეთ, კეთილზე კეთილი ქალი რომ იყო დეიდამისი, დედობას რომ უწევდა ადრე დაობლებულ ცეტოს... ცოტათი რომ შევეჭვდით, როდის იყო ბეჭდებს ჩუქნიდნენ ბიჭებსო, მაგრამ რომ არ შევიმჩნიეთ.

რომ ვუთხარით, მოიძრე ერთი, ვნახოთ რამსიმძიმეა, რამდენს მოგვცემენო... იმანაც ცერა და საჩვენებელი თითები წაავლო ბეჭედს, გამოსწია და წინააღმდეგობას წააწყდა, ვერ მოიძრო. ბეჭდიანი თითის დასველება რომ გადაწყვიტეთ და იქვე ქუჩის გადაღმა უბოში რომ შევედით, სადაც ონკანი გვეგულებოდა. არც დასველებამ რომ გაჭრა და არც საპნის წასმამ, ონკანთან მოფუსფუსე ქალმა რომ გამოგვიწოდა დასახმარებლად, ესეც სცადეთო. ბეჭდის ამდენ გამოქაჩვასა და მიტრიალ-მოტრიალებაში, რომ გაწითლდა და გაიბერა თითი...

გაჭრის გარეშე არაფერი რომ არ გამოდიოდა, ამ საქმეს კი, ოქრომჭედელი რომ სჭირდებოდა. მეიღნისკენ რომ დავგაზუეთ, ჯერ ტროლეიბუსით, მერე ტრამვაით და ბოლოს, ავლაბრიდან, ფეხით. უზბეკურქუდიანმა ბერიკაცმა წამში რომ გაუთავისუფლა ცეტოს შესიებული თითი და მგონი, სულიც რომ შეუბერა დასაამებლად. სასურველზე ნაკლები თანხა რომ მოგვცა და აგვიხსნა, რახან გავჭერით, ნივთად აღარ ვარგა, მხოლოდ წონის საფასურს გინდითო... რასაც გვიხდიდა, ისიც რომ გვყოფნიდა იმ რესტორნისთვის და დიდად რომ არ გვანალვლებდა...

უბანი რომ ჩამოვიარეთ გასაზმანად, ჯინსის ქურთუკი რომ დავითრიეთ ერთისგან - „ვრანგლერის“, მეორისგან პულოვერი, „მზიურის ველის სერენადის“ ბიჭებს რომ ეცვათ ისეთი და საათმა სატამოს რვა რომ ჩამოკრა, „ივერიის“ მეთექვსმეტე სართულზე რომ გავიჩითეთ ცეტოსთან ერთად...

„მაგარ“ ხალხთან რომ იჯდა ცეტოს გოგო, ლაპლაპი რომ გაუდიოდა სუყველას, რომ დაგვინახა თავისი მანათობელი თვალებით და არ შეგვიმჩნიასავით. შორიანლოს რომ დავსხედით, ოთხი ბოთლი ღვინო რომ მოვატანიეთ და დავიწყეთ სმა. ცეტო

რომ ამბობდა სადღეგრძელოებს და ყოველი ჭიქის გამოცლის შემდეგ მალულად რომ იყურებოდა თავის გოგოსკენ...

სიკვდილამდე ძმობის, ოთხ კელში გამომწყვდეული ბიჭების, ჩვენ-ჩვენი „ნეტას“ ასრულებისა ნათქვამი რომ გვექონდა, როცა ცეტომ ის მოიმოქმედა, რასაც არავინ ელოდა კი არადა ვერავინ წარმოიდგენდა.

რომ წამოდგა, ბოთლს დასწვდა, აიღო და აივნის კარისკენ დაიძრა. გარეთ რომ გავიდა, მარჯვენა ხელი აივნის ბოძს მოჰკიდა, ჯერ ერთი ფეხი რომ შედგა მოაჯირზე, აიწია, მერე მეორე... სიყვარულს გაუმარჯოსო რომ დაიძახა და ღვინით სავსე ბოთლი მიიყუდა... საშინელ სიმადლეზე, ათიათასი ნათურით აციმციმებული ქალაქისკენ ზურგით მდგარმა ბოლომდე რომ ჩაცალა...

იმავე წამს ჩამოვარდნილი სამარისებული, შიშით გაჟღენთილი სიჩუმე მხოლოდ მაშინ რომ დაირღვა, როცა ცეტო მოაჯირიდან ჩამოხტა. კვილიმა რომ გააპო ათეულობით ადამიანის გარინდება, გოგო რომ მიეჭრა, მისი გოგო, მომუშტული ხელები დაუშინა მკერდზე და თვალთ ადარ დაშინებო, შე საზიზღარო, შენაო, რომ უყვირა და უყვირა ატირებულმა...

ეგრევე რომ დავტოვეთ იქაურობა, დანახარჯი რომ გადავიხადეთ და წამოვედით. ხმა არც ლიფტში რომ ამოგვიღია და არც გარეთ, „ზემელიდან“ ქვევით, ვერის ხიდისკენ მიმავლებს, რომ ველოდებოდით ცეტო რას იტყოდა... ის კიდე, წინ რომ მიაბიჯებდა და ღუმდა... ხიდზე რომ გადავედით და დიდ უნივერსიტეტს გაუხსნორდით, მერეა რომ მოგვიტრიალდა და გვითხრა, ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც მინდოდაო...

გაკვირვება რომ არ დაგვიმალავს, პირდაპირ რომ ვკითხეთ, ეგ როგორ? რომ გაცხარდა - ჩემთან მორბენა და ტირილის ატეხვა რას ნიშნავს, ვერ უნდა ხვდებოდეთო?... ამის პასუხად მხრები რომ ავიჩეჩეთ, მართლა რომ გაბრაზდა და ხმას აუწია - რასა და იმას, რომ ძველებურად ვუყვარვარ, ეგრე რომ არ იყოს, არაფრად ჩამაგდებდა, არც გამოიხედავდა ჩემსკენ, გინდა მოაჯირზე შევმხტარიყავი და გინდა სახურავზეო...

თანხმობის მსგავსი ვერაფერი რომ ვერ ამოიკითხა ჩვენს თვალბეჭდში, ხელი რომ ჩაიქნია და გამოგვიცხადა - თქვენა ძმაო, არაფერი გაგეგებათ ქალებისო... ქალებისა ბევრი რამ გაგვეგებაო, ნაღდად რომ ვერ დავიბრალდებით, მაგრამ ის კი გვეგონა რომ ცეტოს ვიცნობდით კარგად და რომ ვიფიქრეთ, მისი ნათქვამი თავის მოტყუებას უფრო ჰგავს, ვიდრე იმის ცოდნას, რა ტრიალებს გოგოს გულშიო...

ამის მერე სულ იმის მოლოდინში რომ ვიყავით, ახალს რას მოიფიქრებდა ცეტო შეყვარებულის კიდე ერთხელ სანახავად, ანდა როდის ჩაიქნევდა ხელს და გვეტყოდა, სიბრაზის ყოფილა ის ცრემლები და შეკვივლება, სიყვარული არა-ისაო...

ორ კვირაზე მეტხანს რომ არ მოგვიწია ლოდინი და ერთ საღამოსაც, გორკის ბაღის შესასვლელთან აყუდებულებმა, გადაღმა ტროტუარზე, მიხეილის საავადმყოფოს გასწვრივ მიმავალი ცეტო და მისი გოგო რომ დავინახეთ, რომ მისეირნობდნენ და ერთმანეთის გარდა ვერავის და ვერაფერს ამჩნევდნენ ირგვლივ...

გაოცებისგან თვალეები შუბლზე აგვივიდა, რომ დავმუნჯდით და მხოლოდ ამის შემდეგ რომ გავიხარეთ. საგონებელში ჩავარდნილებმა ცეტოს ქალთა გულების მესაიდუმლოება რომ ვაღიარეთ, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვენთვისაც რომ მოიცალა, მაინც რომ ვკითხეთ, შენ თუ უყვარდი, იმ გაპრიალებულ ტიპთან რაღას დაიარებოდაო...

რომ არ გააბრაზა ამ შეკითხვამ, პირიქით, გულიანად რომ გააცინა და ძალიან უცნაური რამე რომ მოაყოლინა, რომ ათქმევინა, თურმე იმ საღამოს, მეთექვსმეტე სართულზე ისე მოქცეულვარ, როგორც გოგოს საყვარელი ფილმის გმირი, ერთი შფოთისთავი სამხედრო, რომელსაც ჩვევად ჰქონია სიკვდილთან შეთამაშება დიდებული სასახლეების ბოლო სართულზე გამოდებულ ფანჯარაზე შედგომით და ღვინით სავსე ბოთლის ძირამდე გამოცლითო...

ეს მსგავსება სრულიად საკმარისი რომ აღმოჩენილა იმისათვის, რათა ახალი ძალით ეფეთქა მინავლებულ, გაქრობის პირას მისულ სიყვარულს, გამოწვეულს

ისეთი თაყვანისმცემლის გამოჩენით, რომელიც ზომიერებასა და კეთილგონიერებას ასხივებდა ყოველ ფენის ნაბიჯსა და წარმოთქმულ სიტყვაში...

კიდევ ერთხელ რომ გაგვიყოლა ცეტომ მეიდანში, კიდევ ერთხელ რომ ამოვყავით თავი ფეიჯინივით ოქრომჭედლის ციცქნა სახელოსნოში, ბეჭედი რომ აღადგენინა, გადაჭრილი, ოთხმოც მანეთად ჩაბარებული, ასოცი მანეთი რომ გადაუხადა, დოღზე მოგებული ფული, რომ გვეგონა თავის გოგოსთვის უნდაო და შევცდით, მეიდნიდან „ფოსტამტში“ რომ გამოგვატარა, დეიდამისთან, იქ უბნის ყველაზე ლამაზ, ძველისძველ შენობაში რომ მუშაობდა ტელეფონისტად, იმის სათქმელად, რომ შენი ნაჩუქარი ბეჭედი, დაკარგული რომ გვეგონა - ვიპოვეო...

\*\*\*\*\*

P.S. „ჩვენ“ ვინა ვართ ისიც რომ თქვა, გუჯა და მე - გარსიკა, გარსევანი, შენს ძველ მოთხრობებში აღწერილი, შენთან ერთად დაბადებული ორი ბიჭი, ცეტოს გაცოცხლება რომ მოვინდომეთ ამ ამბის გახსენებით და გიკარნახეთ ის... ■





თათა აქუბარდია

# რა ღირს?

„რა ღირს?“ - ალბათ არ არსებობს ფრაზა, რომელიც ამ სიტყვათშეთანხმებაზე უკეთ გამოხატავს ქართულ რეალობას. ცნობილმა გამოთქმამ ქართულ ურბანულ ლექსიკონში მნიშვნელოვანი ადგილი გაციფრულების, კერძოდ კი ონლაინ გაყიდვების შექმნის შემდეგ დაიკავა. ვითარება მეტად კომიკურ ხასიათს მაშინ იღებს, როდესაც ადამიანები კითხულობენ იმ პროდუქტის ღირებულებას, რომელსაც ფასი გარკვევით აწერია. საბოლოო ჯამში, ამ ერთი შეხედვით უწყინარ კომენტარებს, რომლებსაც ყველა მოკვდავის თვალი მეტ-ნაკლებად მიჩვეულია, სევდიან დასკვნებამდე მივყავართ... სევდიან და სერიოზულ დასკვნებამდე, რომ ფილმის პოსტერის ქვეშ ფილმის სახელის, ფილიალების რუკის ქვეშ ადგილმდებარეობის და ვრცელი საინფორმაციო პოსტის ქვეშ ჯიუტად იმავე კითხვის დასმა, რაც უკვე ზემოთვე განხილულია, სხვა არაფერია, თუ არა მასშტაბური პრობლემის, წაკითხულის გააზრების უნარის არქონის წინაშე დგომა.

## წერა კითხვის უცოდინრობიდან დაზუთხვის ეპოქამდე

„გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ - ილია ჭავჭავაძე

საქართველოში განათლების დონის კრიტიკა რომ დაიწყო, „პატრიოტი“ ქართველი ვიკიპედიას სტატიას აგიფრიალებს, სადაც წერია, რომ საქართველო წერა-კითხვის ცოდნის დონით მსოფლიო ათეულში თუ არა ოცეულში მაინცაა. ქვეყანაში რომლის მოსახლეობა 3.7 მილიონს შეადგენს, წერა-კითხვის მასშტაბური გავრცელება გასაკვირი არ უნდა იყოს და კიდევ... ნუთუ არ გვიჩნდება კითხვა, ოცდამეერთე საუკუნეში რამდენად საამაყო სასიცოცხლოდ აუცილებელი უნარების ქონა?

მეცხრამეტე საუკუნეში როდესაც საქართველოს რუკაზე ვერ იპოვნოდი, წერა-კითხვის ცოდნა იმაზე მეტ დატვირთვას ატარებდა, ვიდრე ახლა ვიკიპედიის სტატიისტიკაში ქვეყნის რაც შეიძლება მაღლა გამოჩენა. წერა-კითხვის გავრცელებული საზოგადოების პერიოდში ეს უკანასკნელი უნარი ერის გადარჩენის იარაღი იყო. თუმცა ჩვენს ქვეყანას ბევრ პრობლემასთან ერთად ხშირად ერევა ეპოქები. სხვა რით უნდა იყოს გამოწვეული ფრაზები: „ახლა სტალინი გაგვიცოცხლა!“ „გოგებაშვილის

დედაენა უნდა ისწავლებოდეს სკოლებში;“ „სად იყო ჩვენს დროს ინტერნეტი?“ და სხვა მრავალი. პრობლემაც ამან წარმოშვა, ადამიანებმა დაივიწყეს, რომ ეპოქას ყოველთვის მოჰყვება ხოლმე სიახლეები, პრობლემებთან ბრძოლის მეთოდები კი იცვლება.

ისტორია საბჭოთა კავშირიდან იწყება. სამწუხაროდ, ვერ ავხსნი იმ ეპოქას, რომელშიც დაბადებულიც არ ვიყავი, თუმცა მაშინდელ სისტემას რომ რაც შეიძლება ნაკლები მოაზროვნე და პროგრესული ადამიანი სჭირდებოდა, ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. მაშინდელ სკოლებშიც შეიქმნა წმინდა ინსტიტუცია, რომელსაც ზეპირობა შეგვიძლია ჩვენსავე ენაზე ვუწოდოთ. როგორ უნდა გიყვარდეს „ვეფხისტყაოსანი,“ როდესაც მის ზეპირობას გაძალებენ და როდესაც შინაარსი არ გესმის? ზეპირობის სისტემამ, რაც შეიძლება ნაკლები კითხვის გაჩენის მცდელობამ, „დამტამპული“ მოსაზრების დაზუსტებამ შექმნა დიდი შავი ხვრელი, რომელმაც თავის მხრივ ბევრი სხვა პრობლემა გამოიწვია. ერთ-ერთი, რაზეც თითქმის არავინ საუბრობს, წაკითხულის გააზრებისა და კრიტიკული აზროვნების პრობლემაა. პრობლემა დომინოს პრინციპით გავრცელდა საბჭოთა კავშირში არდაბადებულ ბავშვებზეც. მარტივია, ის თაობა გაიზარდა და მომავალი თაობის გაზრდა იმავე მეთოდით დაიწყო, რითიც თავად იზრდებოდა. დღეს წაკითხულის გააზრების პრობლემის წინაშე არა მარტო წინა თაობა, არამედ ჩემი თანატოლებიც დგანან.

რამდენიმე წლის წინ სკოლაში რაღაც ტესტირება ჩაატარეს, ვერ გეტყვით, ზუსტად რომელ კლასში ვიყავით. მაშინ არ ვიცოდი ეს რა ტესტირება იყო, მოსწავლეები ორი სხვადასხვა კლასიდან აარჩიეს. როგორც ბავშვებმა შემდეგ მითხრეს, დამკვირვებლებს შორის უცხოელებიც იყვნენ. შემდეგ გავიგე, რომ ამ ტესტირების შედეგები 2016 წელს გახდა ცნობილი, განათლების სამინისტრო კი ამ უკანასკნელს ორი წელი მალავდა. ბოლოს გაირკვა, რომ კვლევის მიხედვით საქართველოში 9-10 წლის მოსწავლეთა 14%-ს წაკითხულის გააზრების მინიმალური უნარებიც კი არ გააჩნდა. ეს თოთხმეტი პროცენტი 3,7 მილიონიანი ქვეყნისთვის უდიდესი მაჩვენებელია. სტატისტიკას რომ თავი დავანებოთ, რამდენიმე თვის წინ მომხდარ ამბავს მოგიყვანთ. 2022 წელს ეროვნულ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში დიდი აურზაური გამოიწვია მეორე ვარიანტის თემის თეზისმა. აბიტურიენტებმა ვერ გაარკვიეს, რას მოიაზრებდა წარმოდგენილი თეზისი. დავა გრძელდებოდა იმაზეც, დასახელებაში სიტყვა შეცდომა ეწერა თუ შეცოდება.

## ნაკითხულის გააზრების უნარის არქონა, ანუ პრობლემა პრობლემაში

ხშირად ადამიანებს უჭირთ იმის გააზრება, რეალურად რამდენად დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ. ეს პრობლემა კი იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე კომენტარების ველში ფასების კითხვა. პრობლემა გვიმტკიცებს, რომ ჩვენი მოტყუება, შეცდომაში შეყვანა, პანიკისა და უიმედობის დათესვა იმაზე ბევრად მარტივია, ვიდრე ეს თავად წარმოგვიდგენია. რადგან დაწერილს არასწორად ვიგებთ, ან ისე ვიგებთ, როგორც ჩვენ გვინდა. არ გვიჩნდება კითხვა, ეს ასე რატომ არის? იმიტომ, რომ მივეჩვიეთ, ყველაფერი ისეა როგორც უნდა იყოს და ზედმეტი კითხვები კარგი არასდროს არის.

პრობლემა ყველაზე საშიში იმიტომ არის, რომ მისი გამოყენება „ერთმორწმუნე“ მეზობელ ქვეყანას შეუძლია. რუსეთი საინფორმაციო ომს რომ აწარმოებს ყველგან და ყველაფერში, ამაში უკვე ნათლად დავრწმუნდით. რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, რამდენიმე წლის წინ გავლენიანი მედიასაშუალებები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი თავისი ყალბი ახალი ამბებით მადაგასკარის არჩევნებშიც კი ჩაერია. რა მოხდება მაშინ, როდესაც საქართველო რუსულ დეზინფორმაციას ნოყიერ ნიადაგს დაახვედრებს ფესვების გასადგმელად?



## სისუსტეებით თამაში

ონლაინ მედიასაშუალებები ხშირად იყენებენ ანკესზე წამოგების მეთოდს, რომელიც თავის თავში კრიტიკული აზროვნებისა და წაკითხულის გააზრების უნარის პრობლემებს მოიაზრებს. ხშირად ისინი სტატიას აბსოლუტურად სხვა სათაურით, ბარბარიზმით რომ ვთქვათ „დასათრიგებლად“ წერენ. მკითხველები სტატიას წაუკითხავად, მხოლოდ ზედაპირულად გადახედავენ და შესაბამისად არასწორ ინფორმაციას იღებენ. ამის მარტივი მაგალითი რამდენიმე საათის წინ ვნახე. ერთ-ერთი მედიასაშუალება წერდა ტრაგედიაზე, რომელიც 2003 წელს მოხდა. მიკროავტობუსის 16 მგზავრიდან 14 გარდაიცვალა. სათაურის გამო, რომელსაც თარიღი არ ეწერა, ხალხმა კომენტარების ველში სამძიმრის წერილები დაწერა, პრეტენზიები გამოთქვა მოუწესრიგებელ საგზაო სისტემაზე და ა.შ. თითქოს არაფერი მავლება, იმის გარდა, რომ ასე შეუსაბამოდ დაწერილ ინფორმაციებს შეიძლება ერთ დღესაც არასწორი შედეგები მოჰყვეს. გარდა იმისა, რომ მსგავსი ფაქტები ხალხს საშინლად სძაბავს, გვაფიქრებს ერთ რამეზე - რა მოხდება, თუ ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილ სახელმწიფოს ქვეყანაში დეზინფორმაციის გავრცელება მოუწდება? ფაქტია, სიყალბე ბევრად მარტივად გავრცელდება ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა სტატიას მხოლოდ სათაურით და ისიც ნახევრად კითხულობს.

## გამოუვალი მდგომარეობა? - მართივი გამოსავალი!

პრობლემა ღრმა და მასშტაბური რომ არის, ამაში დარწმუნებული ვართ. თაობებს ვერ გამოვცვლით, თუმცა შეგვიძლია შევცვალოთ ისინი. განათლების სისტემას რომ ბევრი ხარვეზი აქვს, ამის დეტალურად ახსნას ცალკე სტატია სჭირდება. ყველაზე სწრაფი და მარტივი გამოსავალი მედიაწიგნიერებაშია. ამ საგნის სკოლებში დანერგვა მომავალ თაობებს წაკითხულის გააზრებისა და კრიტიკული აზროვნების ახალ უნარებს შესძენს. მედიაწიგნიერება არც უფრო დიდებისთვის იქნება ურიგო, სულ თუ არაფერი, საინფორმაციო ომს მაინც მოვიგებთ.

ღროის გასვლასთან ერთად იცვლება პრორიტეტები, მიდგომები, პრობლემის გადაჭრის მეთოდები. დღეს საქართველო ბნელი წარსულისგან დატოვებულ მემკვიდრეობას, წაკითხულის გააზრების პრობლემას, ებრძვის. პრობლემა რომ გადამდები არ გახდეს, მას მოგვარება სჭირდება. ვისურვებდი, რომ ერთ დღეს ისეთ საქართველოში გავიღვიძო, სადაც კომენტარების ველში „რა ღირს?“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწერება, როდესაც პროდუქტს ნამდვილად არ ეწერება ფასი. ■



2009 წელს, საქართველოს დღევანდელმა პრეზიდენტმა და მაშინ ჯერ კიდევ ოპოზიციონერმა სალომე ზურაბიშვილმა, ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი „ქართული ტრაგედია, 2003-2008“. ეს წიგნი რუსეთის ფედერაციამ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად წარადგინა ჰააგის საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოში, ომის შემდგომ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ საპასუხო სარჩელში. თქვენ წინაშეა ამ წიგნის მეცამეტე თავი, რომელიც „ჭავჭავაძის ცენტრის“ თხოვნით თარგმნა ბ-ნმა დავით ნატროშვილმა. თარგმანში შენარჩუნებულია ფრანგული დედნის ხშირად ქაოტური და არააკადემიური სტილი - მთარგმნელსა და რედაქტორებს ის შეგნებულად არ „გაუკეთილშობილებიათ“. დახრილი მუქი შრიფტით გამოყოფილი კომენტარები ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას ეკუთვნის. მათი მიზანია მკითხველისთვის შესაბამისი ისტორიული კონტექსტის შეხსენება და ტექსტში მიმოხეული პროპაგანდისტული გზავნილების გამოაშკარავება. ტექსტი ქვეყნდება სამოქალაქო-საგანმანათლებლო მიზნით.

## ომი: ვისი ბრალია

მშვიდობიანი რევოლუცია, რომელიც კეთილი ზღაპარით დაიწყო, კომმარულად მთავრდება დაბომბვით, რომელიც 7 აგვისტოს ღამეს ქართული ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემა. ტანკები და ჯარისკაცები, რომლებსაც მჯეროდა, მოლაპარაკების გზით დავატოვებინე ქვეყანა (რაც ერთგვარ რევანშს წარმოადგენდა წარსულზე, რომელიც ჩემმა ოჯახმა გადაიტანა, მოუწია რა საქართველოს დატოვება რუსული ჯარის შემოსვლის შედეგად), საქართველოს ტერიტორიის შუაგულში იჭრებიან და იქაურობას აოხრებენ.

**აქ ზურაბიშვილი ეხება რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის საკითხს და მას საკუთარ დამსახურებად წარმოაჩენს. სინამდვილეში, საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანა 1999 წელს, ეუთოს სტამბოლის სამიტზე გადაწყდა. ამ საქმეში განმსაზღვრელი სწორედ აღნიშნული სამიტი იყო. მრავალწლიანი საერთაშორისო დიპლომატიური ძალისხმევის პროცესში, ზურაბიშვილი მხოლოდ მოლაპარაკებების დასკვნით ფაზაში წარმოადგენდა საქართველოს, მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება მიღებული და მოლაპარაკების პროცესი პრაქტიკულად დასრულებული იყო. შეიძლება ითქვას, რომ მისი მინისტრობა უბრალოდ დაემთხვა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას.**

შეკითხვა, რომელიც მას შემდეგ ყველას აწუხებს არის ორმაგი: ვისი ბრალია? შეიძლებოდა თუ არა ამ ომის თავიდან აცილება? პასუხისმგებლები, ისევე როგორც დამნაშავეები, მრავლად არიან. და პირველ რიგში ეს არის მკაფიო ხაზის არარსებობა რუსეთთან მიმართებაში.

**კითხვის ასე ფორმულირება, თუ „ვისი ბრალია“ ერთი სახელმწიფოს სამხედრო აგრესია მეორე სახელმწიფოს მიმართ უკვე გულისხმობს, რომ შესაძლოა, თავდასხმის ობიექტი თავად იყოს დამნაშავე აგრესორის პროვოცირებასა და ომის გამოწვევაში. ორმაგად მძიმეა საკითხისთვის ასეთი მიმართულების მიცემა, როდესაც საუბარია, ერთი მხრივ, პატარა საქართველოზე და, მეორე მხრივ, ბოროტების იმპერიის მემკვიდრე ატომურ ზესახელმწიფოზე. კითხვის ასე დასმა უკვე არის რუსული პროპაგანდისტული ნარატივის გამყარება და რუსეთის ინტერესების შესაბამისი ქმედება. სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ სხვა ქვეყნის სამხედრო ძალის გამოყენება ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისა და ხელისუფლების შეცვლის მიზნით არის საერთაშორისო სამართლის უხეში**

**დარღვევა. ასეთ ვითარებაში, თავდასხმის ობიექტის მიერ საკუთარი სუვერენული ტერიტორიის დაცვის ლეგიტიმურობა არ შეიძლება დადგეს ეჭვქვეშ. ამასთან, არასწორია, რომ „ყველას აწუხებს“ შეკითხვა, თუ ვისი ბრალია ომის დაწყება, თითქოს აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე არსებითი გაურკვევლობა არსებობდა. საერთაშორისო თანამეგობრობა ერთხმად აღიარებს, 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა საქართველოზე განახორციელა აგრესია, ხოლო საქართველო იყო აგრესიის მსხვერპლი. მსხვერპლი არ შეიძლება დამნაშავე იყოს ომის დაწყებაში. შესაძლოა, გარკვეულ წრეებში საქართველოს ხელისუფლების პროვოცირებასთან დაკავშირებით არსებობდა გარკვეული კითხვები, მაგრამ მსგავსი პოზიცია საყოველთაოდ გაზიარებული არასდროს ყოფილა. მომდევნო წლებში, ზურაბიშვილის და მისი პოლიტიკური პარტნიორების ეს პოზიცია „დაიხვეწა“ და ფორმულირება ჰპოვა ახალ კლიშეში - „საქართველომ ომი თავიდან ვერ აირიდა“. ამ კლიშეს გამოყენება ივანიშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკრაინის მიმართაც სცადეს, თუმცა, მსოფლიოში არსებული კონსენსუსის პირობებში, მას მხოლოდ შიდა მომხმარებლის მცირე პროცენტიდა დარჩა მსმენელად.**



**საღმრთო ზურაბიშვილის facebook-სტატუსი. 2014 წლის 7 აგვისტო**

იმთავითვე ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი ხაზი: კონფრონტაციის და ნორმალიზაციის. პირველმა თანდათან უპირატესობა მოიპოვა მეორეზე. მოსკოვთან მიმართებით კონფრონტაციის და სიხისტის ამ ლეკლარირებული პოლიტიკის მიღმა შეიმჩნევა ასევე ტენდენცია, რომელიც მასთანვე მოდის წინააღმდეგობაში: ქვეყნის რესურსების მთავარი მტრისთვის მიყიდვა, საიღუმლო გარიგებების მცდელობა. ასეთმა ახლართულმა ხაზებმა მიზანი და, შესაბამისად, ამ პოლიტიკის თანმიმდევრულობა გაურკვეველი გახდა.

**აქ ზურაბიშვილი წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ თავთან. ერთი მხრივ, ის ამტკიცებს, რომ კონფრონტაციის ხაზმა უპირატესობა მოიპოვა ნორმალიზაციის ხაზზე, თუმცა, აქვე, ფორმალურად მაღალი რანგის დიპლომატიისთვის შეუფერებელი კონსპირაციულობით ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ფარულ გარიგებებში შედიოდა რუსეთთან და მას ქვეყნის რესურსებს უთმობდა. გაუგებარია, რა საიღუმლო გარიგებებზე საუბრობს ზურაბიშვილი, მით უფრო, რომ არ მოჰყავს არც ერთი მაგალითი. რაც მთავარია, ეს ორი ამტკიცება ერთმანეთთან შეუთავსებელია. სამაგიეროდ, ეს საკითხი რუსული პროპაგანდის ცნობილი კლიშეა, რომელსაც ზურაბიშვილი ფრანგულენოვანი აუდიტორიისთვის იმეორებს. აღსანიშნავია, რომ ამ ორივე ხაზს დღემდე პარალელურად ავითარებს „ქართული ოცნება“ და ქართულენოვანი რუსული პროპაგანდა საქართველოში.**

**სინამდვილეში, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, სააკაშვილმა პრიორიტეტულად სცადა პუტინთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება. მისი პირველი ვიზიტი პრეზიდენტის რანგში სწორედ მოსკოვში განხორციელდა. თუმცა, მალევე გამოიკვეთა, რომ რუსეთს საქართველოსთან თანაბარ სიბრტყეში ურთიერთობების ინტერესი არ ჰქონდა, ე.წ. ნორმალიზება**



*მხოლოდ სუბორდინაციულ სიბრტყეში, საქართველოს ეროვნული ინტერესების დათმობის ხარჯზე განიხილებოდა. აქვე აუცილებლად გასახსენებელია ის ეპიზოდი, როდესაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან რუსეთის ქვეშევრდომის, ასლან აბაშიძის გაძევებისა და აჭარაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, პუტინმა პირდაპირ და არაორაზროვნად უთხრა სააკაშვილს - მეტი ჩვენგან საჩუქრებს აღარ ელოდოთო. ნიშანდობლივია, რომ ზურაბიშვილი ამ საკვანძო ნიუანსს საერთოდ არ იხსენებს.*

## ნორმალიზაციიდან კონფრონტაციამდე

ნორმალიზაციის ესკიზები დაუსრულებელი დარჩება. ვარდების რევოლუციის მეორე დღეს, ივანოვის ვიზიტი თბილისში, რომელიც ხელს უწყობს შევარდნაძის დასასრულს და მოსკოვის ოფიციალურ კურთხევას აძლევს მიმდინარე რევოლუციას, შერიგების ჟესტს წარმოადგენს. საინაუგურაციო სიტყვაში სააკაშვილი, თავის მხრივ, შერიგების ხელს უწყობს მეზობელ რუსეთს. ამას ორმხრივ ურთიერთობებში მოყვება დეტანტის პერიოდი, რასაც მე წარმატებით ვიყენებ ორმხრივ მოლაპარაკებებში წინსვლის სასარგებლოდ. მაგრამ სინამდვილეში ამ ნორმალიზაციას სერიოზული კონტრმანევრები ახლავს თან.

ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულში ამ დეტანტს კინალამ სერიოზული დარტყმა მიაღება ქართული პოლიტიკის პირველი „გადაცდომების“ გამო: ცხინვალის რეგიონში დაძაბულობის ესკალაციამ და ადამიანების გარდაცვალებამ აგვისტოში განხორციელებული შეტევის დროს, კინალამ წარსულში, კონფრონტაციის პერიოდში დაგვაბრუნა. მაგრამ ვითარება წყნარდება და ჩანს, რომ თითქოს კავშირები ისევ ლაგდება.

*ამ ადგილის კითხვისას რჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი მზად იყო საქართველოსთან ურთიერთობების სრული ნორმალიზებისთვის და ამას მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლების ქმედებები უშლიდა ხელს. ის, რომ ეს ასე არ იყო, იცოდა ნებისმიერმა საღად მოაზროვნე, საშუალოსტატისტიკურმა ქართველმა და, წესით, უნდა სცოდნოდა გამოცდილ ფრანგ დიპლომატსაც, რომელმაც საშუალო დონის დიპლომატიური კარიერა საქართველოში მინისტრის რანგში სწორედ სააკაშვილის მძიმე საკადრო შეცდომის წყალობით გააგრძელა. დღევანდელი გადმოსახედიდან ამ განწყობისა და მოლოდინების არაადეკვატურობა კიდევ უფრო აშკარაა.*

2005 წლის დასაწყისში, რუსეთთან კონფრონტაციის ხაზი ყველაზე ცუდ მომენტში იჩენს თავს. მაშინ, როდესაც მოლაპარაკებების პირველმა რაუნდებმა საშუალება მოგვცა, ნიადაგი მოგვეთელა, საქართველოს პარლამენტი, გაფრთხილებისა და მიზეზის გარეშე, იღებს რეზოლუციას, რომელიც ულტიმატუმის სახით ითხოვს იმ სამხედრო ბაზების გაყვანას, რაზეც მე მოლაპარაკებებს ვაწარმოებ. ამ გამოწვევას, რომელიც რუსეთის მისამართით არის ნასროლი, ზუსტად იმ დროს, როცა მოლაპარაკებები მიდის, შეუძლია მათი ჩაშლა. თავისი ფორმით, ეს მიუღებელია, რადგან ჩემთან, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრთან და ამ მოლაპარაკებებში მთავარ აქტორთან, კონსულტაციებიც კი არ ყოფილა ამ საკითხზე. ყველაფერი ჩემგან დამოუკიდებლად ხდება და, ერთ მშვენიერ დღეს, პრეზიდენტი მომიწოდებს საგანგებოდ მივიდე პარლამენტში, რათა დავარწმუნო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე, რომ უარი თქვას ამ ულტიმატუმზე.

ჯერ კიდევ არ ვარ პარლამენტში მისული, რომ მიკავშირდება და მეუბნება, რომ გავაუქმო ჩემი დემარში, „არ არის საჭირო იმდენად შეუვალია საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილება“. რეზოლუციას 22 მარტს მიიღებენ, რომელსაც თან ახლავს სადამსჯელო მუქარების მთელი წყება, წყლისა და ელექტროენერჯის

შეწყვეტილი დაწყებული და უფრო მკაცრი ზომებით გაგრძელებული მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში.

იმ დროს, მე ძალიან მიაშიტი უნდა ვყოფილიყავი იმისთვის, რომ დამეჯერებინა, თითქოს პრეზიდენტს არ გააჩნდა საჭირო ძალა მისი უმრავლესობის დასამორჩილებლად. ნადირაძე მაშინაც იყო და ახლაც არის ძალიან მორჩილი. ესე იგი, მომატყუეს. კიდევ უფრო დიდი აბსურდია იმის ფიქრი, რომ მას სჭირდებოდა ჩემი ჩარევა იმისთვის, რომ შეეკავებინა ინიციატივა, რომელსაც ის არ ეთანხმებოდა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს არ იყო ნადირაძის მხრიდან წამოსული ინიციატივა, ისევე, როგორც ბევრი სხვა, რაც ამ პარლამენტში ხდებოდა.

გარდა იმისა, რომ ეს ულტიმატუმი მე პოლიტიკურად გამანადგურებდა, მას ასევე შეეძლო გაენადგურებინა ის მოლაპარაკება, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. ზოგადად, მოლაპარაკებების მიმდინარეობის დროს, ნებისმიერი ულტიმატუმის დასმა წარმოდგენს „ქილერს“, რადგან მეორე მხარე მას წინასწარგამიზნულ, ცუდი განზრახვის მქონე აქტად განიხილავს. მე გამიმართლა იმით, რომ ვისარგებლე [რუსული მხარის] ნდობით და წარმატების მიღწევის ორმხრივი სურვილით, რამაც თავიდან აგვაცილა წინასწარ დაგეგმილი მარცხი. ეს მანევრი მიზნად ისახავდა ზიანის მიყენებას, როგორც ჩემი პერსონალური წარმატებისთვის და იმ პოპულარობისთვის, რომელიც მას შეეძლო ჩემთვის მოეტანა, ასევე ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის, რასაც შეთანხმება გამოიწვევდა. რაც არ უნდა იყოს, ამჯერად, მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა და მოლაპარაკების პროცესი გადარჩა.

*ამ პასაჟში, ყურადღებას, პირველ რიგში, იქცევს ქართულ პოლიტიკაში შემთხვევით, გნებავთ, სააკაშვილის პირადი ახირებით, გაჩენილი საშუალო რანგის ფრანგი დიპლომატის არაადეკვატური, კომიკურობის ზღვარზე მყოფი თვითშეფასება, რაც, სავარაუდოდ, იმთავითვე ფრანგულენოვან მკითხველზე იყო გათვლილი, რადგან საქართველოში ეს ტექსტი მეტისმეტად სასაცილოდ იკითხება. შეგახსენებთ, რომ ის პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ საფრანგეთის პრეზიდენტთან შუამდგომლობის შედეგად გახდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. მანამდე კი საფრანგეთის ელჩი იყო საქართველოში. ახლა წარმოიდგინეთ: ვარდების რევოლუცია, აჭარის რევოლუცია, ჯერ კიდევ პოპულარობის პიკში მყოფი ხელისუფლება, საქართველოს ისტორიული მცდელობა, რუსული გავლენისგან გათავისუფლდეს... და, ამ კონტექსტში, ზურაბიშვილს სურათში შემოჰყავს მისი პირადი პოპულარობა, როგორც ფაქტორი. ნებისმიერი დამკვირვებლისთვის, რომელიც ოდნავ მაინც ჩახედულია იმდროინდელ ქართულ პოლიტიკაში, დიმილისმომგვრელია ზურაბიშვილის ამგვარი თვითგანდიდება. ეს პასაჟი მხოლოდ ავტორის სუბიექტურობაზე და არაადეკვატურობაზე მეტყველებს, რომელიც, როგორც ჩანს, ბაზუბის გაყვანის საკითხში, საკუთარ თავს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე სახელმწიფოს.*

*ამავდროულად, ზურაბიშვილი ამტკიცებს, რომ მის მიერ მიღწეულ შეთანხმებას შეეძლო ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზება, რაც აბსურდია. 1999 წელს, ეუთოს სტამბოლის სამიტზე, დასავლურმა დიპლომატიამ, რუსეთის ისტორიული სისუსტის მომენტში და დიდი ეკონომიკური წნეხის ფონზე, რუსეთი აიძულა, საქართველოში მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზების დახურვაზე დათანხმებულიყო, რითიც მნიშვნელოვნად სუსტდებოდა რუსული გავლენა საქართველოსა და მთლიანად რეგიონზე. პუტინის გაპრემიერება და შემდგომი გაპრეზიდენტება მალევე იქცა რუსეთში ანტიდასავლური რევანშიზმის სიმბოლოდ. ამგვარად, ის, რომ თურმე ზურაბიშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ათბობდა, რაც სააკაშვილმა მისი პერსონალური გაპოპულარულების არდაშვების მიზნით ჩაშალა, გონიერი მკითხველის მასხრად აგდებაა.*

მაგრამ ეს მანევრი კვლავ გამეორდება. 2005 წლის ოქტომბერში უფრო მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები იწყება სულ სხვა დონეზე, ვინაიდან ამჯერად საქმე ეხება

პირდაპირ დისკუსიას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის სეპარატისტულ კონფლიქტებზე. დიალოგი იწყება სამხრეთ ოსეთზე ბუშის ადმინისტრაციასა და პუტინს შორის, სექტემბრის დასაწყისში, ვაშინგტონში, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიისას მათი შეხვედრის დროს. მალე ის გაგრძელდება ლავროვისა და კონდოლიზა რაისის შეხვედრით იმავე თემაზე. საქმე ეხება იმის დადგენას, თუ რამდენად შესაძლებელია კონფლიქტის გადაწყვეტაზე რუსეთთან ერთად მუშაობა, რომლის გასაღებიც ხელთ კრემლს უპყრია. მიზანი ამ საკითხის ერთს ყურადღების ცენტრში მოქცევაა დეკემბერში, ლუბლიანაში გასამართი სამიტის დროს. ბუშის ადმინისტრაციას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წინსვლა და რუსებიც არ გაურბიან დისკუსიას. ეს უკვე უზარმაზარი პროგრესია. ჩვენი მხრიდან კი მზად ვართ, რომ ამ ორმხრივი მოლაპარაკებებიდან კონკრეტული შედეგი მივიღოთ. ზაფხულში, როდესაც რუსები იწყებენ ბათუმის ბაზიდან გასვლას, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართულ მხარეს სთავაზობს კონსულტაციების დაწყებას ჩრდილო კავკასიაში არსებულ ვითარებაზე.

**აქ, სავარაუდოდ, საუბარი ეხება ე.წ. ერთობლივ კონტრტერორისტულ ცენტრს, რომლის გახსნასაც რუსები ითხოვდნენ სამხედრო ბაზების გაყვანის სანაცვლოდ. ეს კი ნიშნავდა, რომ რეალურად, ბაზები დარჩებოდა, უბრალოდ, სხვა სახელითა და ამჯერად უკვე ლეგიტიმური სტატუსით.**

ეს პირველად ხდება! აგვისტოს ბოლოს, ასტანაში ტარდება დსთ-ის სამიტი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან პუტინი და სააკაშვილი. ისინი თანხმდებიან, რომ კვლავ შეხვედებიან ერთმანეთს და საქართველოში ოფიციალური ვიზიტის შესაძლებლობას რთველის დასასრულს განიხილავენ. თვითმფრინავში, რომლითაც თბილისში ვბრუნდებით, მე ვარწმუნებ პრეზიდენტს, რომ საჭიროა მოწვევისთვის ოფიციალური სახის მიცემა. დაბრუნებისთანავე ჩემი სამსახური კანცელარიაში აგზავნის წერილის პროექტს, რომელიც არასდროს გაიგზავნება! ის ვილაცამ დაბლოკა და შეცვალა სხვა წერილით, რომელიც სავსე იყო რუსული შეცდომებით და რომელზეც სააკაშვილის ფაქსიმილე იყო დასმული. ყველა ვინც მას გაეცნო, როგორც იყო, მაგალითად, თბილისში რუსეთის ელჩი, საკუთარ თავს ეკითხება, ხომ არ გვექონდა საქმე წინასწარ გამიზნულ მცდელობასთან, რომ ჩაშლილიყო ვიზიტი, რომელსაც შეეძლო პროგრესის შეტანა ორმხრივ ურთიერთობებში.

**ზურაბიშვილი აგრძელებს შეგნებულად ყალბი სურათის დახატვას, რომ თითქოს რუსეთის მხრიდან იყო ნორმალიზების სრული პოლიტიკური მზადყოფნა, რაც მის ცივილიზებულ, კონსტრუქციულ მიდგომებსა და საქციელში გამოიხატებოდა. ჩნდება განცდა, რომ ნორმალიზებისთვის ძალისხმევას არ აკლებდა არც დასავლეთი და ერთადერთ წინაღობას ამ გზაზე საქართველოს ხელისუფლება და მისი გაუგებარი მოტივაცია წარმოადგენდა. ზურაბიშვილი ისევ დასცინის თავმოყვარე მკითხველს, ამტკიცებს რა, რომ ამ კონფლიქტის მოგვარების თემაზე დისკუსიის დაწყება ბუშისა და პუტინის დონეზე იყო გადაწყვეტილი და ეს საკითხი სააკაშვილმა ჩაშალა. სინამდვილეში, 1993 წლის შემდეგ ე.წ. კონფლიქტებთან დაკავშირებით მუდმივად იმართებოდა მაღალი დონის შეხვედრები, თუმცა, მათი მოგვარების მხრივ არანაირი გარღვევა არ შეინიშნებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რუსეთმა ეს „კონფლიქტები“ შექმნა, გააღვივა, გამოიყენა და გაყინა, როგორც საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტი და ამ ბერკეტს, თავისი ნებით, არასდროს დათმობდა. რეალურად, ეს იყო ერთი დიდი კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც თავად საქართველოს აწმყოს, ადგილსა და მომავალს შეეხებოდა.**

მოსალოდნელი გარდატეხის მაგივრად სიტუაცია ძალიან სწრაფად უარესდება. ოქტომბრის შუა რიცხვებში, ჩემი გადაყენების პარალელურად, პარლამენტი განიხილავს რეზოლუციას, რომელიც ახალ ულტიმატუმს შეიცავს. ამჯერად მიზანში ამოღებულები არიან რუსული სამშვიდობო ძალები, რომლებსაც მოუწო-

დებენ, დატოვონ საქართველოს ტერიტორია, თებერვლის შუა რიცხვებამდე - ცხინვალის რეგიონი, ხოლო ივლისის შუა რიცხვებამდე - აფხაზეთი. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველო დენონსირებას გაუკეთებს შეთანხმებებს, რომლებიც მათ სამართლებრივ სტატუსს ანიჭებს და, ამით, მათ საოკუპაციო ძალებად გამოაცხადებს.

*მართალია, რუსულ ძალებს სამშვიდობო სტატუსი გააჩნდათ, რაც მათ ეს სტატუსი ომში საქართველოს დამარცხების შედეგად, პრაქტიკულად იძულებით მიენიჭათ, თუმცა, არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა რეალური განცდა, რომ ეს ძალები მართლაც ნეიტრალურ, სამშვიდობო კონტინგენტს წარმოადგენდა. სინამდვილეში, ისინი იყვნენ რუსეთის მიერ ადგილზე ძალის გამოყენებით შექმნილი უმძიმესი რეალობის შენარჩუნების გარანტი. ეს არ იყო მიუკერძოებელი სამშვიდობო ძალა, როგორც ამას შესაბამისი პრაქტიკა მოითხოვს. ზურაბიშვილი ამ საკვანძო გარემოებას უბრალოდ უგულვებელყოფს და რუსულ ძალებს კვლავაც მოიხსენიებს სამშვიდობო ძალებად, რითაც მორიგ ჯერზე შეგნებულად შეცდომაში შეჰყავს მკითხველი.*

ეს ორმაგი ულტიმატუმი, განსხვავებით თებერვლის ულტიმატუმისგან, თავის მიზანს აღწევს: ასამარებს რუსებს და ამერიკელებს შორის დაწყებულ მოლაპარაკებებს. იგივე ხდება ეუთოს გეგმებთან დაკავშირებითაც, რომელიც 2005 წლის დეკემბერში ლუბლიანაში უნდა დაწყებულიყო. ქართულ-რუსული ურთიერთობები უარესდება. თბილისი არ ტოვებს საერთაშორისო შეხვედრებს, რომ დეკლარაციებსა და კომუნიკებებში არ დაგმოს რუსული სამშვიდობო ძალების მიკერძოებულობა. ჩემი მცდელობა, რომ კომუნიკებების ამ ომში ზავისთვის მიმდღწია წარუმატებელი გამოდგა. ჩემი წასვლის შემდეგ, ახალი მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ნამდვილ სიტყვიერ ესკალაციაში ებმება. ლუბლიანას სამიტზე არანაირ დიალოგს არ აქვს ადგილი. შანსი ხელიდანაა გაშვებული.

*ზურაბიშვილი ისევ ამტკიცებს, რომ ყველაფერი ქართული მხარის ბრალია და საქართველოს მიერ საკუთარი ინტერესების დიპლომატიური გზებით დაცვა კი მიუღებელი ყოფილა. ამჯერად საუბარი ე.წ. „კომუნიკების ომზეა“. ავტორი თავად ყვება, თუ როგორ ცდილობდა სააკაშვილის ხელისუფლება, საერთაშორისო თანამეგობრობისთვის დაენახვებინა, რომ რუსი სამხედროები, რეალურად, არ წარმოადგენდნენ სამშვიდობო კონტინგენტს და მოქმედებდნენ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხოლო ზურაბიშვილი, რომელიც, როგორც მინისტრი, ვალდებული იყო, ამ ძალისხმევის ავანგარდში ყოფილიყო, პირიქით - მცდელობას არ აკლებდა, სიმართლე დაემაღლა და რუსეთისთვის „სახე შეენარჩუნებინა“.*

2006 წლის იანვარში, რუსეთისა და საქართველოს დამაკავშირებელ გაზსადენზე მომხდარი აფეთქება, რაც შუა ზამთარში საქართველოს გაზის გარეშე ტოვებს, ძალიან მწვავე სიტყვიერ დაპირისპირებას იწვევს ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის. სააკაშვილი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ადანაშაულებს პუტინს, რომელსაც „ლილიპუტინად“ შერაცხავს, ტერაქტის ავტორობაში. რუსეთი ამ ინციდენტში ყოველგვარ პასუხისმგებლობას იცილებს და საქართველოს ურთიერთობების გაფუჭების მცდელობაში სდებს ბრალს. დაძაბულობა მატულობს და ქართული საექსპორტო პროდუქცია რუსეთში პირველი ემბარგოს ქვეშ ექცევა. ვინ არის სინამდვილეში პასუხისმგებელი? ორივე მხარე.

*ეს გამოგნებელი აბზაცი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. მიყვით ფაქტებს: (ა) რუსეთის მიერ ენერგეტიკის პოლიტიკური მანტაჟის იარაღად გამოყენება მეზობლების წინააღმდეგ, პუტინის პირობებში, რუსული საგარეო პოლიტიკის რუტინული მეთოდია; (ბ) 2006 წლის იანვარში, ზამთრის ყველაზე ცივ დღეებში, აფეთქებები მოხდა საქართველოს საზღვართან ახლოს, რუსეთის ტერიტორიაზე, ერთდროულად სამ ენერგომაგისტრალზე, რამაც მწყობრიდან*

გამოიყვანა სამივე ენერგობიექტი და საქართველო ელექტროენერჯისა და გაზის გარეშე დატოვა; და (გ) ალბათობა იმისა, რომ ეს შემთხვევითობა იყო და არა შეგნებული რუსული დივერსია საქართველოს წინააღმდეგ, ნულის ტოლია.

დივერსიის მიზანი, სავარაუდოდ, საქართველოს დამოუკიდებელი, პროდასავლური პოლიტიკის შეცვლა და წარმატებული შიდა რეფორმების შეჩერებაა. ამ ვითარებაში, სალომე ზურაბიშვილი არ საუბრობს რუსეთის მიზნებზე, საქართველოს ხელთ არსებულ საპასუხო ბერკეტებზე და სააკაშვილს პასუხის ფორმას უწუნებს! ის წუხს იმაზე, რომ თურმე საქართველომ ამ ბარბაროსულ, არაჰუმანურ დივერსიაში ბრალი „ყოველგვარი ყოყმანის გარეშე“ დასდო პუტინს (არადა, იქნებ მართლაც შემთხვევითობა იყო ის სამი აფეთქება, როგორც რუსები ამბობდნენ, არა?). ზურაბიშვილი ასევე იმეორებს რუსულ პროპაგანდისტულ ნარატივს, რომ თითქოს სააკაშვილმა პუტინს „ლილიპუტინი“ უწოდა (რისი დამადასტურებელი ფაქტიც არ არსებობს, რუსული პროპაგანდისტული ჟორების გარდა, რომლის გამავრცელებლადაც ავტორი გვევლინება), რაც სახელმწიფოთა შორის პრობლემების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ზურაბიშვილი ასკვნის, რომ რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული დივერსიული აქტები საქართველოს ბრალიცაა („ვინ არის სინამდვილეში პასუხისმგებელი? ორივე მხარე“), რითიც მთლიანად აზავებს აგრესორი მხარის პასუხისმგებლობას და საუბარი დამნაშავეის მოტივიდან მსხვერპლის რეაქციის ფორმაზე გადააქვს... განა უზუსტად ეს არ სურს რუსეთს?



სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო ბილბორდი ბიძინა ივანიშვილის გამოსახულებით, 2018

ამის შემდეგ ორივე თავისას უმატებს: ქართული მხრიდან არ წყდება შეურაცხყოფები, რაც სუსტის იარაღია. რუსეთის მხრიდან კი ადგილი აქვს უზარმაზარი სპექტრის შესაძლებლობების გამოყენებას, რის საშუალებასაც ძალა იძლევა (რუსული პასპორტების დარიგება აფხაზეთის მაცხოვრებლებში, რუსეთის ოფიციალური დელეგაციების მიერ საზღვრის არაერთი კვეთა ქართული ვიზის გარეშე, პირდაპირი ინვესტიციები აფხაზურ რივიერაზე საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე), და ყველაფერი ეს საერთაშორისო სამართლის და რუსეთის მხრიდან ხელმოწერილი ვალდებულებების მიუხედავად, რითაც ის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდა. რუსეთი იწყებს სეპარატისტული ტერიტორიების „მცოცავი ანექსიის“ პოლიტიკას.

ამავე ზაფხულს პრეზიდენტი სააკაშვილი გასცემს რუსული გემების მისამართით ცეცხლის გახსნის ბრძანებას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ წყლებს დაარღვევენ. რუსეთი გმობს ამ „კრიმინალურ ბრძანებას“, თბილისს სამოქალაქო პირების მისამართით მუქარაში ადანაშაულებს და საქართველოს საომარ განწყობებზე მიუთითებს.

სანიტარული ნორმების დარღვევის საბაბით, რუსული ბლოკადა ვრცელდება ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტზე, რაც სერიოზულ დარტყმას აყენებს ქართულ ეკონომიკას. თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი რუსებს კამერების წინ იწვევს: ღვინის ფალსიფიცირების ბრალდებას ის აგრესული ფორმულით პასუხობს: „ჩვენი ღვინო, თუნდაც ფეკალიებთან იყოს ის შერეული, რუსებისთვის მაინც კარგია!“. რუსული საზოგადოება მტკივნეულად რეაგირებს, ღებულობს რა მას ეროვნულ შეურაცხყოფად. ქართველებისთვის კი ღვინის ბლოკადა არა მხოლოდ ეკონომიკის სასიცოცხლო ნერვს ეხება, არამედ ასევე პატრიოტულ სიმებს: საქართველოში ვაზი ეროვნულობის და რელიგიის სიმბოლოა. ამ დაპირისპირებით, რომელსაც ირაციონალიზმის და ემოციის სფეროში შევყავართ, ხდება კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა.

2006 წლის სექტემბერში, რუსეთის დაზვერვის ოთხი ოფიცრის დაკავებით კიდევ ერთი ახალი ეტაპი იწყება. ამ აგენტებს აკავებენ და ექსტრადირებას უკეთებენ საჯაროდ, ანტირუსული რიტორიკის თანხლებით, რაც არ შეესაბამება იმ ჩვეულებას, რასაც მსგავსი საქმეების მოსაგვარებლად იყენებენ ხოლმე. მოსკოვი ამას პასუხობს ოთხსაი ქართველის გამოძევებით, რომლებიც ქვეყანაში „საქონლის“ სატვირთო თვითმფრინავებით ჩამოჰყავთ. ეს არის რასისტული კამპანიის ყველაზე მკაფიო ფორმა, განხორციელებული ოფიციალური ხელისუფლების ხელშეწყობით, რომელიც იძენს „კავკასიელებზე ნადირობის“ სახეს რუსეთის დიდი ქალაქების ქუჩებში. ამას ემატება საჰაერო გზების ბლოკადა, ვიზების გაუქმება, ემბარგო ყველანაირი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და, ბოლოს, ელჩების გაწვევა.

*დავაკვირდეთ - ზურაბიშვილს რუსეთის ყველა დანაშაულებრივი ნაბიჯი დახატული აქვს, როგორც პასუხი საქართველოს პროვოკაციულ ქმედებებზე. არადა, მორს რომ არ წავიდეთ, დაკავებული ჯამუშები საქართველოში ძირგამომთხრელი, დივერსანტული და ტერორისტული საქმიანობით იყვნენ დაკავებული (აქვე გავიხსენოთ მათ მიერ ორგანიზებული გორის ტერაქტი).*

## ეს ჯერ კიდევ არ არის ომი, მაგრამ ვუახლოვდებით ომს.

ვალში რომ არ დარჩეს, საქართველოს თავდაცვის მინისტრი იძლევა ხმაურიან დაპირებას: „2007 წლის პირველ იანვარს მე ცხინვალში შევხვდები“, რასაც ყველა დიდ პოლიტიკურ გარდატეხად აღიქვამს. საქართველო აღარ გამორიცხავს პრობლემიდან სამხედრო გამოსავალს. მით უმეტეს, რომ არავინ უარყოფს თავდაცვის მინისტრის სიტყვებს.

ესკალაციაში ორივე მხარეა ჩართული, თითოეული თავის პარტიას თამაშობს და ეფექტურად ისვრიან ბურთს ერთმანეთის მოედანზე. და ამით ორივე სარგებლობს. რუსეთის მოსახლეობა პუტინის მადლობელია იმისთვის, რომ თავისუფლებას ანიჭებს რასიზმს, რომელიც აქამდე ლატენტური ფორმით არსებობდა და გამოხატავდა აკლდა. ყველაფერი, რაც საქართველოსთვის კარგი გაკვეთილის სწავლებას ჰგავს, პუტინის პოპულარობას ზრდის. თავის მხრივ, სააკაშვილიც თამაშობს პატრიოტულ განწყობებზე, ესმიანება მოქალაქეების მოლოდინებს და, 2006 წლის 5 ოქტომბერს, იგებს ადგილობრივ არჩევნებს, გარკვეულწილად, რუსი ჯამუშების წყალობით. ნერვების ამ ომში ყველა საშუალება მისაღებია. ორი არადემოკრატიული რეჟიმი სიმეტრიულ საშუალებებს იყენებს იმისთვის, რომ გამოაღვიძონ თავიანთი მოსახლეობის მიძინებული დემონები და ამ გზით სულ უფრო მეტი პოპულარობა მოიხვეჭონ. 2006 წელი წარმოადგენს კონფლიქტებში პროგრესის მიღწევის იმედების დასასრულს. და, ასევე, პირველ სერიოზულ ბზარს ნატოსთან და ევროპის კავშირთან საქართველოს დაახლოების კალენდარში.

*აქ ზურაბიშვილი საუბრობს, როგორც მესამე მხარის წარმომადგენელი ცინიკოსი*

*„ექსპერტი“: მისი ვითომ დისტანცირებითა და მორალური ნეიტრალიტეტით სრული ტოლობის ნიშანს სვამს აგრესორსა და მსხვერპლს შორის. რუსეთის მიზანინგ ესაა - აჩვენოს, რომ საქართველოც დამნაშავეა, რომ სააკაშვილის საქართველოც (რომელსაც მსოფლიოში ბევრი „დემოკრატიის შუქურად“ და წარმატებული რეფორმების მაგალითად მიიჩნევს) ისეთივე „რეჟიმია“, როგორც პუტინის რუსეთი. ზურაბიშვილი განგებ ერთ სიბრტყეში განიხილავს რუსეთის ფაშისტურ პოლიტიკას ქართველების ეთნიკური ნიშნით დევნისას და საქართველოს სუვერენული ხელისუფლების თუნდაც პოპულისტურ, მაგრამ ლეგიტიმურ მცდელობას, გამოავლინოს მტრული ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლები... მაგრამ ვერც ერთი რუსი ჩინოვნიკის სიტყვები ვერ იქნება გარე სამყაროსთვის ისეთი სარწმუნო და დამაჯერებელი, როგორც ფორმალურად „ქართველი“ პოლიტიკოსის ტექსტი. სწორედ ამ როლს ასრულებს ზურაბიშვილი პირნათლად.*

2007 წელს კიდევ ერთი ნაბიჯით ვუახლოვდებით ღია კონფრონტაციას. რუსეთი აძლიერებს ორმაგი სტანდარტების გატარებისა და კონფლიქტის ზონებში თანდათანობით ფეხის მოკიდების პოლიტიკას. ოლიმპიური კომიტეტის მიერ სოჭის, როგორც ოლიმპიური თამაშების კანდიდატ ქალაქად მიღება ახალ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვის. აფხაზეთის ცხვირწინ მასიურმა ინვესტიციებმა შესაძლოა მას რუსეთისკენ უბიძგოს. რუსეთი აძლიერებს თავის ყოფნას სპარატისტულ ტერიტორიებზე.

ამ დაპირისპირებაში რუსეთზე წამახალისებლად მოქმედებს ის ცვლილება, რომელიც ძალთა ბალანსში შეიმჩნევა: ის გრძნობს, რომ საქართველო სუსტია რევოლუციის შედეგად გაჩენილი უთანხმოების გამო, რომ მისი სოციალური და ეკონომიკური კრიზისი პოლიტიკური კრიზისით კიდევ უფრო მძაფრდება. რუსეთი განსაკუთრებით მგრძობიარეა ძალთა გლობალური ბალანსის ცვლილების მიმართ: საქართველოს მთავარი მოკავშირე, ამერიკის შეერთებული შტატები, დასუსტებულია. ეს აღარ არის 2004 წლის ტრიუმფატორი ამერიკა, ეს 2007 წლის ამერიკაა, რომელიც ჩაფლულია ერაყსა და ავღანეთში, პრეზიდენტით, რომლის რეიტინგიც კლებულობს და რომელიც აღარ წარმოადგენს სანდო პროტექტორს. ამის საპირისპიროდ, რუსეთი საკუთარ ძალებში უფრო დარწმუნებულია, ნავთობსა და წიაღისეულზე ფასების ზრდა ზრდის მის შემოსავლებს და აძლიერებს მას.

*ზურაბიშვილის მტკიცებით, ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველო დასუსტდა, რაც არათუ არ შეესაბამება რეალობას, არამედ სიცრუეა, რაც რიცხვებით არ დასტურდება. ყველა მონაცემით, საქართველო მნიშვნელოვან, გაზომვად, საერთაშორისოდ აღიარებულ პროგრესს განიცდის. იზრდება ეკონომიკა, მყარდება წესრიგი, საქართველო ხვდება საერთაშორისო რეიტინგებში, როგორც მოწინავე რეფორმატორი, მაღლდება ქვეყნის საერთაშორისო ცნობადობა და იმიჯი, რაც ითარგმნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდაში, ინვესტიციები ხორციელდება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, რაც საქართველოს უფრო დაეფულს ხდის. არც ვარდების რევოლუციის შემდეგ გაჩენილ ე.წ. უთანხმოებას დაუსუსტებია საქართველო. პირველ წლებში, პრეზიდენტ სააკაშვილს ძალიან მაღალი ნდობის მანდატი ჰქონდა, რომელიც მართალია, 2007 წელს შესუსტდა, მაგრამ ის მაინც საკმარისად მაღალი იყო საიმისოდ, რომ ქვეყანაში სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო შენარჩუნებულიყო. ამდენად, ზურაბიშვილი ტყუის, როდესაც ამბობს, რომ საქართველო რევოლუციის შემდეგ დასუსტდა. ასევე აბსურდულია იმის მტკიცება, რომ აშშ-ს თითქოს დასუსტებულ როლს უარყოფითი გავლენა აქვს დასავლეთისთვის საქართველოს მნიშვნელობაზე. სინამდვილეში, ამ პერიოდში, ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს დიდი ადგილი ეთმობა, რადგან ის წარმოადგენს რეგიონში რეფორმებისა და დემოკრატიული ტრანსფორმაციის წარმატებულ მაგალითს. აშშ-ის საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, სადაც საკვანძო ადგილს მსოფლიოს მასშტაბით დემოკრატიის გავრცელება და ხელშეწყობა იკავებს, ამ*

**პერიოდში, საქართველოსადმი ამერიკის მხარდაჭერა არის ისტორიულად მაღალი, რასაც საქართველო იყენებს კიდევ. ნიშანდობლივია, რომ ამ აბზაცში ზურაბიშვილი აშშ-ს „პროტექტორად“ მოიხსენიებს, რაც ტექსტში ჩაწნული მორიგი რუსული პროპაგანდისტული კლიშეა.**

რუსეთს აქვს ცდუნება, ისარგებლოს საქართველოს სისუსტით და ნაკლები დანახარჯებით მოახდინოს ძალის და დამოშმინების დემონსტრაცია, კვლავ მოიკიდოს ფეხი კავკასიაში, რომლის დაკარგვაც მას ვერ აუტანია და შური იძიოს დამცირებისთვის. ის საბაბს ეძებს. აწყობს პროვოკაციებს. მას სურს საქართველოს შეცდომისკენ უბიძგოს. ის ამას იმაზე ადვილად მიაღწევს, ვიდრე შეიძლება ამის იმედი ჰქონოდა.

**ზურაბიშვილი ამტკიცებს, რომ რუსეთმა კავკასია დაკარგა, რაც, სამწუხაროდ, ტყუილია. რუსეთი კავკასიიდან ბოლომდე არასდროს გასულა, მას ჰქონდა რეგიონში საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობა და ოკუპირებული ტერიტორიები, რომლებსაც 2008 წლისთვის უბრალოდ ჯერ არ ჰქონდა ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსი, თუმცა, ფაქტობრივად ოკუპირებული იყო. ზურაბიშვილი ცდილობს წარმოაჩინოს, რომ რუსეთს „დაბრუნებისთვის“ ქართული მხარის „შეცდომა“ სჭირდება. არადა, რუსეთს სულ ჰყავდა მნიშვნელოვანი სამხედრო კონტინგენტი როგორც აფხაზეთში, ასევე - ცხინვალის რეგიონში.**

სააკაშვილი წინ უსწრებს მის მოლოდინებს შედის რა ამ თამაშში. რაც უფრო მეტად გრძნობს საქართველოს პრეზიდენტი მისი პოპულარობის კლებას, მით უფრო მეტი ცდუნება აქვს, რომ პატრიოტულ მოტივებზე ითამაშოს, გამოიყენოს სამხედრო რიტორიკა და გააკეთოს ტერიტორიების დაბრუნების დაპირებები.

რაც უფრო მეტად გრძნობს რუსეთის პრეზიდენტი საკუთარი ძლიერების ზრდას და მისი მეზობლების, უკრაინის და საქართველოს ან მათი მფარველი ამერიკის სისუსტეებს და დასავლეთის ბანაკში განხეთქილებას ნატოში ამ ორი ქვეყნის მიღების თაობაზე, მით უფრო მეტი ცდუნება აქვს, რომ ისარგებლოს ამ განხეთქილებით და ხმას აუწიოს.

**ზურაბიშვილი ისევ რუსულ პროპაგანდისტულ კლიშეს იყენებს, როცა ამბობს, რომ უკრაინას და საქართველოს (იგულისხმება ფერადი რევოლუციების შედეგად მოსული ხელისუფლებები) „მფარველები“ დასავლეთში ჰყავს.**

ესკალაციის ამ დინამიკას კონფლიქტისაკენ მივყავართ და ამ გზაზე არცერთ მხარეს არ აქვს გაჩერების სურვილი. 2008 წლის დასაწყისში კალრი მზადაა, სცენარი დაწერილია და ეს არის დაანონსებული ომის სცენარი.

მაქსიმალური კონფრონტაციის ოფციას ზურგს უმაგრებს ის მოსაზრება, რომ დაძაბულობის სტრატეგია ხელს უწყობს ამერიკელი მოკავშირეების მაქსიმალური მხარდაჭერის მოპოვებას და რომ ის ზრდის საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას. მაშ ბოლომდე რატომ არ უნდა გავყვეთ ამ ლოგიკას და არ უნდა ვეცადოთ, რომ თავშეკავებულმა ამერიკელებმა „ხელი გაანძრიონ“ რუსეთთან ღია კონფლიქტში მყოფი საქართველოს დასაცავად, რატომ არ უნდა ჩავაყენოთ ვაშინგტონი ისეთ სიტუაციაში, როცა ის ვედარ შეძლებს მისი პატარა და ერთგული მოკავშირის მიტოვებას? უშედეგო და დროში გაწელილი მოლაპარაკებების პროცესში ჩართვის მაგივრად, რომელიც ქვეყანას გამოფიტავს, უკეთესი არ იქნებოდა გაგვირისკა სიმსივნის ამოკვეთა? იმისთვის, რომ გამოჩნდეს რუსეთის ნამდვილი სახე და აგრესიულობა და იმისთვის, რომ საქართველო მსხვერპლად წარმოჩინდეს, რა არის იმაზე უკეთესი, ვიდრე ომი?

რუსეთის მიერ პოზიციების გამყარების, ტერიტორიების მუდმივი მიტაცების და პროვოკაციების წინაშე, სააკაშვილი ცდილობს არ ჩამორჩეს და არ გაუცრუოს მოლოდინები თავის მოსახლეობას. აქცია რა ტერიტორიების შემოერთება მთავარ საარჩევნო დაპირებად, დაიფიცა რა, რომ ხელისუფლებიდან ისე არ წავა, რომ არ



აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მან უნდა აჩვენოს თავის მოსახლეობას, რომ რუსეთის წინაშე კარგად უჭირავს თავი და წარმატებას აღწევს.

ნამდვილი გამარჯვებების ნაცვლად ცრუ მიღწევები და ტყუილები კვებავს პროპაგანდას. მაგრამ ამას თავისი ფასი აქვს მომავალში...

ამგვარად, საპოლიციო ოპერაცია აფხაზეთის მიმდებარედ, კოდორის ხეობაზე კონტროლის აღდგენის საშუალებას იძლევა, რომელიც 15 წლის მანძილზე ადგილობრივ ქართულ შეიარაღებულ ბანდებს[sic] ეკავათ. საქართველოს ხელისუფლება არ წყვეტს, წარმოაჩინოს კონტროლის აღდგენა, როგორც ტერიტორიის შემოერთება. ამ მოსაზრების გასამყარებლად მაღალმთიან ხეობას სახელად ერქმევა „ზემო აფხაზეთი“. სინამდვილეში ეს არის ტყუილი, ვინაიდან აღნიშნული ხეობა არასდროს ყოფილა აფხაზეთის და შესაბამისად მათ ვერ ჩამოერთმეოდა.

ეს ტყუილი ძალიან ძვირი დაჯდება: 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, აფხაზეთი და რუსული ძალები კოდორის ხეობაში შევლენ, გამოიჭერენ რა ერთგვარად საქართველოს სიტყვაზე. თუ კოდორის ხეობა აფხაზეთის ნაწილია, მისი დაბრუნებაც ლეგიტიმურია!

*ეს პასაჟი გამოგნებლად არაკომპეტენტური იქნებოდა ის რომ პოლიტიკური მენეიერებების გრენლანდიელ პირველკურსელს დაეწერა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამას მაღალი რანგის, გამოცდილი ფრანგი დიპლომატი წერს, აქ არაკომპეტენტურობის ვერსია ძნელი დასაჯერებელია. რჩება მხოლოდ ერთი ახსნა - ის, რომ ეს შეგნებულად, მიზანმიმართულად კეთდება, მსოფლიო თანამეგობრობის შეცდომაში შესაყვანად, „ისრების“ საქართველოზე გადმოსატანად და რუსეთის დაპყრობითი ომის გასამართლებლად. ფაქტია, რომ კოდორის ხეობა შედიოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რომლის დიდ ნაწილს, 1992-1993 წლის ომის შემდეგ, რუსები და მათი სეპარატისტო მარიონეტები აკონტროლებდნენ. ის, რომ 2008 წლის ომის დროს რუსების მიერ კოდორის ხეობის დაპყრობის და იქიდან ქართველების გამოძევების საფუძველი მისი „ზემო აფხაზეთად“ მოხსენიება გახდა, ისეთი უტიფარი ტყუილია, რომ მისი გამეორება ყველაზე თავხედ რუს პროპაგანდისტსაც კი გააწითლებდა. მაგრამ არა სალომე ზურაბიშვილს.*

სამხრეთ ოსეთი, იგივე ცხინვალის რეგიონი ქართული დასახელებით, სხვაგვარი მანიპულაციის ადგილია. სააკაშვილი გადაწყვეტს, რომ შექმნას თბილისის მიმართ ერთგული ალტერნატიული სეპარატისტული მთავრობა იმისთვის, რომ მარცხი აწვნიოს სეპარატისტულ რეჟიმს, რომელსაც მართავს მოსკოვის მარიონეტი ედუარდ კოკოთი. გულუხვობის საჩვენებლად, ის ამ ლოიალურ მთავრობას აძლევს დედაქალაქს (ქურთა), ადმინისტრაციას, ბიუჯეტს (რამდენიმე მილიონი დოლარი), პრეზიდენტს (დიმიტრი სანაკოევი) და ტერიტორიას (ლიახვის და ახალგორის ხეობები, რომლებიც უპირატესად ქართველებით არის დასახლებული და რომლებიც 1992 წლის ომიდან მოყოლებული თბილისის კონტროლს ქვეშაა დარჩენილი). იმისთვის, რომ თავის სეპარატისტებს სასურველი ლეგიტიმაცია მიანიჭოს, სააკაშვილი თბილისის მიერ კონტროლირებად ნაწილში საპრეზიდენტო არჩევნებსაც კი ჩაატარებს. ამრიგად, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაამყაროს ორი პრეზიდენტით ორი სეპარატისტული რეჟიმის სქემა, სააკაშვილი ამკვიდრებს სამხრეთ ოსეთის დასახელებას და წინასწარ უკეთებს ერთგვარ ლეგიტიმაციას იმ საზღვრებს, რასაც ხვალ რუსეთი დამოუკიდებელი ოსეთის საზღვრებად აღიარებს.

*„გულუხვობის“ საჩვენებლად არა, სანაკოევის დანიშვნა ქართული ხელისუფლების პოლიტიკური სვლა იყო, რომლის მიზანშეწონილობაზე დავა შესაძლებელია. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ზურაბიშვილი ისევ საქართველოს აბრალებს რუსეთის უკანონო ქმედებებს, თითქოს სააკაშვილის შიდაპოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია რუსების მიერ ახალგორის რაიონის ოკუპაცია*

*2008 წლის ომის დროს. სინამდვილეში, რუსეთი ხელმძღვანელობდა რუსული და საბჭოთა რუკებით, რომლებშიც ახალგორის რაიონი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შედიოდა და, როგორც ასეთი, „ქვემდებარებოდა“ ოკუპაციას.*

## მოსკოვთან საიდუმლო მოლაპარაკების მცდელობები

სააკაშვილმა იცის, რომ მისი პოპულარობა ეცემა და იგი სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების თემის გარშემო აგებულ პატრიოტულ პროპაგანდაზე. ის მოუთმენლობას ავლენს კონფლიქტის მოგვარების უიმედოდ გაყინული პროცესის და ამერიკელი და ევროპელი მოკავშირეების გადაჭარბებული სიფრთხილის მიმართ. ნატოში მიღების საკითხში სწრაფ პროგრესთან დაკავშირებული მოლოდინები, რასაც ის ასე ესწრაფვის უფრო საკუთარი პოპულარობის მოხვეჭის, ვიდრე სტრატეგიული ხედვის გამო, შორეული ხდება.

*იმის გამო, რომ ზურაბიშვილის თხრობის სტილი საკმაოდ ქაოტურია, ძნელია იმის გაგება, თუ რომელ აბზაცში რომელ პერიოდზე საუბრობს. წინა აბზაცებში ავტორი საუბრობს ომამდე არსებულ ვითარებაზე. თუ ამ აბზაცში იგივე პერიოდზეა საუბარი, მაშინ ზურაბიშვილი იტყუება, როდესაც ამბობს, რომ ნატოში მიღების საკითხში სწრაფ პროგრესთან დაკავშირებული მოლოდინები შორეული ხდება. 2007-2008 წლებში საქართველოსა და ნატოს შორის ინტეგრაცია პიკს აღწევს და პირველი იმედგაცრუება მხოლოდ 2008 წლის აპრილში, ბუქარესტის სამიტზე მივიღეთ, როდესაც მერკელმა საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანება დაბლოკა, მაგრამ დეკლარაციაში ჩაიწერა, რომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად გახდებიან ალიანსის წევრები. ტყუილია ისიც, რომ ნატოში ინტეგრაცია სააკაშვილის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი იყო უფრო შიდაპოლიტიკური მოხმარებისთვის, ვიდრე სტრატეგიული ხედვის გამო. სწორედ ენმ-ს მმართველობის პერიოდში მიიღო საქართველოს ევროატლანტიკურმა მისწრაფებებმა სისტემური სახე.*

მოსკოვთან მოლაპარაკების წარმოების მცდელობა, რომელსაც ხელთ უპყრია კონფლიქტების გადაწყვეტის გასაღები და, აქედან გამომდინარე, ირიბად თბილისში ძალაუფლებისაც, ახსნადია. მით უმეტეს, რომ დემოკრატია მოიკოჭლებს და სააკაშვილი ძალიან კარგად იცნობს მის დასავლელ პარტნიორებს იმისთვის, რომ არ იცოდეს, რომ მისი სვლა ავტოკრატიისკენ ერთ დღესაც მის მიმართ უმწვავესი კრიტიკით დამთავრდება. ამ დროს ხომ არ აქვს მას ცდუნება, რომ დაუახლოვდეს რუსეთს, რომლისგანაც დემოკრატიის გაკვეთილები ნაკლებად მოსალოდნელია? ეს დაახლოება საჯაროდ წარმოუდგენელია, რადგან რუსეთი, როგორც საფრთხობელა აუცილებელი საკვებია პოპულიზმისა, რომელშიც რეჟიმი ეფლობა. აქედან გამომდინარე, თუ შეთანხმება შედგება, ეს უნდა იყოს მხოლოდ საიდუმლო გარიგების გზით.

*ზურაბიშვილის თქმით, სააკაშვილმა იცოდა, რომ დასავლეთი ავტოკრატიისკენ სვლას კრიტიკით უპასუხებდა, ამიტომ ლოგიკურია, რომ სააკაშვილს ჰქონოდა რუსეთთან დაახლოების მცდელობა, რომლის მხრიდანაც დემოკრატიასთან დაკავშირებით გაკვეთილები ნაკლებად მოსალოდნელი იყო. ერთადერთი რამ, რის გამოც სააკაშვილის ხელისუფლება შესაძლოა რუსეთს დაახლოვებოდა, ეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეინტეგრაციის საკითხია, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი მიხვდა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებებს აზრი არ ჰქონდა, რუსეთთან მოლაპარაკებების მცდელობები დასრულდა. ზურაბიშვილის თეზისი, თითქოს საქართველოს ხელისუფლება რუსეთისკენ იხრება, არის უარგუმენტო, სპეკულაციური და, რუსულ პროპაგანდისტულ სტილში, მიმართულია მკითხველის*

**დაბნევაზე. კიდევ უფრო გაუგებარია კონსპირაციული ვარაუდი შესაძლო საიღუმლო მოლაპარაკებაზე, რაზეც სრულიად არაფერი მიანიშნებს.**

ავვისტოს კონფლიქტამდე ცოტა ხნით ადრე, სააკაშვილმა გაიხსენა, რომ 2004 წელს პუტინთან მისი პირველი და ხანგრძლივი შეხვედრის დროს, რომელიც 3 საათს გაგრძელდა, პუტინმა სთხოვა, რომ ცოტა დრო მიეცა მისთვის აჭარის რევოლუციის „მოსანელებლად“, შემდეგ კი ის სამხრეთ ოსეთის საკითხის მოგვარებითაც დაკავდებოდა „ერთ ან ორ წელიწადში“! თუმცა მხოლოდ ერთი პირობით: სააკაშვილმა არ უნდა სცადოს დაჩქარება.

თუ ეს სიმართლეა, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ პუტინმა 2004 წლის ინციდენტი ამ ფარული გარიგებისთვის მიყენებულ დარტყმად ჩათვალა. აქაც კითხვებს ბადებს რუსული მხარის მიერ აღებული, მით უმეტეს საიღუმლო სახის ვალდებულებების სანდოობა.

**ნიშანდობლივია, რომ ზურაბიშვილი პუტინის მიერ თითქოს ნათქვამ სიტყვებს, რომლის არც წყარო ვიცით და რომლებიც არაფრით დასრუდება, სანდოობის მაღალ ხარისხს ანიჭებს და დარწმუნებით გვთავაზობს ვერსიას, რომ, როგორც ჩანს, სააკაშვილმა პუტინი „გადააგდო“.**

როგორ ვენდოთ რუსეთთან საიღუმლო შეთანხმებას, ან რატომ უნდა ვენდოთ, როდესაც ვიცით რუსულ-ქართული ურთიერთობების ისტორია?

**ზურაბიშვილი აქაც იგივეს აგრძელებს. გავიხსენოთ, რომ საიღუმლო შეთანხმების ფაქტი არაფრით დასტურდება. ერთი სპეკულაციული არგუმენტიცაა კი. მხოლოდ მისი ვარაუდებითა და მის მიერვე მოყოლილი ჭორებით სულდგმულობს ეს კონსპირაციული ვერსია. მიუხედავად ამისა, ზურაბიშვილი ამ ჭორს უკვე მოცემულობად ასაღებს და მის მიერვე შექმნილ ფანტომს ესხმის თავს.**

და ასევე, როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ რუსეთი, რომელიც დიდი სახელმწიფოს სახელის აღდგენას ესწრაფვის, მზად იქნება, რომ, კონფიდენციალური შეთანხმების პირობებში, დათანხმდეს იმას, რაც მსოფლიოს მიერ აღქმული იქნება როგორც მისი უკან დახევა კავკასიაში, სადაც ის უკვე ათწლეულებია უკან იხევს? ამ კითხვებზე გარკვეულ პასუხს იძლევა 2007 წლის ოქტომბერში განმუხურის ეპიზოდი. პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელსაც თან ახლავს რამდენიმე შეიარაღებული პირი, პირადად უპირისპირდება სამშვიდობო ძალების რუს ოფიცრებს და მათ „უკან ახევენებს“. შესაძლოა ეს სიმბოლური „უკან დახევა“ აჯერებს საქართველოს პრეზიდენტს, რომ ნაწილობრივ რუსული გასვლა, რომელსაც მას პირდებიან, რეალურია. მას ცდუნება იპყრობს.

**ამ აბზაცში, ზურაბიშვილის კონსპირაციული ვერსია უკვე ახალ ელფერს იძენს. რეალურად, ვერსია სრულიად სპეკულაციური და ყოველგვარ ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან ამჟამად, რომ იგი არ ფლობს ინფორმაციას დახურულ კარს მიღმა რა თემები განიხილებოდა პრეზიდენტების შეხვედრაზე. სრულიად გაუგებარია, თუ რას ეყრდნობა ზურაბიშვილი, როდესაც იგი სააკაშვილს პუტინთან საიღუმლო გარიგებაში ადანაშაულებს, საკუთარი ფანტაზიის გარდა, როცა ასეთი გარიგება არცერთი ფაქტით არ დასტურდება.**

ქვეყნის შიგნით, 2007 წლის ნოემბრის აქციების და 7 ნოემბრის რეპრესიის შემდეგ, რომელიც „იმედის“ ტელევიზიაში შეჭრით მთავრდება, ჩქარდება სვლა ავტორიტარიზმისკენ. ამერიკელების ზეწოლით დანიშნული არჩევნების და მედიის ნაწილობრივ გახსნის შემდეგ, სააკაშვილმა იცის, რომ მისი „იძულებითი დემოკრატიზაციის“ წამზომი ჩართულია. საპრეზიდენტო და საპარლამენტი არჩევნები ვერ ახერხებს იმ კრიზისის გადაჭრას რომელშიც ქვეყანა ეფლობა. იმისთვის, რომ სახე აღიდგინოს ქვეყნის გარეთ, ქვეყნის შიგნით კი პოპულარობა, ასევე აღადგინოს ოქროს ფასად ნაყიდი არჩევნების შემდეგ გამოლეული ფინანსები,

მხოლოდ ერთი გამოსავალია: ომი. გაზაფხულიდან მოყოლებული იზრდება ინციდენტების რაოდენობა აფხაზეთში. მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციის მიერ კატეგორიული ფორმით გაფრთხილება, რასაც თან ახლავს კონდოლიზა რაისის ვიზიტი 2008 წლის ივლისში, დროებით აჩერებს ამ მისწრაფებას. ასეთი მკაფიო გაფრთხილება ქართულ რეჟიმს მწვავე დილემის წინაშე აყენებს: სიფრთხილისკენ ამერიკელების მოწოდებები, დემოკრატიის ნაკლებობის შესახებ მზარდი კრიტიკა, კონფლიქტის ზონებში პროგრესის არარსებობა, ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლოდინების გადავადება 2007 წლის დეკემბრის მინისტრიალსა და 2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე, ყველაფერი ეს ადგილობრივ ხელისუფლებას არ უტოვებს მანევრირების არეალს იმისთვის, რომ შეძლოს კონსოლიდირება და გაძლიერდეს.

***რა გახშირებულ ინციდენტებზე საუბრობს ავტორი? რით საბუთდება, რომ ეს ინციდენტები ქართული მხარის მიერ იყო ინსცენირებული და არა რუსული პროვოკაცია? მტკიცებულებების გარეშე საუბარი არის სპეკულაციური და მიზნად ისახავს ცრუ ინფორმაციის მიწოდებას მკითხველისთვის, მისი გამიზნულად შეცდომაში შეყვანის მიზნით. ის, რომ თურმე სააკაშვილს ომი სჭირდებოდა, არის რუსული პროპაგანდისტული გზავნილის გამეორება, რუსეთის აგრესიის გამართლების მიზნით, არ დასტურდება ერთი მტკიცებულებითაც კი და არ არის გაზიარებული არც ერთი(!) ავტორიტეტული მკვლევარის, დიპლომატის ან პოლიტიკოსის მიერ.***

სასწორი ჩრდილოელი მეზობლისკენ იწყებს გადახრას, რომელსაც რამდენიმე გასაღები უპყრია ხელთ: ეკონომიკური განვითარების, ვინაიდან უახლოეს პერიოდში ის არის ერთადერთი პოტენციური ბაზარი და ასევე ის არის ერთ-ერთი მთავარი აქციონერი ქართული აქტივების პრივატიზაციის საქმეში; კონფლიქტების მოგვარების; და ბოლოს, თბილისმა იცის, რომ ის არის ისეთი პარტნიორი ვისი შეგონებებისა და დემოკრატიის სფეროში მას არ უნდა ეშინოდეს. ეს არის სერიოზული არგუმენტები ზოგიერთებისთვის ქართული ხელისუფლების შიგნით, რომლებიც სერიოზულად იწყებენ ფიქრს რუსულ არჩევანზე.

დასავლური აზროვნებისთვის რთული წარმოსადგენია თუ როგორ შეიძლება სააკაშვილსა და პუტინს ერთმანეთი სძულდეთ და, ამავე დროს, ამ ორ ლიდერს შორის ინტერესთა თანხვედრა არსებობდეს. არადა ასეთი ინტერესები არსებობს: სააკაშვილს სურს ტერიტორიების მცირე ნაწილი მაინც დაიბრუნოს და საკუთარ მოსახლეობაში ნდობა აღიდგინოს იმისთვის, რომ კვლავ გაიმყაროს თავისი პოზიცია. პუტინი კი ცდილობს, რომ სააკაშვილს გადაადგმევინოს ისეთი ნაბიჯი, რაც მას საბოლოოდ მოუჭრის გზას ნატოსკენ და დააკარგვინებს ამერიკელების უპირობო მხარდაჭერას. თითოეული მათგანისთვის საქმე ეხება საკუთარი ძალაუფლების გამყარებას.

ყოველ შემთხვევაში, ეს არის ის, რაც ყველაზე კარგად ხდის გასაგებს იმას თუ რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში. გვიჭირს წარმოვიდგინოთ, რომ სააკაშვილი ამ ავანტიურაში ისე გადაეშვა, რომ გვერდი აუარა ვაშინგტონის მხრიდან საჯაროდ გამოხატულ მოწოდებას და რომ იცოდა, ვერ დაეყრდნობოდა ამერიკელების და ევროპელების მხარდაჭერას, განსაკუთრებით საფრანგეთის პრეზიდენტობის პირობებში, რომლის სიმპატიები საქართველოს მიმართ სუსტია პარიზის ტრადიციული პრორუსული განწყობების გამო.

დაეყრდნო საკუთარ სამხედრო ძალას რუსებთან ბრძოლაში - წარმოუდგენელია! ათასიდან ერთი შანსიც კი არ არის. ქართულ არმიას არ შეუძლია რუსეთის შეიარაღებულ ძალებზე გამარჯვება მიუხედავად მნიშვნელოვანი დანახარჯებისა შეიარაღების შესყიდვაზე და მიუხედავად იმ პროგრესისა, რომელიც მიღწეულ იქნა ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის წყალობით. ამ ყველაფრის მიუხედავად ქართული არმია რჩება ჩანასახოვან მდგომარეობაში, რომელსაც არ

მესწევს მისი დიდი ჩრდილოელი მეზობლისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი. მას ასევე არ შეუძლია გათვლა გააკეთოს რეზერვის ტებზე, ვინაიდან ამ ახალგაზრდებს გავლილი აქვთ, არც მეტი არც ნაკლები, ორ კვირიანი წვრთნა. ორი აზრი არაა, მას ასევე არ შეუძლია, გათვლა გააკეთოს მოულოდნელობის ეფექტზე. საქმე იმაშია, რომ ზაფხულის დასაწყისიდან კონფლიქტურ ზონებში ინციდენტებმა იმატა და ყველას გამახვილებული აქვს ყურადღება. და თუ ოფიციალური ქართული რიტორიკა არ მალავს მის სამხედრო ამბიციებს, მეორე მხრიდანაც, რუსული საფრენი აპარატების უწყვეტი რეიდები და დიდი მასშტაბის სამხედრო სწავლება „კავკაზ“, რომელიც ივლისის თვეში საზღვრის რუსულ მხარეს, ასობით ტანკის და ათასობით სამხედროს მონაწილეობით გაიმართა, აჩვენებს, რომ მოსკოვი ყველაფერზეა წამსვლელი.

როგორ უნდა შეფასდეს წამოწყებული ოპერაცია მაშინ, როცა ნათელია, რომ ის ვერ დაეყრდნობა ვერც უპირატესობის ეფექტს, ვერც სიურპრიზის ეფექტს, ვერც ვერავის მხრიდან დახმარებას, და რომლის შეფარდება ძლიერების თვალსაზრისით ერთი ოცდაათთანაა? ან საქმე გვაქვს თვითმკვლელ ოპერაციასთან, რაშიც მხოლოდ შემოიღო პრეზიდენტი შედგომო საკუთარი ქვეყნის გახვევა, ან ოპერაციასთან, რომელიც სხვა რამის დასაფარად არის გამოიზნული, მაგალითად, საიდუმლო გარიგების.

**ზურაბიშვილი ამ აბზაცშიც მთელ პასუხისმგებლობას ომის დაწყებაზე სააკაშვილს აკისრებს, რომელმაც თითქოს რაციონალური, პირადი მოტივაციით დაგეგმა და განახორციელა ქმედებათა მთელი სერია, რომელიც 2008 წლის ომში კულმინირდა. იგი კვლავ მის მიერ გამოგონილ „საიდუმლო გარიგებაზე“ საუბრობს, რომელიც მონაგონად რჩება, ვინაიდან ასეთის არსებობა არც მის და არც სხვა რაიმე გარემოების მიერ არც ერთ ეტაპზე არ დადასტურებულა. საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაზე ქვეყნის ხელისუფლების საპასუხო რეაქციას „თვითმკვლელ ოპერაციას“ უწოდებს, იყენებს რა ტრადიციულ რუსულ კლიშეს, რომ ქვეყანას ჰყავს „შემოიღი პრეზიდენტი“ (შეგახსენებთ - ზვიად გამსახურდიაზეც იმავე ჭორს ავრცელებდნენ. კლიშე არ გამოუცვლიათ - რაში ჭირდებოდათ, როცა პირველადაც „იმუშავა“; ქართველებს კი 2-3 წელზე მეტის მუხსიერება არ აქვთ?). მაშინ, როცა ის აგვისტოს ომზე სრულ პასუხისმგებლობას საქართველოს აკისრებს, ერთი სიტყვით არ ახსენებს რუსეთის პასუხისმგებლობას. ის არ ახსენებს დასავლეთის 2008 წლის დასაწყისში დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარებას, რაზეც პუტინმა არათანაზომიერი პასუხის დაპირება გასცა. ის რატომღაც ვერ იხსენებს დსთ-ს ხელსეკრულებიდან რუსეთის გამოსვლას, აფხაზეთში სარკინიგზო ჯარების დემონსტრაციურ შეყვანას, ქართული სადაზვერვო დრონის ჩამოგდებას რუსული სამხედრო თვითმფრინავის მიერ, რუსეთის მიერ ყველა სამშვიდობო წინადადების (მათ შორის, შტაინმაიერის გეგმის) უარყოფას... ეს ყოველივე არა მხოლოდ ეჭვს და კითხვებს აჩენს ავტორის კეთილსინდისიერების მიმართ, არამედ ერთადერთ, თავისთავად და გასაგებ პასუხსაც მოიცავს ამ კითხვებზე: ზურაბიშვილის ეს წიგნი ემსახურება რუსულ ინტერესებს.**

ოფიციალურ განცხადებებში ბევრია ისეთი მინიშნება, რაც სწორედ ამგვარ რამეს გვაფიქრებინებს. მაგალითად, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია ფიგაროსთან ინტერვიუში აღიარებს: „ჩვენ გავაფრთხილეთ რუსული ძალები, რომ ჩვენ საქმე გვაქნებოდა უკანონო ფორმირებებთან. მათ ჩვენ მწვანე აგვინთეს ინტერვენციისთვის(...) არ გვიფიქრია, რომ რუსები ასე შორს წავიდოდნენ.“ სხვა ქართველი ოფიციალური პირებიც აღიარებენ, რომ „არ ელოდნენ“ რუსეთის ასეთ რეაქციას. გამოდის, რომ სხვა რამეს ელოდნენ!

ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ საქართველოს პრეზიდენტის საოცრად შემრიგებლური მიმართვა რუსებისადმი 7 აგვისტოს სატელევიზიო გამოსვლაში, როდესაც ის რუსებს მის მიერ გამოცხადებული ცეცხლის შეწყვეტის გარანტიურობას სთავაზობს. სახელმწიფოს მეთაური მიმართავს რუსეთის სამშვიდობო ძალების

სარდალს, კულანმეტოვს, ავიწყდება რა, რომ თვეების მანძილზე საქართველო კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა სამშვიდობო ძალების ლეგიტიმურობას და ითხოვდა მის გასვლას.

შესაძლოა, ადგილი ჰქონდა ერთგვარ გარიგებას, რომ თუ ქართველების ოპერაცია იქნებოდა სწრაფი და ცხინვალით შემოფარგლული, რუსები მყისიერ პასუხს არ გასცემდნენ. ამ თუხისსამყარების ფაქტი, რომ ოსური მმართველობის მიერ ცხინვალის დაიწალა მისი სამოქალაქო მოსახლეობის დიდი ნაწილისგან ქართველების შეტევის წინა დღეებში, თითქოს ადგილი ჰქონოდა ადგილის მოსუფთავებას და ქართველების დარწმუნებას, რომ იქ შესულიყვნენ. ასევე ამბობენ, რომ სარდალმა კულანმეტოვმა 4 მილიონი დოლარი აიღო მისი „ჩაურევლობის“ სანაცვლოდ.

*ისევ დაუდასტურებელი ჭორები, და ისევ რუსული უშიშროების სამსახურების სტილში. გარიგების არანაირ მტკიცებულებას ზურაბიშვილი არ გვთავაზობს. ის, რომ კულანმეტოვმა თითქოს 4 მილიონი დოლარი აიღო ჩაურევლობის სანაცვლოდ, ასევე მხოლოდ ჭორია. როგორც ჩანს, ასეთი ქმედება ზურაბიშვილისთვის ჩვეული მოდუს ოპერანდია. გავიხსენოთ 2007 წლის 6 აგვისტოს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის ვიზიტისას რუსეთის მიერ წითელუბნის რადარის დაბომბვა, რაზეც, მაშინ უკვე ოპოზიციონერმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ეს შესაძლოა ქართული ძალოვანი უწყებების მიერ მოწყობილი სპექტაკლი იყო რუსეთის „გასაშავებლად“. ამით მან აშშ-ის მიმართ რუსული მუქარის ქართული მხარის პროვოკაციად მონათვლა სცადა. ასეთი რამ საქართველოსთვის გენერალი გრაჩოვის მერე არავის ეკადრებინა, რომელიც აფხაზეთის 1992-1993 წლების ომის დროს ამბობდა, ქარველები თავად დებავენ სამხედრო თვითმფრინავებს რუსულ ფერებში და საკუთარ პოზიციებს ბომბავებ, რომ ჩვენ დაგვაბრალონო. რეალურად კი, კრემლი საქართველოში დაწყებულ რეფორმებს ვერ შეეგუა, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია გამოიწვია.*

როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს შეთანხმებები, საჯარო თუ ფარული, ერთი რამ აშკარაა: შემდეგში რუსეთმა თავისი სიტყვა აღარ შეასრულა. მან მოახერხა თავისი იმპულსური ხასიათით ცნობილი ქართველი პრეზიდენტის ხაფანგში შეტყუება.

ვინაიდან სცენარი კატასტროფულად ვითარდება: საქართველო სამ დღეში ყველაფერს კარგავს: კარგავს ტერიტორიების 10%-ს, ნაცვლად მათი დაბრუნებისა; ჰყავს ასობით მსხვერპლი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულად დათვლილი; ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა დიდი ხნით იხურება; იხდის ეკონომიკურ საფასურს, რაც მისი ეკონომიკის მამოძრავებელ სექტორებს არტყამს (ტურიზმი, ტრანზიტი, უცხოური ინვესტიციები). ის ასევე კარგავს საერთაშორისო ნდობას: კრძოდ, ის ვერსია, რომ საქართველომ მხოლოდ რუსულ აგრესიას უპასუხა, რასაც საქართველოს პრეზიდენტი დაგვიანებით და არასწორად წამოსწევს, ვერ უძლებს ფაქტებით გამოცდას. ეს არის სააკაშვილის პირადი სანდოობა და მისი, როგორც უმწიკვლო დემოკრატიის სურათი, რაც ზიანდება.

ცხადია, რუსეთი ხმამაღლა არის დაგმობილი, გაკრიტიკებულია მისი გადაცდომების, უკანონო და გაუმართლებელი წინსვლის გამო საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ ქართველების შეცდომები გარკვეულწილად ამსუბუქებს მის ბრალეულობას.

*აქაც აშკარაა, რომ ზურაბიშვილი ცდილობს რუსული ნარატივის გამყარებას და მისი ბრალეულობის შემსუბუქებას საქართველოს დადანაშაულებით. რომელ „შეცდომებზე“ საუბრობს ზურაბიშვილი, როცა ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობას მთლიანად საქართველოს აკისრებს? ქართველების მხრიდან შეცდომებზე საუბარი უადგილოა, რადგან ომს ვერცერთ შემთხვევაში ავირილებდით, რაც კარგად აჩვენა უკრაინის ომმა. და რომც ყოფილიყო საქართველოს შეცდომები, ვერცერთი ეს შეცდომა ვერ შეამსუბუქებდა რუსეთის ბრალეულობას, რომელიც საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე შეიჭრა და მისი ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა.*

გაზვიადებული განცხადებები იწვევს ნდობის დაკარგვას ორივე პროტაგონისტის მიმართ: ნგრევა არ არის ისეთ მძიმე ფორმებში, როგორც ამას დასაწყისში ქართველები ამტკიცებდნენ, რუსების მხრიდან კი გენოციდის ბრალდება ჯერ კლებულობს, შემდეგ კი ქრება.

რუსებს სურდათ შთაბეჭდილების მოხდენა და დამოშინება. მათ მოახდინეს გასული საუკუნის ომის დემონსტრირება, რაც შოკში აგდებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებს, გამოიყენეს რა ტანკები და არქაული სცენარი, რისი საჭიროებაც მათ საერთოდ არ ჰქონდათ, ვიდრე ომის თანამედროვე სახეობა, როგორც არის ქვეყნის სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრების განადგურება. რუსებმა თადარიგი დაიჭირეს, რომ სამხედრო ობიექტების გარდა სხვა მნიშვნელოვანს არაფერს შეხებოდნენ: არც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, არც პრეზიდენტის სათავო რეზიდენციას შავნაბადაზე, არც რკინიგზას და აღმოსავლეთ-დასავლეთის საგზაო მაგისტრალს ან თბილისის სამოქალაქო აეროპორტს, რომელიც მთელი ომის მანძილზე გააგრძელებს ფუნქციონირებას და საშუალებას მისცემს საერთაშორისო დელეგაციებს შეუფერხებლად ჩამოვიდნენ. ხელშეუხებელს ტოვებენ ქვეყნის ეკონომიკურ აპარატს. იმიტომ ხომ არა, რომ მისი დიდი ნაწილი უკვე მათ ეკუთვნის?

**ამ აბზაცში ზურაბიშვილი ორ ტყუილს და ერთ პროპაგანდისტულ ჭორს გვთავაზობს: პირველი ისაა, რომ რუსებს სამხედრო ობიექტების გარდა არაფერი დაუბომბავთ. გორში დაბომბილი სამოქალაქო შენობები, სენაკში დაბომბილი თეატრი და არაერთი სხვა სამოქალაქო ობიექტი სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს. რუსები ბომბავდნენ სამოქალაქო ნაგებობებს და მშვიდობიან მოსახლეობას. რაც შეეხება იმას, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რკინიგზა და საგზაო მაგისტრალი არ დაბომბეს, ამას სხვა მიზეზები აქვს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დაბომბვა გაცდებოდა ქართულ-რუსულ კონფლიქტს და დააზარალებდა სხვა აქტორებსაც, რომელთა ურთიერთობების გაფუჭებაც კრემლის ინტერესებში არ იყო. ალოგიურია საგზაო მაგისტრალის დაბომბვაც. რუსებს სჭირდებოდათ მაგისტრალი შეუფერხებლად გადასადგილებლად. მაგისტრალს, როგორც წესი, აზიანებს ის ვინც თავს იცავს, რათა მტერს საკუთარ ტერიტორიაზე გადაადგილება შეუზღუდოს. იგივე ლოგიკა მოქმედებს რკინიგზის შემთხვევაშიც. მას რუსები მხოლოდ მაშინ დაბომბავდნენ, თუ მას ქართული არმია ლოჯისტიკური ამოცანების შესასრულებლად ეფექტურად გამოიყენებდა. მეორე ტყუილი ისაა, თითქოს საერთაშორისო დელეგაციები შეუფერხებლად ჩამოვიდნენ. სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რუსები მათ ჰაერში მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნიდნენ, რის გამოც მათი უსაფრთხოდ ჩამოსვლა თბილისში კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. რაც შეეხება პროპაგანდისტულ ჭორს, ეს ისევ რუსების მიერ ქართული ეკონომიკის დაუფლებას ეხება, რაც უბრალოდ ტყუილია. თუმცა, ის, რომ სალომე ზურაბიშვილის ეკონომიკური ცოდნა საშუალო სკოლის ბავშვის დონეზეც არაა, 2008 წლის არჩევნების წინ ლადო გურგენიძესთან მისი სატელევიზიო დებატებიდანაც ემახსოვრება ბევრს, რომელშიც პრემიერობის კანდიდატმა(!) ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ არც იცოდა და არც აინტერესებდა კონკრეტული ეკონომიკური ტერმინები და მაჩვენებლები. ცხადია, როცა შეგიძლია მხოლოდ ჭორებითა და მტრის პროპაგანდისტული კლიშეებით გახვიდე ფონს, იქ ფაქტები და რიცხვები რა საჭიროა?**

ერთი სიტყვით, ეს ომი იქნება შედეგი სიცრუის ლაბირინთისა, სადაც, საბოლოო ჯამში, არავინ იცის ვინ ვის დალატობს და ვინ ვის ატყუებს. არ ვიცი რა უფრო რეალურია - კონფრონტაცია, შესრულებული და უარყოფილი გარიგებები, თუ ტყუილები ტერიტორიების დაბრუნებაზე. ეს ომი, რომელიც ტყუილებით დაიწყო, სიცრუის აპოთეოზით მთავრდება: საკუთარი მოსახლეობის დარწმუნება, რომ მოვიგეთ ომი, რომელიც ეს ესაა, წაგებულ იქნა. და 12 აგვისტოს თბილისი თავისუფლების მოედანზე ზეიმობს „გამარჯვებას“, რასაც მწარე გემო ახლავს.

მე არცერთ შემთხვევაში არ ვისურვებდი, რომ მოსკოვისა და თბილისის ამ ორმხრივ პასუხისმგებლობაში, ქართული მხარის პასუხისმგებლობაზე აქცენტი ინტერპრეტირებული იქნეს, როგორც რუსული მხარის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება. ეს სწორედ, რომ პირიქით არის. მაგრამ, რუსეთმა რაც ჩაიდინა, რაც არ უნდა უპატიებელი იყოს ის, არაფერი მასში არ ყოფილა გასაკვირი ან გაუთვალისწინებელი იმისთვის, ვინც მის ბუნებას, ისტორიას და ქართულ-რუსული ურთიერთობების ისტორიას იცნობს. ამის საპირისპიროდ, ქართული მხარის დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ იცოდა რა, რომ მოსკოვი მის შეცდენას ცდილობდა, საქართველოს მთავრობამ ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო ცდუნებას.

**მაშინ, როცა ამ აბზაცში ზურაბიშვილი ცდილობს წარმოჩინდეს, როგორც ობიექტური და კეთილშობილი არბიტრი, იგი იმეორებს რუსულ პროპაგანდისტულ გზავნილს, რომ რუსეთის ქმედების მიუხედავად საქართველო პროვოკაციას არ უნდა წამოგებოდა, თითქოს მას სხვა არჩევანი ჰქონდა. აბზაცის პირველ წინადადებაში ზურაბიშვილი ამბობს, რომ ომის გაჩაღებაში პასუხისმგებლობა რუსეთთან ერთად, ქართულ მხარესაც ეკისრება. ამ აბზაცშიც კი იგი არათანმიმდევრულია, როცა წინა გვერდებზე ამბობდა, რომ ომი სააკაშვილმა დაგეგმა და წამოიწყო, რადგან ეს მისივე ინტერესებში იყო.**

გაზიარებული პასუხისმგებლობა არსებობს ამ ორი პროტაგონისტის მიღმა. და პირველ რიგში ბუშის ადმინისტრაციის. მაგრამ არა იმისთვის, რომ „მწვანე შუქი“ აუნთეს რაიმე ტიპის სამხედრო ოპერაციას, როგორც ამას ერთმანეთის მიყოლებით ავრცელებდნენ რუსები და სააკაშვილთან დაახლოებული ზოგიერთი პირი. მე პირიქით მოწმე ვიყავი არაერთგზის გაფრთხილებისა, რაც ყველა ამერიკელი სტუმრის ლეიტმოტივი იყო. ასევე არანაირი ეჭვი არ მაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ვინმემ ოდესმე უბიძგა ან წაახალისა ქართველი მმართველები, რომ ეოცნებათ კონფლიქტების სამხედრო გზით გადაწყვეტაზე ან იმედი ჰქონოდათ, რომ მათ მხარს დაუჭერდნენ. რაც ხელს არ უშლის იმას, რომ მათ საკუთარი სურვილები რეალობად მიეღოთ. ისევე, როგორც ომის შემდეგ სააკაშვილმა, მასპინძლობდა, რა მის პოლონელ კოლეგას, შეძლო ეოცნება, რომ ახალგორში ინციდენტის პროვოცირებით მას შეეძლო ევროპა ჩაერთო ქართული მიწების დაცვაში.



სალომე ზურაბიშვილი ჯერ კიდევ 2007 წელს, რუსეთის მიერ წითელუბნის დაბომბვას საქართველოს აბრალებდა - გვლენიანი გამოცემა "STRATFOR"-ი

ამერიკელების ნამდვილი პასუხისმგებლობა აქ არაა. პასუხისმგებლობა არის პოლიტიკური: ის მდგომარეობს სიჩუმეში, რომელსაც ინარჩუნებდნენ სხვა გადაცდომების და წარუმატებლობის მიმართ, რომელიც უშუალოდ უსწრებდა ომს. დემოკრატიის დეფიციტია ის, რაც ქართული ქაოსის საფუძველში მდებარეობს. დემოკრატიული რეჟიმი ომში არ ჩაეფლობოდა: პრეზიდენტის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება განხილვის საგანი გახდებოდა, პრესაში გაცხადებოდა, პარლამენტში კითხვები დაისმებოდა, ბარიერები წარმოიქმნებოდა. არ არსებობს რა დემოკრატიისთვის დამახასიათებელი დამაბალანსებელი სისტემა, ვერავინ გაბედა



ამ პიროვნული გადაწყვეტილების გაპროტესტება. არანაირი უშიშროების საბჭოს სხდომა, არანაირი დისკუსია საპარლამენტო კომიტეტში. ეს არის იზოლირებული და ტოტალური ძალაუფლება (ხელისუფლება), რომელიც წყვეტს ომისა და მშვიდობის საკითხებს, მართავს მოლაპარაკებებს და არავის წინაშე არაა პასუხისმგებელი. სწორედ ეს უნდა აეცილებინათ ამერიკელებს გამომდინარე მათი აქტიური ჩართულობიდან საქართველოში დემოკრატიის სასარგებლოდ.

ადგილი აქვს ასევე ამერიკული სისტემის ფუნქციონალურ სისუსტეს: როგორ მოხდა, რომ ქვეყანაში რამდენიმე ასეული თანამშრომლით წარმოდგენილი საელჩოს, „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში მყოფი სამხედრო მრჩევლების, პრეზიდენტისთვის USAID-ის მიერ დაქირავებული და მასთან დაახლოებული მრჩევლის (დენიელ კუნინი), მეთიუ ბრაიზას ხშირი ვიზიტების მიუხედავად, არავინ ჩამოჰკრა განგამის ზარს, როცა მოხდა ძალების მობილიზება, როცა გადაიცა პრეზიდენტის სატელევიზიო მიმართვა? რატომ არავინ დაგმო სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც დაახლოებით ერთი მესამედით აღემატებოდა 2007 წლის დანახარჯებს? რატომ არ გამოიყენა ვაშინგტონმა თავისი გავლენა იმისთვის, რომ უფრო მკაფიოდ აღეკვეთა სამხედრო მისწრაფებანი, რომელიც ბოლო ორი წლის მანძილზე სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა? საქმე გვაქვს დაუდევრობით (როცა წინასწარ ხედავ შედეგებს და არაფერს აკეთებ იმისთვის, რომ თავიდან აიცილო ის) და სისუსტით გამოწვეულ სისტემის შეცდომასთან, როცა მან გადაწყვიტა მხარი დაეჭირა პერსონებისთვის და არა ქვეყნის ინსტიტუტებისთვის. ამერიკელები სტაბილურობას უფრო ესწრაფვოდნენ, ვიდრე დემოკრატიას. დემოკრატია და სტაბილურობამ ამის ფასი გადაიხადა.

**ამ აბზაცში ზურაბიშვილი ამბობს, რომ თავდაცვის ბიუჯეტის ზრდა იყო ომის მანიშნებელი, რომ სააკაშვილის ხელისუფლება რუსეთთან ომის დაწყებას აპირებდა, არადა თავდაცვის ბიუჯეტის ზრდა მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ ხელისუფლება საკუთარი თავდაცვისუნარიანობის გაზრდას ცდილობდა. რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ ამონარიდში, არის ის, რომ ზურაბიშვილი აქ რუსულ პროპაგანდისტულ მთავარ გზავნილებს იმეორებს და განავრცობს. იგი საქართველოს მთავარ სტრატეგიულ მოკავშირეს წარმოაჩენს ომის თანამონაწილედ. ამასთან იგი აშშ-ის სახელმწიფო და უსაფრთხოების სისტემის დაკნინების მიზნით, მას წარმოაჩენს როგორც არაკომპეტენტურს, რომელმაც ვერ შეძლო ამოეცნო მოკავშირის რეალური ზრახვები. დაბოლოს, ავტორი ტრადიციულად არათანმიმდევრულია, როცა აცხადებს, რომ ამერიკელებმა ვერ დაინახეს ომის საფრთხე, მაშინ, როცა რამდენიმე აბზაციით ზევით ზურაბიშვილი საუბრობს ამერიკელების არაერთ გაფრთხილებაზე, რომელსაც, როგორც ამბობს, თავადაც ესწრებოდა. რა არის ეს - საკუთარ ტყუილებში აბლანდვა, არაკომპეტენტურობა თუ მტრის ინტერესებში გამიზნული მოქმედება, მკითხველმა თავად განსაზღვროს.**

ევროპული და საერთაშორისო ინსტიტუტები, ეუთო, ევროპის საბჭო, ევროპის პარლამენტი, ODIHR-ი, რომლებმაც ხმა არ ამოიღეს და აღიარეს არჩევნები, როგორც „საკმარისად დემოკრატიული“ საქართველოსთვის, ასევე თავიანთ წილ პასუხისმგებლობას ატარებენ. როდესაც საქართველოს უჩერდება თავისი უფლება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ, ეს ამავე დროს არის ხელიდან გაშვებული შანსი იმისა, რომ თავიდან იქნეს აცილებული ომი. პრეზიდენტი სააკაშვილი დემოკრატიულად ჩატარებული მეორე ტურის შედეგად რომ ყოფილიყო არჩეული, არ იქნებოდა იგივე პრეზიდენტი, ნამდვილად აღარ წავიდოდა იმ ავანტიურაზე, რასაც მისი არალეგიტიმური გამარჯვება გარდაუვალს ხდიდა.

**ამ აბზაცში ზურაბიშვილი ძირს უთხრის საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების რეპუტაციას (რაც, „ქართული ოცნების“ 10-წლიანი მმართველობის**

**ფონზე, უკვე გასაკვირი ნამდვილად აღარ არის) და ეჭვი შეაქვს მათ  
ობიექტურობაში (რაც საეჭვოდ ემთხვევა პუტინის რუსეთის თანმიმდევრული  
პოლიტიკასა და რიტორიკას ამავე საკითხზე). ზურაბიშვილი კვლავ ადანამაულებს  
ყველას, რუსეთის გარდა.**

ამერიკელებმა აშკარად მოინდომეს თავიანთი პროტექცის შეწყობა. პრეზიდენტ ბუშის გამოგნებელი სიჩუმე პირველი სამი დღის მანძილზე ხსნის ასევე რუსების წინსვლას დედაქალაქის მიმართულებით. რუსული გეგმა, რომელიც მდგომარეობდა თბილისის შეცდომაში შეყვანასა და შემდეგ სააკაშვილისთვის ჭკუის სასწავლებლად ძალის გამოყენებაში, ნამდვილად არ ცდებოდა ცხინვალზე კონტროლის დამყარებას სამშვიდობო მისიის სახელით. მაგრამ, ვინაიდან ამერიკელების მხრიდან აკრძალვის ნიშნად წითელი შუქი არ ანთებულა, რუსულ სამხედრო მანქანას, უბედნიერეს იმით, რომ მის ფავორიტ საქმეს აკეთებდა, არანაირი მიზეზი აღარ ჰქონდა იმისთვის, რომ დედაქალაქამდე შეჩერებულიყო.

ევროპა კიდევ ერთხელ აღმოჩნდა მოწოდების სიმალეზე და სწრაფად იმოქმედა შეათავსა რა ერთმანეთთან პრინციპულობა და შერიგება. სარკოზიმ გამოავლინა მოქნილობა და შეუვალობა და მიღწეული შედეგი დიდწილად მისი დამსახურებაა. ევროპის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე არა მხოლოდ შეტევის დასასრულს ასახავს, არამედ ნამდვილ დარტყმას აყენებს რუსეთის ამბიციას, ადადგინოს ექსკლუზიური უფლებების ზონა კავკასიაში. ზოგიერთებმა გააკრიტიკეს მიღწეული შეთანხმებები, რაც უკავშირდება ზოგიერთ საკითხში ორაზროვნებას... ამ მოლაპარაკებას არ შეეძლო ომის თავიდან არიდება, არც მისი უშუალო შედეგების გამოსწორება ან დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. მან გადაარჩინა ძირითადი: საქართველო და მისი დამოუკიდებლობა. დანარჩენი გასაკეთებელია.

**აქ ზურაბიშვილი ცდილობს აშშ-ისა და ევროპის ერთმანეთისგან  
დისტანცირებას, წარმოაჩინოს რა აშშ-ს, როგორც ავანტიურის არაკომპეტენტურ  
თანამონაწილეს, ხოლო ევროპას აყენებს უპირატეს მდგომარეობაში, რითაც  
დისონანსის შეტანას ცდილობს ევროატლანტიკურ ერთობაში. ამასთან გაუგებარია,  
თუ აშშ-ი თავის პროტექცეს წყალობდა, როგორც ამას ავტორი აღწერს, რა ლოგიკით  
არ დაეხმარა მას ომის თავიდან არიდებაში, უფრო მეტიც - „მწვანე აუნთო“ რუსებს  
რათა დაწინაურებულიყვნენ?“. გარდა ამისა, რით აიხსნება, რომ სწორედ ბუშის  
მოწოდების შემდეგ შეჩერდა მოსკოვი და აღარ მოვიდა დედაქალაქამდე? ბოლოს,  
აქაც მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ ზურაბიშვილი  
კვლავ ყველას პასუხისმგებლობაზე საუბრობს, რუსეთის გარდა, რომელის  
პასუხისმგებლობას ერთი-ორგან გაკვრით და მსუბუქ ხარხხში ახსენებს. მაგრამ  
არსად მოიხსენიებს ამ სახელმწიფოს, როგორც აგრესორსა და ოკუპანტს. აშშ-ისა  
და დემოკრატიული ინსტიტუტების პასუხისმგებლობას მთელი გვერდი ეთმობა,  
ხოლო სააკაშვილის ხელისუფლების პასუხისმგებლობას მთელი თავი. ამავე დროს,  
რუსეთის პასუხისმგებლობაზე პრაქტიკულად არაფერია ნათქვამი.**

თუმცა, რუსეთთან გარიგების, უფრო კონკრეტულად კი გაყოფის იდეა არ გამქრალა. ის კვლავ იჩენს თავს ამჯერად აფხაზეთთან დაკავშირებით და გულისხმობს კვიპროსის მოდელის ფორმით ტერიტორიის გაყოფას. გაყოფა, რომელიც საქართველოს მისცემდა, ასე ვთქვათ, სამხრეთ ნაწილს გალის რეგიონით, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილს დაუტოვებდა აფხაზეტს. მოგვიანებით სააკაშვილი დაადასტურებს, რომ მან მართლაც გაუგზავნა წერილი მის რუს კოლეგას, რომელიც ამგვარი გამოსავლისკენ იძლეოდა მინიშნებებს.

მოსკოვთან გარიგების მცდელობა წყლის ნაყვია. ეს არის მდგომარეობიდან გამოსავლის ძიების ბოლო მცდელობა. ქართველებში გავრცელებულია მოსაზრება, რომ რუსი სამხედროები კორუმპირებულები არიან და მათი მოსყიდვა შესაძლებელია. რუსეთთან ომს ვერ მოვიგებთ, მაგრამ იქნებ შეიძლება მათთან მოლაპარაკება ლიმიტირებულ კონფლიქტზე ისეთი გარიგებით, რომლითაც ორივე პროტაგონისტი

იხეირებს: საქართველო მიიღებს ტერიტორიებს, რუსული მხარის სარგებელი კი ის იქნება, რომ ნატოში საქართველოს გაწევრების პერსპექტივა ნულამდე დავა და დასავლეთთან მისი კავშირები შეწყდება (ტერიტორიების დაბრუნება საქართველოსთვის, ნატოში გაწევრების პერსპექტივის ნულამდე დაყვანა და დასავლეთთან კავშირების გაწყვეტა რუსული მხარისთვის).

*ამ წიგნის გამოცემიდან 14 წელი გავიდა. 2014 წელს, შემდეგ კი 2022 წელს რუსეთის მიერ განხორციელდა არაპროვოცირებული, უსაფუძვლო თავდასხმა სუვერენულ უკრაინაზე. ღია სამხედრო აგრესიის შემდეგ, რუსეთი აღიარებულ იქნა აგრესორად, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებს ესხმის თავს მათი დასავლური ვექტორისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების გამო. რუსეთის პრეზიდენტი აღიარებულია როგორც ომის დამნაშავე, ხოლო პუტინის რეჟიმი შერაცხულია ტერორისტულ რეჟიმად მრავალი სახელმწიფოს მიერ. ყველა ეჭვი გაქარწყლებულია, რომ აგვისტოს ომში რაიმე ბრალეულობა მიუძღვოდა საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას. სამაგიეროდ, დასტურდება, რომ რუსეთი იყო აგრესორი, რომ ომი სწორედ მან დაგეგმა და დაიწყო, რომ აგრესია იყო არალეგიტიმური, რომლისგანაც საქართველო თავს იცავდა სახელმწიფოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით. წიგნის გამოცემიდან 14 წლის თავზე, არაფრით დასტურდება რაიმე სახის საილუმლო გარიგება პუტინსა და საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას შორის. მეტიც, „ოცნების“ ხელისუფლების პირობებშიც კი, არსად, არც ერთ საერთაშორისო დოკუმენტში, არაფერია ნათქვამი ზურაბიშვილის ბრალდებებზე საქართველოს ხელისუფლების პუტინთან ფარული გარიგების და ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფის თაობაზე. შედეგები და ფაქტები მხოლოდ საპირისპიროს მოწმობს და მიუთითებს იმაზე, რომ ზურაბიშვილი შეგნებულად ტყუოდა და მოქმედებდა ქართული სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ.*

*დღეს სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტია. ფორმალურად, ის იყო „დამოუკიდებელი კანდიდატი“, თუმცა, მას შემდეგ, რაც პარალელური დათვლის შედეგებით, მან წააგო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური, ოლიგარქმა ივანიშვილმა კარტი გახსნა და განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის პოსტზე მის „პრინციპულ არჩევანს“ წარმოადგენდა. სწორედ ამ არჩევანის შესაბამისად გაიმართა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურად წოდებული სპეცოპერაცია - სახელმწიფო, ადმინისტრაციული, ფინანსური, კრიმინალური და სხვა რესურსების ტოტალური მობილიზებით. ეს არჩევნები უუთო-ოღირის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა, როგორც „თავისუფალი, მაგრამ უსამართლო“.* ■

თარგმანი დავით ნატროშვილისა



ლევან ხერხეულიძის ფოტო



**ჭავჭავაძის  
ცენტრი**

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული  
კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი



**FRIEDRICH NAUMANN  
FOUNDATION** For Freedom.

South Caucasus



ნომერში გამოყენებულია თამთა  
დოლიძის, კუკური მეტრეველის  
და ლაშა გაბელიას ფოტოები.  
გრაფიკების მოწოდებისთვის  
მადლობა ალექსანდრე მიქაბერიძეს.

ახალი ივერია

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

2022 დეკემბერი, #2 (2)

ISSN 2720-8729

აიპ "ჭავჭავაძის ცენტრი"

გიორგი ახვლედიანის 20

0108, თბილისი, საქართველო

© ჭავჭავაძის ცენტრი, 2022

